# არსენალი

(17). დეკემბერი. 2005. „კვირის პალიტრა". სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი



## ზღვაო დესანტი ფხაზეთში — ბრა 1920

1425
2005

## ოპერაცია „კარტოთეკა"

## 6 და რატომ ირავს 150 რთველ ნკისტს სიკვდილოდ?

## ციდან მოვლენილი რისხვა — „მფრინავი ნიანგი"

## „სადაც იარაღი არ იჭედება... იქ მებრძოლი მამაკაცები აღარ იბადებიან"

## ამებისა და ამიანების ტალოგი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქართული არმიის ორი სახე და ზოგიერთი თავისებურება 8



„მფრინავი ნიანგი“ — ციდან მოვლენილი რისხვა 25



„შიშველი“ ტანკების შესყიდვა გრძელდება 10

„სადაც იარაღი არ იჭედება, იქ მებრძოლი სულის მამაკაცები აღარ იბადებიან“ 22





გერმანული მოკლებეწვიანი... 30



შხამებისა და შხამიანების კატალოგი 34

# სარჩევი


კალეიდოსკოპი

4 მოკლე ინფორმაციები

კალეიდოსკოპი

6 უცხოეთის ამბები

მოსაზრება

8 ქართული არმიის ორი სახე და ზოგიერთი თავისებურება

მოყვარეს პირში უძრახე...

10 „შიშველი“ ტანკების შესყიდვა გრძელდება

კონსულტაცია

13 კვალიფიციური რჩევები

დანატოვარი

14 ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი თოთო ბავშვსაც არ ინდობს

სპეცსამსახურები

15 საერთაშორისო ტერორიზმი – გუშინ... დღეს... ხვალ...

სპეცოპერაცია

19 ოპერაცია „კართოტეკა“

მესაჭურვლე

22 „სადაც იარაღი არ იჭედება, იქ მებრძოლი სულის მამაკაცები აღარ იბადებიან“

მკითხველის გვერდი

24 ხელყუმბარები, რომლებმაც კინაღამ საქვეყნოდ მოგვჭრეს თავი

იარაღი

26 „მფრინავი ნიანგი“ – ციდან მოვლენილი რისხვა

კომპანიონი

30 გერმანული მოკლებენვიანი – კურცჰაარი

სასიკვდილო დოზა

34 შხამებისა და შხამიანების კატალოგი

ნადირობის მოყვარულთათვის

38 შენიღბვა

საქართველოს ისტორიიდან

40 საზღვაო დესანტი აფხაზეთში

ფლოტი

42 ომი სამოქალაქო გემებით

44 საზღვაო ტარანი

კროსვორდი

47 არსენალვორდი

მიზანი ამართლებს საშუალებებს

48 ბერლინის დაბომბვა 1941 წლის აგვისტოში

სუპერმობილი

50 ჯავშნოსნები

„არსენალის“ იარაღის მაღაზია

54 **Hi Power** ბულგარელი ბელგიური „ფესვებით“


## რედაქტორის სვეტი

ორი წელი შესრულდა, რაც საქართველოს სათავეში ახალი, რევოლუციური ხელისუფლება მოვიდა. განვლილი პერიოდი ძალზე მცირეა საიმისოდ, რომ რაიმე კარდინალურად შეიცვალოს, თუმცა ამას ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტზე ვერ ვიტყვით – ის გრანდიოზული ტემპით და თითქმის ათჯერ გაიზარდა. სამწუხაროდ, ქართულ არმიაზე ამას დიდი ზეგავლენა არ მოუხდენია – შესაბამისად, ათჯერ არ გაძლიერებულა. მართალია, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ჯარისკაცთა კვება, მაგრამ კვლავ ხშირია ყაზარმული „გარჩევები“, როდესაც ასობით ჯარისკაცი ერთმანეთს თავ-პირს ამტვრევს. თავდაცვის სამინისტრო მილიონებს ხარჯავს საბრძოლო ტექნიკითა და ტყვია-წამლით ქართული არმიის არსენალის შესავსებად, მაგრამ ამას თან ახლავს უკრაინული „ბე-ემ-პე-ების“ სამარცხვინო სკანდალი თუ „შიშველი“ ტანკების შემოყვანა ჩეხეთიდან...

ყოველივე ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ მხოლოდ გაზრდილი სამხედრო ბიუჯეტით, თუკი მას სამხედრო პროფესიონალები არ დახარჯავენ და შეიარაღებულ ძალებში სწორი საკადრო პოლიტიკა არ გატარდება, სასურველ შედეგს ვერ მივაღწევთ და ვერც ძლიერ ქართულ არმიას შევქმნით...

*ირაკლი ალადაშვილი*
*გიორგი ქორქოლიანი*

ყურადღება!
ხშირია შემთხვევა,
როდესაც ჩვენი მკითხველი
სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ
ასწრებს ჟურნალის ყიდვას პრესის
ჯიხურებში. ამიტომ გირჩევთ,
გამოიწეროთ „არსენალი“ და
მიიღოთ შინ, ყოველი თვის
დასაწყისში. ტელ: 42-43-40


რედაქციის დაუკითხავად
მასალების გადაბეჭდვა
აკრძალულია


ჟურნალ „არსენალის“
ძველი ნომრების შეძენა
შეგიძლიათ რედაქციაში


გაზეთ „კვირის პალიტრის“
დამატება ©
რედაქციის მისამართია:
თბილისი, აკურის ქუჩა №8.
(სპორტის სასახლის უკან)
ტელ: 42-43-46 ფაქსი: 98-74-44
email: arsenali@kvirispalitra.com
ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## "ჩვენს მესაზღვრეებს მხოლოდ ბინოკლი და ავტომატი აქვთ"

საზღვრის დაცვის უწყება 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში 14 მილიონი ლარის დამატებას ითხოვს. მთავრობის მიერ წარმოდგენილი 2006 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტს 31-მილიონიანი დაფინანსება აქვს, რაც უწყების ხელმძღვანელის, ბადრი ბიწაძის განცხადებით, საკმარისი არ არის: „ჩვენს მესაზღვრეებს მხოლოდ ბინოკლი და ავტომატი აქვთ და XXI საუკუნეში საზღვრებს მამაპაპური წესით იცავენ. მისივე თქმით, იმ დაფინანსებით, რაც 2006 წლის ბიუჯეტშია გაწერილი, უწყების ნორმალური ფუნქციონირება შეუძლებელია. „არა ახლის შესაძენად, არამედ ძველის შესანარჩუნებლად 44 მილიონი გვჭირდება“, — აღნიშნა ბიწაძემ, რომლის განცხადებით, საზღვარზე მონიტორინგის მისიის შეწყვეტის შემდეგ ეუთომ უარი განუცხადა საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტს ყველანაირი ტექნიკის გადაცემაზე, რითაც დიდი დარტყმა მიაყენა.

საზღვრის დაცვის უწყებისთვის ბიუჯეტის გაზრდა მიზანშეუწონლად მიაჩნია ფინანსთა მინისტრს, ლექსო ალექსიშვილს. როგორც მან განაცხადა, სახელმწიფო საზღვრის დაცვის სამსახურში შესაძლოა უფრო ნაკლები პირი მუშაობდეს, ვიდრე უწყების ხელმძღვანელი აცხადებს. ალექსიშვილის თქმით, სახელმწიფო სამსახურში დასაქმებული 3420 კაცი შესაძლებელია შემცირდეს და დანარჩენების ხელფასი სწორედ ამის ხარჯზე გაიზარდოს.

## სისტემა "იორი" საზღვრის პერიმეტრს გააკონტროლებს

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტში სასაზღვრო მონიტორინგის სისტემა — „იორის“ პრეზენტაცია შედგა, რომელსაც დეპარტამენტის თავმჯდომარე, გენერალ-ლეიტენანტი ბადრი ბიწაძე და ამერიკელი კოორდინატორები ესწრებოდნენ. სისტემის ახალი პროგრამული ვერსია და მართვის ცენტრის მინიმოდელი ამერიკის მთავრობის დახმარებით შეიქმნა. მათი საშუალებით ინფორმაციას



სასაზღვრო ქვედანაყოფებიდან ერთიანი მართვის ცენტრი მიიღებს. ამჟამად სისტემა „იორი“ მთელ სასაზღვრო პერიმეტრზეა დანერგილი და მისი საშუალებით სასაზღვრო რეგიონებიდან ციფრული სახის ინფორმაცია ცენტრს მოკლეტალღოვანი კავშირის მეშვეობით მიეწოდება. პრეზენტაციაზე მართვის ცენტრის უფროსმა, პოლკოვნიკმა ემზარ აბრამიშვილმა სისტემა „იორი-2“-ის შესახებაც ისაუბრა. მისი განცხადებით, „იორი-2“ ინფორმაციის მიწოდების ულტრამოკლეტალღოვან სისტემაზეა აგებული. ის ინფორმაციის გატარების უფრო მაღალი სიჩქარით და მართვის ცენტრში მოძრავი გამოსახულების სამ განზომილებაში ასახვით გამოირჩევა. განახლებულია ასევე მონაცემთა ბაზები. სისტემა „იორი-2“-ის პროგრამული ნაწილი სასაზღვრო პერიმეტრზე წლის ბოლოსთვის უნდა დაინერგოს, რომელიც დეპარტამენტის ხელმძღვანელობას საშუალებას მისცემს, რომ სასაზღვრო ქვედანაყოფებში არსებულ სიტუაციაზე ყველა სახის ინფორმაცია ადგილიდან მიიღოს.

## "სენაკში მაღალი დონის სამხედრო ბაზა გაიხსნა"

„სენაკში გახსნილი სამხედრო ბაზა საქართველოს სტაბილურობისა და სიმშვიდის გარანტია იქნება“, — ასეთი შეფასება გააკეთა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სენაკში სამხედრო ბაზის პრეზენტაციაზე. პრეზიდენტის თქმით, სენაკის ბაზა თანამედროვე ტექნიკით არის აღჭურვილი და სრულიად შეესაბამება NATO-ს სტანდარტებს: „აქ შექმნილი საყოფაცხოვრებო პირობები ზუსტად ისეთივეა, როგორიც NATO-ს წევრ ქვეყნებში არსებულ სამხედრო ბაზებზე. მინდა ჩვენი საზოგადოება დავარწმუნო, რომ საქართველო არის დაცული, დამოუკიდებლობა არის ხელშეუხებელი და ჩვენ წინაშე მდგომ ყველა ამოცანას წარმატებით გადავწყვეტთ. მისივე განმარტებით, ორი წლის წინ, როდესაც ახალმა ხელისუფლებამ საქართველო ჩაიბარა, მთლიანად განადგურებული იყო ქვეყანა: „ორი წლის წინ 2000-ზე ნაკლები მშიერი ჯარისკაცი გვყავდა, გვქონდა გაუმართავი ტექნიკა და მხოლოდ ნახევარი წლის სამყოფი ტყვია-წამალი. დღეს კი სახელმწიფო ყველა მიმართულებით ვითარდება და მათ შორის ძლიერდება თავდაცვის სფეროც. თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებით, სამხედრო ნაწილი სრული მასშტაბით ექსპლუატაციაში ორ თვეში შევა. „ეს არის ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე ტიპის სამხედრო ნაწილი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთლიანად დსთ-ის სივრცეში“, — განაცხადა ოქრუაშვილმა. მისივე თქმით, ბაზა დაახლოებით 11 მილიონი დოლარი დაჯდა. მომავალში საქართველოს ხელისუფლება სამეგრელოში კიდევ ერთი თანამედროვე ტიპის სამხედრო ბაზის მშენებლობას გეგმავს.

ბაზის პრეზენტაციამდე სენაკის აეროპორტში საჩვენებელი სპეცოპერაცია ჩატარდა, სახელწოდებით — „დესანტის გადმოსხმა და მძევლის გათავისუფლება“.



## დაღუპული სამხედრო მოსამსახურის ოჯახს ერთჯერადად დაეხმარებიან

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული სამხედრო მოსამსახურის ოჯახს სახელმწიფომ შესაძლოა მხოლოდ ერთჯერადი დახმარება – 10 ათასი ლარი გადაუხადოს და დაკრძალვის ხარჯები, 2000 ლარი გაიღოს. თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის მამუკა კიკალიშვილის განცხადებით, სამხედრო-სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპვის შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურის ოჯახს 10 ათასი ლარი გადაეცემა, დაჭრის ან დაინვალიდების შემთხვევაში – 6 ათასი ლარი, მძიმე ჭრილობის შემთხვევაში – 3 ათასი ლარი, ხოლო მსუბუქი ჭრილობის შემთხვევაში – 1000 ლარი. ჭრილობის ხარისხს შეაფასებს თავდაცვის სამინისტროს სამედიცინო ექსპერტთა ჯგუფი. დღეს მოქმედი კანონმდებლობით ყველა აღნიშნული შემთხვევა კანონში მინიმალური ხელფასის გარკვეულ ოდენობასთან იყო მიბმული. როგორც კიკალიშვილმა აღნიშნა, სახელმწიფომ გადაწყვიტა, აღნიშნული თანხა დააზუსტოს და კანონით გაწეროს. ყოველივე ეს კი მას შემდეგ მოხდება, რაც საქართველოს პარლამენტი სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ კანონში ცვლილებებს შეიტანს.

## NATO მზადაა კავკასიაში სამშვიდობო ძალები განათავსოს

„NATO მზად არის აუცილებლობის შემთხვევაში კავკასიაში სამშვიდობო ძალები განათავსოს“, – განაცხადა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებთან ურთიერთობის საკითხებში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ოფიცერმა რომუალდას რაჟუკუსმა. მისი თქმით,რეგიონში NATO-ს შეღწევის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ალიანსის თანამშრომლობა ეუთოსთან. ამასთან, კავკასიაში სამშვიდობო ძალების შესაძლო განლაგების შესახებ გადაწყვეტილება თავად რეგიონულ კონფლიქტებში ჩართულმა მხარეებმა უნდა მიიღონ.

როგორც ცნობილია, საქართველოს ხელისუფლებამ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაცია თავის სტრატეგიულ ამოცანად დასახა. თბილისში არაერთხელ გაიჟღერა მოწოდებამ ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში დისლოცირებული რუსი სამშვიდობო ძალების NATO-ს ქვედანაყოფებით შეცვლის შესახებ.

აზერბაიჯანის ხელისუფლებაც აცხადებდა, რომ ბაქო დიდ ყურადღებას უთმობს ჩრდილოატლანტიკურ სტრუქტურებსა და პენტაგონთან თანამშრომლობას.

## საქართველო NATO-ში 2009 წელს გაწევრდება

საქართველოს თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებით, საქართველო NATO-ში 2009 წელს გაწევრდება. მინისტრის თქმით, ეს ხელისუფლების ოპტიმისტური პროგნოზია. ოქრუაშვილის განცხადებით, სამინისტროს აქვს გეგმა, როგორი ჯარი უნდა ჰყავდეს სახელმწიფოს 2009-12 წლებში. ოქრუაშვილის განმარტებით, ქვეყანაში კვალიფიციური სამხედრო კადრები უნდა მოემზადდეს, ამისთვის კი უკვე შემუშავებულია თავდაცვის აკადემიის რეორგანიზაციის გეგმაც.



## კოკოითი სანქციების დაწესებას ითხოვს

სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი საერთაშორისო ორგანიზაციებსა და მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს მოუწოდებს, სანქციები დაუწესონ პოლონეთს, უკრაინასა და ბულგარეთს, რომლებიც, მისი თქმით, საქართველოს იარაღით ამარაგებენ. კოკოითის განცხადებით, ეს ქვეყნები საქართველოს ჯავშანტექნიკას, „გრადისა“ და „ურაგანის“ ტიპის საარტილერიო დანადგარებს, ასევე საბრძოლო ავიაციას აწვდიან. კოკოითი დარწმუნებულია, რომ საქართველო აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საკითხების ძალისმიერი გადაწყვეტისთვის ემზადება და აცხადებს, რომ „ქვეყნები, რომლებიც საქართველოს იარაღს აწვდიან, ხელს უწყობენ აგრესიას“.

ოფიციალური თბილისი კი ცხინვალის რეგიონის მილიტარიზაციაში რუსულ მხარეს ადანაშაულებს. როგორც კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ხაინდრავამ განაცხადა, რუსეთს კონფლიქტის ზონაში იარაღი შეაქვს. მისივე თქმით, ქართული მხარისთვის სრულიად ნათელია, საიდან მარაგდება იარაღით ცხინვალი. „გაუგებარია, რისთვის სჭირდება ეს რუსეთს“, – აღნიშნავს ხაინდრავა. თავის მხრივ, სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის საგანგებო საქმეთა მინისტრი ბორის ჩოჩიევი აცხადებს, რომ ცხინვალმა „იარაღი და მძიმე ტექნიკა ქართველი სამხედროების სიხარბის წყალობით მიიღო. სამხრეთ ოსეთში არსებული სამხედრო ტექნიკა და შეიარაღება გორში, ქართული მხარისგანაა შეძენილი“, – აზუსტებს ჩოჩიევი.

## "აფხაზეთის გმირი" ჩამოხრჩობილი იპოვეს

ოჩამჩირის რაიონის სოფელ არადუში „აფხაზეთის გმირის“, კვეკვესკირის ცხედარი იპოვეს. დაზუსტებული ინფორმაციით, სამიოდე კვირის წინ „აფხაზეთის გმირის“ გვამი ნათესავებმა მისივე სახლთან ახლოს მდებარე ტყეში ხეზე ჩამოკიდებული იპოვეს. ახლობელთა მტკიცებით, კვეკვესკირს თავში ტყვია აქვს მოხვედრილი. სარწმუნო წყაროს ინფორმაციით, გარდაცვლილი კვეკვესკირი 1992-93 წლებში აქტიურად მონაწილეობდა აფხაზეთში მიმდინარე საომარ მოქმედებებში. მის სახელს უკავშირდება ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებული ბარბაროსული აქციები, რისთვისაც მას აფხაზეთის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ ორჯერ სამთავრობო ორდენი, ბოლოს კი „აფხაზეთის გმირის“ წოდება მიანიჭა.

*საინფორმაციო სააგენტოებზე დაყრდნობით მოამზადა მამუკა ხუციშვილმა*

საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პენტაგონი მეხუთე თაობის გამანადგურებლის პროექტს აკონსერვებს




„პენტაგონი მეხუთე თაობის გამანადგურებლის, JOINT FIGHTER- F-35-ის (სახმელეთო) ვერსიის შემუშავების პროგრამის შეწყვეტას გეგმავს“, – განაცხადა აშშ-ის თავდაცვის მინისტრის მთავარმა მოადგილემ გორდონ ინგლანდმა. მისი თქმით, პენტაგონი სამიდან ერთ-ერთი გამანადგურებელზე შეწყვეტს მუშაობას. „ვფიქრობთ, ეს სამხედრო-საჰაერო ძალების ვერსია იქნება“, – განაცხადა ინგლანდმა.

დანარჩენ ორ პროგრამაზე მუშაობა (გამანადგურებლები სამხედრო-საზღვაო ძალებისა და საზღვაო ქვეითთათვის) გაგრძელდება.

# F-16 და Cy-30-მა ერთად შეუტიეს AWACS-ს



ამერიკა-ინდოეთის ერთობლივ სწავლებებზე COPE INDIA 2005 ორი ქვეყნის სამხედრო თვითმფრინავები ერთობლივად ამუშავებდნენ მოქმედებებს. სწავლების პროცესში ამერიკელებსა და ინდიელებს სასწავლო ბრძოლის სერია უნდა ჩაეტარებინათ.

სწავლების შედეგებზე ინფორმაცია არ გამოქვეყნებულა. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ერთობლივი მოქმედებები სწავლების ფართო პროგრამის ერთ-ერთი პუნქტი იყო.

ერთობლივი ოპერაციების მიმდინარეობისას სრულმასშტაბიან საბრძოლო კონფლიქტში ავიაციის მოქმედებები მუშავდებოდა. კერძოდ, ერთ-ერთი ვარჯიშისას ამერიკულმა თვითმფრინავმა E-3 SENTRY AWACS-მა, რომელსაც თან ახლდა F-16 და Cy-30, შეტევა მიიტანა გამანადგურებელთა ჯგუფზე, რომლის შემადგენლობაში ასევე იყო F-16 და Cy-30 და გამანადგურებლები MIRAGE 2000-ები.

აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენლის თქმით, მსოფლიოში უკანასკნელ სამ ათწლეულში ჩატარებულ საერთაშორისო სწავლებათა შორის COPE INDIA 2005 ყველაზე უკეთ იყო ორგანიზებული.

ამერიკული მხრიდან მანევრებში მონაწილეობდნენ 12 გამანდგურებელი F-16 და იაპონიაში, ავიაბაზა „მისავაში“ დისლოცირებული 35-ე ესკადრილიის 250 სამხედრო მოსამსახურე.

ეს უკვე რიგით მეორე მანევრებია. მანამდე COPE INDIA 2004 გასულ წელს ჩატარდა. მაშინ მანევრების დროს ამერიკელმა და ინდოელმა მფრინავებმა სასწავლო ბრძოლების სერია ჩაატარეს. აშშ-ის დამრტყმელი ავიანაწილების მეთაურობის ხელმძღვანელის თქმით, 2004 წლის მანევრებში აშკარად გამოიკვეთა ინდიელი მფრინავების უპირატესობა.

# ისრაელი გერმანულ წყალქვეშა ნავებს იაფად შეიძენს

გერმანია თანახმაა, ისრაელს „დელფინის“ კლასის ორი წყალქვეშა ნავი მნიშვნელოვანი ფასდაკლებით მიჰყიდოს.

სუბმარინების მშენებლობა დაახლოებით 1 მლრდ ევრო დაჯდება. ისრაელის მთავრობა ამ თანხის მხოლოდ ორ მესამედს გადაიხდის.

წყალქვეშა ნავების შესახებ მოლაპარაკებებისას ისრაელი გერმანიას გარიგების ნაწილობრივ დაფინანსებას ან ხანგრძლივვადიან უპროცენტო კრედიტს სთხოვდა. გერმანიის მთავრობა დიდხანს არ თანხმდებოდა ისრაელს.

გარდა ამისა, გარიგება პოლიტიკური მიზეზითაც გაჭიანურდა. გერმანიის მთავრობა შიშობდა, რომ ებრაელები სუბმარინებს ბირთვული იარაღით აღჭურვავდნენ და ამით საფრთხეს შეუქმნიდნენ ახლო აღმოსავლეთის ბალანსს.

1990 წლის დამდეგს გერმანიამ ისრაელს „დელფინის“ კლასის ორი წყალქვეშა ნავი მიჰყიდა, რამდენიმე ხნის შემდეგ კი კიდევ ერთი სუბმარინა ფასდაკლებით.



SSN Dolphin98

# პოლონეთი ერაყს შეჯავშნულ „ტახებს" მიაწოდებს




პოლონეთი ერაყს 600 ერთეულ ყველგანმავალ DZIK-ებს (პოლონურად „ტახი") მიაწოდებს. პირველ პარტიაში 22 მანქანა იქნება. DZIKE-ებს პოლონური კომპანია bumar-ი აწარმოებს. სულ კონტრაქტის ფარგლებში ერაყის არმია 100 მლნ დოლარად ღირებულ 600 ავტომობილ DZIK-ს, ასევე 115 БТР-80-ებს მიიღებს.




პოლონეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლების განცხადებით, 38 კონტრაქტი, რომელთა თანახმადაც პოლონეთმა ერაყში სხვადასხვა შეიარაღება უნდა შეიტანოს, დაახლოებით ერთ მესამედს შეადგენს იმ თანხისა, რომელიც ბაღდადმა შეიარაღების შესაძენად გამოყო.

დაგეგმილია სამხედრო თვითმფრინავების მიწოდებაც. სავარაუდოდ, მათ პოლონეთი რუსეთისგან იყიდის. ერაყის არმია შეიარაღებაში 34 სამხედრო-სატრანსპორტო ვერტმფრენს, აქედან 24 ერთეულ Ми-8-სა და 10 Ми-17-ს მიიღებს.

ადრე ერაყის არმიის მოდერნიზაციის ფარგლებში ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა ერაყს 26 ათასი ერთეული სასროლი შეიარაღება, 9,3 მლნ ვაზნა და ჭურვი, ასევე 10 ათასი ჯარისკაცური ჩაჩქანი მიაწოდა.




ახლახან უნგრეთმა ერაყს 77 მოდერნიზებული ტანკი T-72 და 34 ერთეული БМП გადასცა. უკანასკნელი ბადრაგი ტანკებითა და ქვეითთა საბრძოლო მანქანებით ერაყის მე-9 მექანიზებული დივიზიის განკარგულებაში შევიდა. ეს ტანკები დივიზიის ორი სატანკო და ერთიც მექანიზებული ბატალიონების შეიარაღებაში იქნება. დივიზია ერაყის არმიის მეორე ბრიგადის შემადგენლობაშია.

სადამ ჰუსეინის მმართველობისას ერაყის არმიის შეიარაღებაში რამდენიმე ათეული T-72 იყო. ისინი ერაყს „საბაზო" მოდიფიკაციების სახით მიეწოდებოდა — შეიარაღების თანამედროვე მართვის სისტემებისა და სხვა მოწყობილობის გარეშე.

ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხლისა" და 2003 წლის ომის დროს ყველა მათგანი ან განადგურდა, ან ამერიკელთ ჯარებს ჩაუვარდა ხელთ. 90-იანი წლების დამდეგს უნგრეთმა ყველა T-72 შეიარაღებიდან მოხსნა და დააკონსერვა.

# „დარპა" ავტომატურ სათარგმნელ სისტემას ამუშავებს

მოწინავე თავდაცვითი პროექტების ამერიკული სააგენო DARPA პენტაგონის შეკვეთით ცდის ნოუთბუქს, რომელსაც დროის რეალურ მასშტაბსა და საბრძოლო პირობებში არაბული მეტყველების ინგლისურად და პირიქით გადათარგმნა შეუძლია. თუ ცდები წარმატებით დასრულდა, ავტომატური მთარგმნელი აშშ-ის შეიარაღებაში ახლო მომავალში შევა.



სისტემა ერთი წლის წინანდელი მოწყობილობის, phraserelator-ის გაუმჯობესებული ვარიანტია. ის ცალკეული ფრაზის ერთი ენიდან მეორეზე თარგმნის საშუალებას იძლევა. მოწყობილობას მსოფლიოს 53 ენაზე 15 ათასზე მეტი ფრაზის გამოცნობა შეუძლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული არმიის ორი სახე და ზოგიერთი თავისებურება

**საქართველოს სამხედრო უწყება გულმოდგინედ ასაიდუმლოებს საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე წინააღმდეგობრივ პროცესებს და სააშკარაოზე გამოაქვს არმიული ცხოვრების მხოლოდ პოზიტიური მომენტები: სამხედრო წვრთნა კარგად დაფინანსებული პროგრამის ფარგლებში და გარემონტებული ყაზარმები. ორსახოვანი ქართული არმიის ამ თავისებურებამ — ბრწყინვალებამ და სიღატაკემ, ერთდროულად, რელიეფურად იჩინა თავი ორი წლის განმავლობაში, რაც ქვეყანას ახალი ხელისუფლება მართავს.**

IPN



საქართველოს სამხედრო უწყებას არასოდეს ღირსებია ისეთი ფუფუნება, როგორიც წელს აქვს. ათჯერ გაზრდილი თავდაცვის ბიუჯეტი და პარტნიორი ქვეყნების – პირველ ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატების – სამხედრო დახმარება საქართველოს საშუალებას აძლევს, გაწვრთნას და საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანოს სახმელეთო ჯარების ყველა აქტიური კომპონენტი. ამერიკის დაფინანსების წყალობით სამი წელი უწყვეტ რეჟიმში მუშაობს კრწანისის სასწავლო ცენტრი, სადაც ყველაზე თანამედროვე სწავლების პროგრამა უკვე 400-მდე ქართველმა ჯარისკაცმა და კაპრალმა გაიარა. გასული კვირის დასაწყისში „საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციების მოსამზადებელ პროგრამაში“ ბათუმის 23-ე ბატალიონი ჩაება. სწავლების გრაფიკი ისეა შედგენილი, რომ სამხედროებმა მაქსიმალური ცოდნა შეიძინონ ტაქტიკურ და საცეცხლე მომზადებაში, სრულყონ ფიზიკური მომზადება და მიეჩვიონ დისციპლინას. ეს უკანასკნელი ქართველი ჯარისკაცების აქილევსის ქუსლია და ამიტომ პლაცზე სამწყობრო მომზადებას არანაკლები დრო მიაქვს, ვიდრე იარაღის შესწავლასა და სროლას.



## „რეკორდსმენი“ პრეზიდენტი და ახალი ყაზარმები

ამ სასწავლო ცენტრს ხშირად სტუმრობს თავად საქართველოს პრეზიდენტი.

მიხეილ სააკაშვილი კრწანისის პოლიგონს ბოლოს მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილთან ერთად ოქტომბრის დამლევს, დილის ექვს საათზე ესტუმრა და რეკრუტებთან ერთად ოთხკილომეტრიანი კროსიც გაირბინა. მართალია, იმ დღეს ქართველ ჟურნალისტებს ცოტა მეტი მოუვიდათ და პრეზიდენტს ოთხი კილომეტრის დაფარვა 15 წუთში მიაწერეს, რაც მსოფლიო რეკორდია, მაგრამ თავისთავად მისასალმებელია ის ფაქტი, რომ გაზრდილი ბიუჯეტით თავდაცვის სამინისტრომ გასულ კვირას სენაკში ახალგარემონტებული სამხედრო ნაწილი გახსნა. ღონისძიება ვარდების რევოლუციის მეორე წლისთავს დაამთხვიეს, რითაც კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი არმიის, ხალხისა და ხელისუფლების ერთიანობას და, რაც მთავარია, ყველასათვის ნათელი გახდა, რომ დასავლეთის და, კერძოდ, აფხაზეთის მიმართულება სამხედრო თვალსაზრისით კვლავ დაბრუნდა თბილისის სტრატე-

გიულ გეგმაში. აღსანიშნავია, რომ მე-2 მოტომსროლელი ბრიგადა სენაკში სოხუმის დაცემიდან ნახევარ წელიწადში ჩამოყალიბდა, მაგრამ 1999 წელს, მას შემდეგ, რაც პოლკოვნიკმა აკაკი ელიავამ ნაწილში ამბოხება მოაწყო და ქუთაისისაკენ დაიძრა, გაუქმდა. შევარდნაძის ხელისუფლებამ, რომელიც თავდაცვას 30%-ითაც ვერ აფინანსებდა, მშიერი ამბოხების განმეორების თავიდან ასაცილებლად სენაკში დისლოცირებული სამხედრო ნაწილის დაშლა გადაწყვიტა. დღეს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ფულსა და ენერგიას არ იშურებს იმისათვის, რომ სენაკში კვლავ აღორძინოს მოტომსროლელი ბრიგადა, რომელიც, სავარაუდოდ, ამერიკელების მიერ გაწვრთნილი პროფესიონალი ჯარისკაცებით დაკომპლექტდება. თანაც სენაკიდან რამდენიმე ათეულ კილომეტრში სააკაშვილს ეგულება რეჟიმი, რომლის გასაგონადაც ერთი წლის წინ ასეთი სიტყვები ითქვა: „ჩვენ ბოლომდე დავიცავთ ქართველ საზოგადოებას, მაგრამ ის, ვინც იარაღს აიღებს და საქართველოში დააწესებს საზღვრებს, ქართული არმიის მიერ ლიკვიდირებული და განადგურებული იქნება“ (პრეზიდენტის გამოსვლა 2004 წლის 24 თებერვალს).

## უპასუხოდ დარჩენილი კითხვები – რას წარმოადგენს დღეს ქართული ჯარი?

ცხადია, ხელისუფლება ცდილობს, დაარწმუნოს საზოგადოება, რომ არმია ძლიერი, გაწვრთნილი და დისციპლინებული ინსტიტუტია. ბევრი ფულიც იხარჯება სარეკლამო კლიპების გადაღებაზე, კლიპებისა, რომელთაც ე.წ. „პრაიმტაიმში“ ატრიალებენ სატელევიზიო არხები. მიუხედავად ამისა, ქართულ ჯარში, რბილად რომ ვთქვათ, არც ისე კარგად არის საქმე, როგორც სურთ წარმოაჩინონ.

მართალია, ქვეყანა დიდ ფულს (ზოგჯერ ზომაზე მეტსაც) ხარჯავს სამხედრო ძალების საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, მის ტექნიკურ აღჭურვასა და გაწვრთნაზე, მაგრამ პროფესიონალების დეფიციტი ვერ უზრუნველყოფს მიღწეულის შენარჩუნებას.

როგორც ავადსახსენებელი უკრაინული „უხარისხო იარაღის“ – საბრძოლო ქვეითთა მანქანების შემთხვევაშია, პროფესიონალი ეკიპაჟების არარსებობა უმთავრესი მიზეზია იმისა, რომ მოქალაქეების ფულით შეძენილი ძვირად ღირებული ტექნიკა მწყობრიდან გამოვიდა.

გარდა ამისა, ბევრ სამხედრო ნაწილში, რომლებიც პრიორიტეტულ, ე. წ. ელიტურ ქვედანაყოფთა სიაში ვერ მოხვდნენ, კვლავ მოუგვარებელია ელემენტარული ყოფითი პირობები: დაბალკალორიულია კვება, ყაზარმები და სასადილოები კეთილმოუწყობელია, შენობები არ თბება, ელექტროენერგია შეფერხებით მიეწოდებათ და სხვ.

ერთ-ერთი ასეთი სამხედრო ნაწილია თავდაცვის სამინისტროს მე-4 ბრიგადა, რომელიც ყოფილი მერვე პოლკის ტერიტორიაზეა განთავსებული.

სწორედ იქ გაიმართა 15 ნოემბრის გვიან ღამეს მასობრივი ცემა-ტყეპა, რომლის დროსაც დაუზუსტებელი ინფორმაციით, 12-მდე ჯარისკაცმა მიიღო სხეულის დაზიანება.

აღსანიშნავია, რომ აგვისტოს ბოლოს ე.წ. საყოფაცხოვრებო ნიადაგზე გორის სასწავლო ცენტრშიც ატყდა ჩხუბი, რომელშიც ასევე რამდენიმე ასეული კაცი მონაწილეობდა. მიუხედავად იმისა, რომ ინციდენტს მაშინაც უამრავი თვითმხილველი ჰყავდა, თავდაცვის სამინისტრომ საზოგადოებისათვის ინფორმაციის მისაღები ყველა წყარო გადაკეტა. არადა, სამხედრო ექსპერტები და ჯარისკაცთა უფლებების დამცველები მიიჩნევენ, რომ გორის ინციდენტს საზოგადოების შეფასება რომ მოჰყოლოდა და დამნაშავეები დასჯილიყვნენ, თბილისის ცენტრში ჯარისკაცებს შორის ასეთივე მასობრივი ცემა-ტყეპა აღარ მოხდებოდა.

საქართველოს სამხედრო უწყება და ხელისუფლება მოქმედებენ პრინციპით – „ნაგავი გარეთ არ უნდა გავიდეს, თუნდაც ძალიან ყარდეს!“

## სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობების პრობლემები

ზემომოყვანილი პრინციპი სერიოზულად აფერხებს სამოქალაქო საზოგადოების ჩაბმას სამხედრო მშენებლობაში, რაც ქვეყნისათვის NATO-სთან ინდივიდუალური თანამშრომლობის გეგმით გათვალისწინებული ერთ-ერთი ძირითადი ვალდებულებაა. ასეც რომ არ იყოს, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, რაც ქვეყნის სამხედრო უწყებას ირაკლი ოქრუაშვილი უდგას სათავეში, თითებზე ჩამოსათვლელია ის ღონისძიებები, რომლებზეც არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ჟურნალისტებს (ისიც ყველას არა) დასწრების შესაძლებლობა მიეცათ. რაც შეეხება პრესკონფერენციებს, გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითვას, რომ ირაკლი ოქრუაშვილის მინისტრობის დროს ჟურნალისტებთან ურთიერთობის ეს ფორმა დავიწყებას მიეცა. საზოგადოებას, რომელიც საკუთარი ჯიბიდან აფინანსებს სამხედრო უწყებას, არ შეუძლია გაიგოს, რატომ მიდის დაუსრულებლად საკადრო რეორგანიზაცია სამხედრო უწყებაში (სულ ბოლოს, 18 ნოემბერს, სამხედრო დაზვერვის მთელი დეპარტამენტი კადრების განკარგულებაში გადაიყვანეს), რატომ დაითხოვეს კურსანტები ეროვნული თავდაცვის აკადემიიდან იმ დროს, როდესაც პროფესიონალი ოცმეთაურების დეფიციტი სულ უფრო თვალში საცემია, რაც პარლამენტის წინაშე გამოსვლისას თავად თავდაცვის მინისტრმაც აღიარა. ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ დაუსრულებელ საკადრო და საორგანიზაციო ექსპერიმენტებს ნატოელი ექსპერტებსა და დასავლელი მეგობრების რჩევას მიაწერენ. არადა, მთელი პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, რომ არც ამერიკის ევროპული ძალების სარდლობის მიერ გაკეთებულ შეფასებაში და არც NATO-სთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმაში (აი-პა-პი), არაფერია ნათქვამია ამგვარ ექსპერიმენტებზე. ჩვენი დასავლელი კოლეგებისათვის მთავარია, რომ საქართველოს სამხედრო ძალის ყველა კომპონენტი თავსებადი, ფუნქციური და სამოქალაქო კონტროლს დაქვემდებარებული იყოს.




**სპეციალურად „არსენალისთვის“**
**კობა ლიკლიკაძე,**
**„რადიო თავისუფლება“**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „შიშველი" ტანკების შესყიდვა გრძელდება

T-72M-ი ჯერ კიდევ ჩეხური არმიის შეიარაღებაზე ყოფნის დროს... ამ ფოტოზეც ნათლად ჩანს, რომ ტანკი დამატებითი დინამიკური დაცვის კონტეინერებით არ არის „შემოსილი"





დინამიკური დაცვის კონტეინერებით აღჭურვილი T-72AB

## ვინ და რატომ სწირავს 150 ქართველ ტანკისტს სასიკვდილოდ?

არსებობს თემები, რომლის გაშუქებითაც შენი ქვეყნის პოტენციურმა მოწინაალმდეგემ შეიძლება დამატებითი ინფორმაცია მიიღოს. თუმცა ამჯერად ის შემთხვევაა, როდესაც დუმილი უფრო საზიანო იქნება საქართველოს სამხედრო ძლიერებისთვის. ამასთან 150 ქართველი ტანკისტი პოტენციური მსხვერპლი ხდება მომავალ შესაძლო შეტაკებებში.

„კვირის პალიტრაში" ამ სტატიის ავტორმა ჩეხეთიდან შესყიდული „შიშველი" ტანკების პრობლემის წამოჭრა სცადა, თუმცა ამას ხელისუფლებისგან რეაგირება არ მოჰყოლია. ერთი ეს არის, რომ სტატიის გამოქვეყნებისთანავე სტატიის ავტორის ძმა არმიის განვითარების ფონდიდან დაითხოვეს ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, მხოლოდ ერთი განუმარტეს – სამსახურიდან დათხოვნას ძმის სტატიას უმადლოდეო.

ვინმეზე გაბრაზება ან ბოღმის გულში ჩადება არ ღირს. შემაშფოთებელი სულ სხვა რამ არის – თავდაცვის სამინისტრო ჯიუტად აგრძელებს იმავე ტანკების დამატებითი პარტიის ყიდვას ჩეხეთში.

ემოციის გარეშე, წმინდა ტექნიკური მონაცემებით შევეცდები დავამტკიცო, რატომ არის შეცდომა და დანაშაულიც ჩეხეთიდან ჩეხოსლოვაკიური წარმოების უკვე მოძველებული T-72M ტიპის ტანკების ყიდვა. ზოგი ტანკს ქვეითთა საბრძოლო მანქანისგან ვერ არჩევს, ზოგიერთისთვის

ქართული ბიბლიოთეკა

**ჩვენი დოსიე:**

T-72Б1 და T-72AB ტიპის ტანკებზე „კონტაქტის“ ტიპის დინამიკური დაცვის კონტეინერები დგას (T-72Б1-ზე 227 კონტეინერია, აქედან კორპუსს 61, კოშკურას 70, ხოლო ბორტებს კი 96 ცალი იცავს). კონტეინერში მოთავსებულია პლასტიტის ტიპის ასაფეთქებელი ნივთიერება. იგი არ რეაგირებს ტყვიისა ან ნამსხვრევის მოხვედრაზე, თუმცა კუმულაციური ჭავლის შეხებისთანავე დეტონირდება და აფეთქებს კონტეინერის კორპუსს, რომლის რკინის ნამსხვრევები საწინააღმდეგო მიმართულებით დიდი სიჩქარით გაიტყორცნება. ნამსხვრევები კვეთენ მიმართული კუმულაციური ჭავლის ტრაექტორიას, რაც მკვეთრად ასუსტებს კუმულაციური ჭავლის ზემოქმედებას უშუალოდ ტანკის ჯავშანზე (არანაკლებ 50-80%-ით). დინამიკური დაცვის კონტეინერების დაყენების ადგილზე 350-400 მმ-ით იზრდება ანტიკუმულაციური წინააღმდეგობა; ანუ თუკი РПГ-7-დან ნასროლი კუმულაციურ-ქობინიანი რაკეტის ПГ-7ВЛ ჯავშანგამტანობა 500 მმ-ს აღწევს, დინამიკური დაცვის კონტეინერზე მოხვედრისას მისი კუმულაციური ჭავლის უმეტესი ენერგია დაიხარჯება, დარჩენილი კი საკმარისი აღარ იქნება უშუალოდ ტანკის მრავალშრიანი შუბლა ჯავშნის გასახვრეტად.

ჩეხეთიდან ჩამოტანილი T-72M ტიპის ტანკის შუბლა ჯავშანს დინამიკური დაცვის კონტეინერები არ ფარავს. ტანკის შუბლა ჯავშანი სამი შრისგან შედგება — წინა და უკანა შრის ჯავშნები, შესაბამისად, 60მმ და 50მმ სისქის ფილებს წარმოადგენენ, რომელთა შორის 105მმ სისქის მინატექსტოლიტია (ქვიშის სახით) მოთავსებული. გამოდის, რომ ჩეხური ტანკის შუბლა ჯავშნის საერთო სისქე არა უმეტეს 215მმ სისქისაა, რაც არასაკმარისია ხელის უბრალო ყუმბარმტყორცნიდან ნასროლი კუმულაციურ-ქობინიანი რაკეტის შესაკავებლად, რომ აღარაფერი ვთქვათ უფრო მძლავრ ტანკსაწინააღმდეგო მართვად რაკეტებზე.

უფრო საგანგაშო სიტუაცია შეიქმნება, თუკი კუმულაციურქობინიანი რაკეტა ტანკს გვერდიდან მოხვდება, სადაც ჯავშნის სისქე 50-70 მმ-ია. ჩეხური T-72M-ის ბორტებიც სრულიად „შიშველია“ და მათი დაცვა მხოლოდ დინამიკური დაცვის კონტეინერებითა და ფალშბორტებით შეიძლება.

კი ყველა T-72 ერთი და იგივეა. თუმცა სხვადასხვა მოდიფიკაციის T-72-ებს სხვადასხვა სისქის ჯავშანი და დამატებითი თავდაცვის საშუალებები აქვს, რაც სულერთი სულაც არ იქნება ტანკში მსხდომი სამკაციანი ეკიპაჟისთვის თუ მას ჯავშანგამტანი ჭურვები ან კუმულაციურ-ქობინიანი რაკეტები მოხვდება.

ორფოლოს პოლიგონზე ზაფხულში გამართულ ჯავშანსატანკო სწავლებაზე „ჯავშანი-2005“ თავდაცვის სამინისტრომ სამი სხვადასხვა მოდიფიკაციის T-72-ები გამოიყვანა. მათ შორის იყო ის T-72Б1 ტიპის ტანკებიც, რომლებიც ჯერ კიდევ ვარდიკო ნადიბაიძის დროს რუსეთმა ახალქალაქის სამხედრო ბაზიდან გადმოგვცა (30 ერთეული).

**ორფოლოს პოლიგონზე T-72-ის სამი მოდიფიკაცია გამოჩნდა: ახალქალაქიდან გადმოცემული T-72Б1-ი; უკრაინაში ნაყიდი T-72AB და ჩეხეთიდან ჩამოტანილი T-72M**

T-72Б1 შედარებით თანამედროვე მოდიფიკაციაა იმ T-72-ებს შორის, რაც ქართული არმიის შეიარაღებაში დღესაც არის. მათი გაძლიერებული ჯავშანი ზემოდან დინამიკური დაცვის 227 კონტეინერით არის დაფარული. თუმცა სიმართლე უნდა ითქვას, განვლილი ათი წლის განმავლობაში კონტეინერები ცარიელი იყო, რადგან რუს სამხედროებს მათში ჩასაწყობი ასაფეთქებელი მოწყობილობები არ გადმოუციათ, შევარდნაძის ხელისუფლებას კი თავი არ შეუწუხებია მის საყიდლად.

T-72-ის მეორე მოდიფიკაცია, რომელიც ორფოლოს პოლიგონზე იქნა წარმოდგენილი, T-72A-ს წარმოადგენს. უკრაინაში 16 ასეთი ტანკი შეისყიდეს, თითოეული 216 ათას აშშ დოლარად. თავდაპირველად, ისინი თავისი ტექნიკური მონაცემებით, უპირველესად, დაცვის ხარისხით ჩამორჩებოდნენ T-72Б1-ს, თუმცა საქართველოში გამოგზავნამდე მათ მოდერნიზება T-72AB-ს დონემდე ჩაუტარდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ტანკებს შუბლა ჯავშანზე დამატებითი 22მმ სისქის ჯავშანი და რაც მთავარია, დინამიკური დაცვის კონტეინერები დაემატა. ამასთან, უკრაინელებმა რუსი სამხედროებისგან განსხვავებით კონტეინერებში ასაფეთქებელი მოწყობილობები მოათავსეს, რითაც T-72AB ქართულ არმიაში ყველაზე დაცულ ტანკად იქცა.

ტანკების უკრაინიდან შემოყვანიდან



ეროვნული ბიბლიოთეკა





**ამ ერთი შეხედვით, უბრალო კეტის მსგავს იარაღს მრისხანე ტანკის ნახშირის გროვად გადაქცევა შეუძლია...**

ცოტა ხნის შემდეგ ჩეხეთიდან 15 ერთეული T-72M ჩამოიყვანეს. სწორედ ეს ტანკებია T-72-ის მესამენაირი მოდიფიკაცია, რომლებიც ორფოლოს პოლიგონზე გამართულ სწავლებაში მონაწილეობდნენ.

ბუნებრივია, უკრაინაში შეძენილი კარგად დაცული ტანკების ხილვის შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ ჩეხეთიდან მათზე უარესს არ შევიძენდით. თუმცა იმედი გაქარწყლდა, მეტიც — ჩეხეთში ნაყიდი T-72M-ები, ფაქტობრივად, „შიშვლები" აღმოჩნდნენ. მათ არ აქვთ არც დინამიკური დაცვის კონტეინერები და არც ფალშბორტები სავალი ნაწილის ნახევრად დასაფარად. ამასთან, T-72M ტიპის ტანკი რეალურად საბჭოთა T-72A-ს იმ ვარიანტს წარმოადგენს, რომელსაც ყოფილ ჩეხოსლოვაკიაში ლიცენზიით უშვებდნენ. აქედან გამომდინარე, მაშინ მოქმედი დაუწერელი კანონის თანახმად, საბჭოთა ტანკების ჯავშნის სისქე და ხარისხი ყოველთვის უკეთესი იყო, ვიდრე ლიცენზიის წესით წარმოებულებისა.

რას ნიშნავს „შიშველი" ტანკის (ანუ დინამიკური კონტეინერებისა და ფალშბორტების გარეშე) ბრძოლის ველზე გაშვება, ყველაზე კარგად ჩეჩნეთის ომმა ცხადყო. გროზნოს ბრძოლებში (1994 წლის 31 დეკემბერი — 1995 წლის 1 აპრილი) რუსეთის ფედერალურმა ძალებმა 225 ერთეული ჯავშანტექნიკა დაკარგეს, მათ შორის 62 ცალი ტანკი. ეს სწორედ ის T-72A, T-72Б და T-80Б ტიპის ტანკები იყო, რომლებსაც ფალშბორტები და დინამიკური დაცვის კონტეინერები მოხსნილი ჰქონდათ, ან კონტეინერები ცარიელი იყო.

თავად განსაჯეთ — თუკი ჩეჩნებმა РПГ-7 ტიპის ხელის ყუმბარმტყორცნებიდან გაშვებული ტანკსაწინააღმდეგო კუმულაციური რაკეტებით ПГ-7-ებით თვით T-80-იც ააფეთქეს (რომელსაც ძლიერი ჯავშანი აქვს), მაშინ რას უზამენ ჩეხეთში ნაყიდ „შიშველ" T-72M-ებს საქართველოს ის მტრები, რომლებსაც მოსკოვი საუკეთესო ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებით (მათ შორის „ორთავიანი" კუმულაციურ-ქობინიანი რაკეტებითა და „ფაგოტებით") ამარაგებს?!

საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ზოგიერთი მაღალჩინოსანი აცხადებს, რომ საჭიროების შემთხვევაში ისინი ადვილად და სწრაფად დაუყენებენ დინამიკური დაცვის კონტეინერებს ჩეხეთიდან ჩამოყვანილ ტანკებს, მაგრამ ეს არცთუ იოლია. ჯერ ერთი, ჩეხოსლოვაკიური წარმოების T-72M-ების კორპუსებზე არ არის გათვალისწინებული ასეთი კონტეინერების დამაგრება. ამისთვის სპეციალური ტექნოლოგია, სპეციალური ელექტროდები და სპეციალურად მომზადებული შემდუღებლებია საჭირო. გარდა ამისა, დინამიკური დაცვის ერთი კომპლექტი 20-25 ათასი აშშ დოლარი ღირს. არადა, თავდაცვის სამინისტროში იმით ამართლებდნენ ჩეხეთში T-72M-ების ყიდვას, რომ ისინი მხოლოდ 200 ათასი აშშ დოლარი (თითოეული) დაჯდა, მაშინ, როდესაც უკრაინაში ნაყიდი ერთი T-72AB 216 ათასი აშშ დოლარი ღირდა, მაგრამ უკრაინაში ნაყიდ თითოეულ ტანკს გარდა დინამიკური დაცვის სრული კომპლექტისა, თან ნაღმების საწინააღმდეგო ტრალი (იგი 5-10 ათასი აშშ დოლარი ღირს) და ინდივიდუალური საკუთნოსა და სათადარიგო ნაწილების სრული კომპლექტი (საერთო ღირებულებით 10 ათასი აშშ დოლარი) მოჰყვა. ჩეხეთიდან ჩამოყვანილ ტანკებს კი თან ინდივიდუალური საკუთნოსა და სათადარიგო ნაწილების მხოლოდ 10% ახლდა.

არის კიდევ ერთი გარემოება, რაც ჩეხური ტანკების სასარგებლოდ არ მეტყველებს. ჩეხურ ტანკებს ბოლო კაპიტალური რემონტი ჯერ კიდევ 1996 წელს ჩაუტარდათ და მას შემდეგ გრძელვადიან შენახვის რეჟიმში არიან. აქედან გამომდინარე, ბოლო კაპიტალური რემონტიდან 10 წლის შემდეგ, ანუ 2006 წლისთვის ჩეხურ ტანკებს სარეგლამენტო სამუშაოების



**ვინც ქართველ ტანკისტებს „შიშველ" ტანკებში სვამს ეს ან უცოდინრობით მოსდის, ან საქმე კორუფციასთან გვაქვს, ან კიდევ ისინი ქართული არმიის მტრები არიან...**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩატარება სჭირდება, რაც ყველა ტანკზე რეზინა-ტექნიკური, პლასტმასისა და სხვა კომპოზიციური მასალებისგან დამზადებული დეტალების აუცილებელ შეცვლას, დანარჩენი დეტალებისა და აგრეგატების შემოწმებას, საწვავი და საპოხი მასალების შეცვლასა და კიდევ სხვადასხვა მოცულობის სამუშაოების ჩატარებას ითვალისწინებს. ყველაფერი ეს დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული და აუცილებლად მოითხოვს ქარხნის სპეციალისტების მონაწილეობას.

გამოდის, რომ საქართველოში ჩამოყვანიდან რამდენიმე თვეში ჩეხურ ტანკებს რემონტი უეჭველად დასჭირდებათ, მაშინ, როდესაც უკრაინულ ტანკებს კაპიტალური რემონტი ბოლოს 2005 წელს ჩაუტარდა და საგარანტიო ერთი წელი აქვთ.

ამ სტატიის დაწერის მომენტში „არსენალისთვის“ ცნობილი გახდა კიდევ ერთი ინფორმაცია, რომელიც უფრო გაუგებარსა და ძალიან საეჭვოს ხდის ქართული არმიისთვის ტანკების შესყიდვას მაინცდამაინც ჩეხეთში.

დეკემბრის დამდეგს საქართველოში კიდევ 35 ჩეხური T-72 უნდა ჩამოიყვანონ. გაოცებას იწვევს მათი ჩამოყვანის მარშრუტი. აქამდე ჩეხეთში ნაყიდი საბრძოლო ტექნიკა და სხვა იარაღი ეშელონებით სლოვაკეთის გავლით უკრაინაში, ნიკოლაევის საზღვაო პორტში იგზავნებოდა, საიდანაც იგი საზღვაო ბორნით ფოთში ჩამოდიოდა.

ამჯერად თავდაცვის სამინისტრომ რატომღაც ძალიან შორი გზა აირჩია — ჩეხური ტანკები ჯერ პოლონეთში, გდანსკის პორტში გადაიგზავნება, საიდანაც ევროპის შემოვლით, ატლანტიკის ოკეანის, ხმელთაშუა და შავი ზღვების გავლით ჩამოვა ფოთში. ეს უზარმაზარ ხარჯებთანაა დაკავშირებული — თითოეულ 200 ათასად შეძენილ ისედაც „შიშველ“ ჩეხურ ტანკს კიდევ 50 ათას დოლარს დაუმატებს. ამასთან, ოკეანის მარილიან წყალზე „სეირნობა“ ტანკების ჯავშნისთვის მაინცდამაინც სასარგებლო არ უნდა იყოს.

ასე რომ, წლის ბოლოს ქართულ არმიას ხელთ შერჩება 50 ცალი „შიშველი“ და ოკეანის „ჰაერნაყლაპი“ ჩეხური ტანკი, რომელშიც მჯდომი 150 ქართველი ტანკისტი ბევრად უფრო დაუცველი იქნება მტრის ტანკსაწინააღმდეგო კუმულაციური რაკეტებისგან, ვიდრე მათი კოლეგები, რომლებიც უკრაინაში ნაყიდი ტანკებით შეუტევს მოწინააღმდეგის პოზიციებს.

***ირაკლი ალადაშვილი***

# კვალიფიციური რჩევები

„არსენალი“ აგრძელებს რუბრიკას, რომელშიც კვალიფიციურ პასუხს გავცემთ ყველა დაინტერესებულ პირს მათთვის საინტერესო საკითხებზე. კითხვებზე უპასუხებს ასოციაცია „სამართალი და თავისუფლება“, რომელიც უფასო იურიდიულ მომსახურებას სთავაზობს წვევამდელებსა და სამხედრო მოსამსახურეებს. საკონტაქტო ტელეფონი: 95-89-80

## ვინ თავისუფლდება სამხედრო-სავალდებულო სამსახურისაგან?

*სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან თავისუფლდებიან:*

ა) ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სამხედრო სამსახურისათვის უვარგისად ცნობილი პირი;

ბ) პირი, რომელმაც სამხედრო სამსახური სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალებში გაიარა;

გ) პირი, რომელიც სისხლის სამართლის მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის არის ნასამართლევი;

დ) პირი, რომელიც გადის არასამხედრო, ალტერნატიულ, შრომით სამსახურს;

ე) ასპირანტი;

ვ) პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს სამეცნიერო ხარისხი და ეწევა პედაგოგიურ ან სამეცნიერო მუშაობას;

ზ) ერთადერთი ვაჟი ოჯახში, რომლის ერთი წევრი მაინც დაიღუპა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში ან სამხედრო სამსახურის გავლისას.

*საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია გაათავისუფლოს სამხედრო ვალდებულების მოხდისაგან განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული წვევამდელი.*

ვის გადაუვადდება სამხედრო-სავალდებულო სამსახური?

წვევამდელს სამხედრო სამსახურში გაწვევა გადაუვადდება, თუ:

ა) ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სამხედრო სამსახურის გავლისათვის დროებით უვარგისად არის ცნობილი — ვადით ერთ წლამდე;

ბ) მის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე — შესაბამისი ორგანოების მიერ სათანადო გადაწყვეტილების მიღებამდე;

გ) არის აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი — სწავლის დამთავრებამდე, უმაღლესი განათლების თითოეულ საფეხურზე;

დ) მან გადაიხადა სამხედრო-სავალდებულო სამსახურის გადავადებისათვის „სამხედრო-სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებელი;

ე) არის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის, დაწყებითი პროფესიული ან საშუალო სპეციალური სასწავლებლის მოსწავლე — 20 წლის ასაკამდე, თუ მას სასწავლებელში ჩარიცხვამდე არ ჰქონდა საშუალო განათლება;

ვ) პატრონობს შრომისუუნარო, მის კმაყოფაზე მყოფ ბებიას ან პაპას, თუ მას არა ჰყავს სხვა კანონიერი მომვლელი, რომელსაც შეუძლია მისი მოვლა-პატრონობა;

ზ) ჰყავს ორი ან ორზე მეტი შვილი;

თ) მის კმაყოფაზეა ოჯახის შრომისუუნარო წევრი, რომელიც საჭიროებს მუდმივ მზრუნველობას და არა ჰყავს სხვა კანონიერი მომვლელი, რომელსაც შეუძლია მისი მოვლა-პატრონობა;

ი) მის კმაყოფაზეა ოჯახის შრომისუუნარო წევრი, რომელიც საჭიროებს მუდმივ მზრუნველობას, ჰყავს ცალკე ოჯახად მცხოვრები და, რომელსაც არ შეუძლია ოჯახის შრომისუუნარო წევრის მოვლა-პატრონობა;

კ) მის კმაყოფაზეა არასრულწლოვანი ან/და ობოლი და-ძმა;

ლ) არის მღვდელმსახური ან სწავლობს სასულიერო სასწავლებელში;

მ) არის დედისერთა;

ნ) მუშაობს სოფელში მასწავლებლად ან ექიმად;

ო) გაწვევის გადავადების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით;

პ) ჰყავს ერთი შვილი — შვილის შეძენის დღიდან სამი წლის ვადით.

2. თუ წვევამდელი გაწვევის დღისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულია როგორც საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი, მას სამხედრო სამსახურში გაწვევა გადაუვადდება არჩევნების შედეგების დამტკიცებამდე. საქართველოს პარლამენტის წევრად არჩევის შემთხვევაში იგი თავისუფლდება სამხედრო ვალდებულების მოხდისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი თოთო ბავშვსაც არ ინდობს...



ОЗМ-72



ПМН-2

ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების ამკრძალავი კამპანია ჯერ კიდევ 1992 წელს წამოიწყო ექვსმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, 1997 წელს კი ოსლოს დიპლომატიურ კონფერენციაზე დაიდო ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების ამკრძალავი საერთაშორისო ხელშეკრულება. დღეისათვის ხელშეკრულებას 123-მა სახელმწიფომ მოაწერა ხელი, მაგრამ მისი რატიფიცირება დაახლოებით 64-მა ქვეყანამ მოახდინა. ამას მიზეზიც აქვს — ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებს 100 წელიც არ შესრულებია, მაგრამ XX საუკუნის ბოლოს მან არაჰუმანური იარაღის სახელი მოიხვეჭა. თუმცა, დღეისათვის მსოფლიოს მრავალი ქვეყნის არმიების შეიარაღებაში ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი იარაღის სახეობად რჩება. სწორედ ამიტომაც არ ჩქარობენ ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვასა და განადგურებას ისეთი ძლიერი სამხედრო პოტენციალის მქონე ქვეყნები, როგორიცაა რუსეთი, ჩინეთი და თვით აშშ-ც კი.

მცირეოდენი ისტორიული ექსკურსი...

ორმა მსოფლიო ომმა და განსაკუთრებით ლოკალურმა კონფლიქტებმა, ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმები მასობრივი განადგურების იარაღად აქცია. ეს არის იარაღი, რომელიც ხშირად არ კლავს ადამიანს, მაგრამ სამუდამოდ კი ასახიჩრებს. მსოფლიო გაივსო ხეიბრებით. საერთაშორისო წითელი ჯვრის მონაცემებით, მსოფლიოში ყოველთვიურად ნაღმების აფეთქებით იღუპება ან სახიჩრდება 2 ათასამდე კაცი.

64 ქვეყნის ტერიტორიაზე 110 მილიონამდე ტანკსაწინააღმდეგო და ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმია ჩადებული. ყველაზე მეტად დანაღმული ქვეყნების ნუსხას (ეთიოპია, ანგოლა, ავღანეთი, კამბოჯა, ბოსნია) მეცამეტე წელია, საქართველოც შეემატა.

ნაღმების მასობრივი გამოყენება საქართველოში ჯერ კიდევ ცხინვალის ომის დროს დაიწყო.

ეს კი იმ ფაქტმა განაპირობა, რომ ცხინვალში ათწლეულობით დისლოცირებულ საბჭოთა საინჟინრო-მენაღმეთა პოლკში საკმაოდ ბევრი ოსი ეროვნების სამხედრო მსახურობდა. 1992 წლის 9 მაისის „თავდასხმის“ შემდეგ ოსებს დარჩათ 3 ათასამდე სხვადასხვა ტიპის ნაღმი, მათ შორის, ქვეითსაწინააღმდეგოც.

სტატიის ავტორი უშუალო მოწმეა იმ „ნაღმური ომისა“, რომელიც ცხინვალის რეგიონში დაიწყო და რომელმაც მოგვიანებით აფხაზეთში მართლაც გრანდიოზული მასშტაბები მიიღო.

საბჭოთა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის „წყალობით“ საქართველოს მიწაზე ნაღმები უხვად „დაითესა“.

ПМН, ПМН-2, ПФМ-1с, ОЗМ-72, МОН-50, МОН-90 — აი, არასრული სია იმ ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებისა, რომლებიც დღესაც ემუქრება მოსახლეობას მთლიანად საქართველოში.

ნაღმებს ეწირება მრავალი ადამიანის ჯანმრთელობა, მათ შორის, სრულიად უდანაშაულო, მშვიდობიანი მოქალაქეებისა და ბავშვებისა, რადგან „ჰუმანურმა“ კონსტრუქტორებმა მინიმალური დაწოლა, რაც ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმს ამოქმედებს, 5 კგ-ით განსაზღვრეს — ე. ი. თოთო ბავშვიც რომ გადაცოცდეს ПМН-2-ზე, ის აფეთქდება.

სწორედ ამის შედეგია, რომ საბჭოთა არმიის ცხრაწლიანი „სტუმრობის“ შემდეგ ავღანელი ბავშვების უმეტესობა ცალფეხაა.

აფხაზეთის ომში ხშირად უდროობის, უმეტესად კი უცოდინარობის გამო არ ადგენდნენ ნაღმური ველის ზუსტ რუკას. მდინარე გუმისთის ადიდებას მოჰყვა ასობით ნაღმის, განსაკუთრებით, მსუბუქი ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების გადაადგილება. დღეს არავინ იცის, რომელ ადგილებში იყო ნაღმური ველები გუმისთაზე, ტყვარჩელის მისადგომებთან თუ გალის რაიონში.

2004 წლის ზაფხულის შეტაკებების დროს ხელახმა დაინაღმა ცხინვალის შემოგარენი და ქართული სოფლების შემოგარენი.

ქვეითსაწინაღდმეგო ნაღმების დამზადების აკრძალვის შემთხვევაშიც მსოფლიო თავისუფლად ვერ ამოისუნთქავს, რადგან 110 მილიონზე მეტი ნაღმის განაღმვას ასეულობით წელი და უზარმაზარი თანხა დასჭირდება.

სამხედრო ექსპერტების მონაცემებით, თუ ერთი ნაღმი 3-დან 30 დოლარამდე ღირს, მისი აღმოჩენა და გაუვნებელყოფა 300-დან 1000 დოლარამდე ჯდება.

110 მილიონი ნაღმის განაღმვას არანაკლებ 33 მილიარდი დოლარი დასჭირდება, ხოლო იმისათვის, რომ დედამიწა მთლიანად გაიწმინდოს, ასტრონომიული დრო — 1100 წელი იქნება საჭირო.

პრეზიდენტი თანახმაა, რომ საქართველოც შეუერთდეს ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის ხელშეკრულებას. თუმცა ეს არცთუ ისე ადვილი იქნება, რადგან საკითხი ჯერ ქვეყნის უშიშროების საბჭომ უნდა განიხილოს და შემდეგ მისი რატიფიცირება პარლამენტმა მოახდინოს.

ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებს არაჰუმანურ იარაღად მიიჩნევენ, მაგრამ იმის თქმა, რომ საქართველომ სასწრაფოდ უნდა გაანადგუროს მის შეიარაღებაში არსებული ნაღმები, არ იქნება სწორი.

არ იქნება სწორი იმ მოსაზრებით, რომ საქართველო ჯერ კიდევ საბრძოლო მოქმედებების ზღვარზე იმყოფება და ხელაღებით უარის თქმა ასეთ ეფექტიან იარაღზე, სისულელე იქნებოდა. მით უმეტეს, რომ ჩვენი მეზობელი ქვეყნები — რუსეთი, თურქეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების მარაგის განადგურებას, ჯერჯერობით, სულაც არ აპირებენ.

ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თუკი საქართველო შეუერთდება ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის ხელშეკრულებას, მაშინ ავტომატურად პასუხისმგებელი გახდება მის ტერიტორიაზე არსებულ „თეთრ ლაქებზე“ — აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში სეპარატისტების შეიარაღებაში არსებული ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების განადგურებაზეც, არადა, თბილისს არც ცხინვალი და, მით უმეტეს, არც სოხუმი, ამის საშუალებას არ მისცემს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საერთაშორისო ტერორიზმი:

## გუშინ დღეს ხვალ



### გუშინ...

საბჭოთა კავშირი, თავისი არსებობის მანძილზე, აშკარად თუ ფარულად, ტერაქტების ორგანიზებაში ყოველთვის მონაწილეობდა. „მსოფლიო რევოლუციის“ მოხდენის სურვილის, „ინტერნაციონალური სოლიდარობისა“ და სხვა მრავალი ლოზუნგის უკან ჩვეულებრივი, სისხლიანი ტერაქტები იმალებოდა. ეკონომიკური დივერსიები და საბოტაჟი, რაც საბჭოთა სპეცსამსახურების ყოველდღიურ საქმიანობას წარმოადგენდა, დღევანდელი საერთაშორისო ტერორიზმის საფუძველი და სათავე გახდა. საბჭოთა კავშირი სახელმწიფო ტერორიზმის ცენტრი იყო და მსოფლიოს თითქმის ყველა ტერორისტულ ორგანიზაციას უწევდა ფინანსურ და სამხედრო დახმარებას. თუ ტერაქტები „საზიზღარი კაპიტალისტების“ წინააღმდეგ იყო მიმართული, სამხედრო-დივერსიულ ჯგუფებს კა-გე-ბეს პირველი მთავარი სამმართველოს (საგარეო დაზვერვის) მე-8 განყოფილება (საზღვარგარეთ დივერსიების, მკვლელობებისა და ტერაქტების ორგანიზატორი) ამზადებდა. ანალოგიური სტრუქტურა იყო შექმნილი სამხედრო დაზვერვაშიც.

სრულიად საიდუმლო დანაყოფების მიერ განხორციელებული მკვლელობებისა და ტერაქტების შესახებ „არსენალის“ წინა ნომრებში დაწვრილებით უკვე გვქონდა საუბარი. ამჯერად კი საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ უცხოელი ტერორისტების მომზადების საიდუმლო ფაქტებზე შევჩერდებით.

1967 წელს არაბული ქვეყნების ისრაელისგან განცდილი სასტიკი მარცხის შემდეგ, რასაც მოსკოვში საკუთარ დამარცხებადაც მიიჩნევდნენ, საბჭოთა პოლიტბიურომ არაბი მებრძოლების სამხედრო-დივერსიული მომზადების გაძლიერების შესახებ საიდუმლო დადგენილება მიიღო. ხუთ წელიწადში შვიდ ათასზე მეტმა პალესტინელმა, ეგვიპტელმა, სირიელმა და ერაყელმა სამხედრო-დივერსიული მომზადების სრული კურსი საბჭოთა კავშირში — ბაქოს, ტაშკენტის, სიმფეროპოლისა და ოდესის სპეციალურ საიდუმლო სამხედრო ნაწილებში გაიარა. ასეთივე მომზადებას გადიოდნენ არაბი და სამხრეთამერიკელი ტერორისტები აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში (ძირითადად, ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, აღმოსავლეთ გერმანიასა და ბულგარეთში).

უცხოელი სამხედრო მოსამსახურეების მომზადების მთავარი ცენტრი, რომელიც 1965 წლიდან მოქმედებდა, სიმფეროპოლსა და ალუშტას შორის მდებარეობდა. მას „უცხოთა“ თვალის ასახვევად 165-ე სასწავლო ცენტრი ერქვა. 1980 წლიდან ის უკვე სიმფეროპოლის გაერთიანებული სამხედრო სასწავლებლის სახელს ატარებდა. დაარსების დღიდან (სსრკ-ის დაშლამდე) მხოლოდ ამ ცენტრში სადაზვერვო-დივერსიული მომზადება (ხიდების, რკინიგზებისა და ავტომობილების აფეთქება, თვითმფრინავების ჩამოგდება, მძევლების აყვანა და სხვა კიდევ ბევრი ტერორისტული „ოინი“) განვითარებადი ქვეყნების 18-20 ათასმა ბოევიკმა გაიარა. ყველაზე მეტნი პალესტინელები იყვნენ, როგორც იასირ არაფატის მეომრები, ასევე კონკურენტი დაჯგუფებების ბოევიკები. პალესტინელი ტერორისტების მოქმედების არეალს თუ გავიხსენებთ, ცხადი ხდება, ტერაქტების რაოდენ გრანდიოზული გეგმები ჰქონდათ. აშშ-ის, ევროპის, ისრაელის, საუდის არაბეთის, სპარსეთის ყურის, სხვა ქვეყნების სამხედრო ნაწილები, სამრეწველო ობიექტები და სამოქალაქო დაწესებულებები (კაფე-ბარები, კინოთეატრები, დისკოთეკები და ა.შ.) თავდასხმის ძირითადი ობიექტები იყვნენ.

საბჭოთა სპეცსამსახურები ცდილობდნენ, მაქსიმალურად გაეკონტროლებინათ ტერორისტები და მათი ხელით თავისი საქმეებიც მოეგვარებინათ. ტერორისტული ოპერაციებისათვის ბოევიკებს ხშირად თანამედროვე იარაღითა და ოპერატიულ-ტექნიკური საშუალებებით ამარაგებდნენ. მათთვის ფინანსური, ტექნიკური და ორგანიზაციული დახმარება საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის უმაღლეს დონეზე, პოლიტბიუროს სხდომაზე წყდებოდა.

საბჭოთა სპეცსამსახურები პოლიტბიუროს დავალებით ფარულად აწვდიდნენ ფულსა და იარაღს „ირლანდიის რევოლუციური არმიის“ მებრძოლებსა და ეტა-ს ბასკ სეპარატისტებს.

თავის მხრივ, არც აშშ ჩამორჩებოდა საბჭოთა კავშირს. ყოველწლიურად ასეულობით მილიონი დოლარი იხარჯებოდა ნიკარაგუელი „კონტრასისა“ და ავღანელი მოჯაჰედების მოსამზადებლად.

ავღანეთში საბჭოთა ჯარების შეყვანის შემდეგ კი აშშ ავღანელ პარტიზანებს შურავების (ასე შეარქვეს ავღანელებმა საბჭოთა მეომრებს) წინააღმდეგ ბრძოლაში ეხმარებოდა. ფინანსური და სამხედრო დახმარება ერთი დღითაც არ შეწყვეტილა. თუ საერთაშორისო მასმედიაში გავრცელებულ ცნობებს დავეყრდნობით, სწორედ ამერიკელთა ძალისხმევით შეიქმნა „თალიბანი“, რომელიც თანდათან იმდენად გაძლიერდა, რომ ისევ აშშ-ს მოუხდა მისი მორჯულება.

**რა არის დაზვერვა...**

**„მთავრობის ან კერძო პირის ან კერძო სტრუქტურის მოქმედება სხვა მთავრობების, პოლიტპარტიების, სტრუქტურების, პიროვნებების უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი, შექმნა, გავრცელება და გამოყენება“.**

## ...დღეს...

დღე არ გავა, რომ მსოფლიოს რომელიმე კუთხეში ტერაქტი არ მოხდეს, რომელსაც ათეულობით ადამიანის სიცოცხლე ეწირება.

ბოლო დროის თითქმის ყველა ტერაქტის უკან ჯერჯერობით მოუხელთებელი მილიონერი უსამა ბენ ლადენი მოიაზრება. მისი დაფინანსებით უპირველესად ისლამისტი ფანატიკოსი ტერორისტები სარგებლობენ. უცხოეთის სპეცსამსახურების ცნობით, 1990 წლის დამდეგს, ირანი ყოველწლიურად 500 მლნ დოლარით აფინანსებდა ტერორისტულ ორგანიზაციებსა და ექსტრემისტულ ჯგუფებს ერაყში, ალჟირში, პალესტინაში და ა.შ. უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად შეიცვალა ტერორიზმის ბუნება და მოტივაცია. დღეს ტერორისტები ფანატიკოსი-რევოლუციონერები და ბოევიკი-კამიკაძეები აღარ არიან. მათ უკან მძლავრი საფინანსო და სამხედრო-სამრეწველო ჯგუფები, მილიონერები და მილიარდერები დგანან. ბოლო დროს ტერორიზმი პრაგმატული გახდა და ბევრი მას, განსაკუთრებით მძევლების აყვანას, მომგებიან ბიზნესად მიიჩნევს.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით, სპეცსამსახურები აშკარად ვერ უმკლავდებიან ტერორიზმს. ჩვენი აზრით, ამას რამდენიმე მიზეზი აქვს.

### რუსეთის მაგალითი

რუსეთის მმართველი წრეების მთავარი პოლიტიკური შეცდომა ის იყო, რომ იმპერიის აღდგენის ილუზიით გონებადახშულებმა სეპარატისტული ტერორიზმისა და ექსტრემიზმის „ჯინი" 1990-93 წლებში ბოთლიდან ამოუშვეს. მათი დახმარებით ოსმა და აფხაზმა სეპარატისტებმა, რუსეთის სპეცსამსახურების მიერ შექმნილი ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა კონფედერაციის თანადგომით, ასევე რუსეთის არმიისა და სპეცდანიშნულების რაზმის აქტიური მონაწილეობით აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ასეულათასობით მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობა გამოაძევეს რეგიონებიდან. ამ ტრაგიკული მოვლენებიდან სულ ერთი წელიწადი იყო გასული, როცა რუსეთს „ავი საქმე" წინ – ჩეჩნეთში, დაღესტანში, ნალჩიკში და კიდევ ბევრგან დახვდა. ორმაგი სტანდარტები საგარეო პოლიტიკაში რუსეთის დიდი სისუსტეა. რუსეთის ხელისუფალნი აცხადებენ, ჩეჩნები ტერორისტები არიან, ხოლო აფხაზი და ოსი ბოევიკები „თავისუფლებისთვის მებრძოლი პარტიზანებიო". ამგვარი უსამართლო მიდგომით, ეს ქვეყანა, რომ იტყვიან, შორს ვერ გაფრინდება.




სამხედრო თვალსაზრისით კი რუსეთის მთავარი შეცდომა ანტიტერორისტული ოპერაციების ორგანიზაციისა და დაგეგმვის დაბალი დონე, აგენტურული დაზვერვის არყოლა, პარტიზანების წინააღმდეგ არმიისა და მძიმე ტექნიკის გამოყენება და ე. წ. „ზაჩისტკების" დროს მშვიდობიანი მოსახლეობის დაწიოკებაა.

2004 წლის 16 აგვისტოს რუსეთის პრეზიდენტი კრემლში შინაგანი ჯარის 12 პოლკოვნიკს შეხვდა. ისინი ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში ახალშექმნილ ოპერატიული მართვის ჯგუფებს ხელმძღვანელობენ. მასში გაერთიანდნენ უშიშროების ფედერალური სამსახურის, შსს-ს, შინაგანი ჯარების და საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს ადგილობრივი ქვედანაყოფები. ფაქტობრივად, ანტიტერორისტული ოპერაციების ჩატარების პრეროგატივა სპეცსამსახურებიდან და საგანგებო დანიშნულების რაზმებიდან შინაგან ჯარებს გადაეცა, რომელსაც აგენტურული გზებით ინფორმაციის მოპოვების, ანალიზისა და თუნდაც ქალაქში პარტიზანული ბრძოლის მინიმალური გამოცდილება აქვს. რუსეთი ცდილობს, მილიციის ოფიცრების ხელმძღვანელობითა და მძიმე საბრძოლო ტექნიკის გამოყენებით დაამარცხოს ბოევიკების მცირე, მაგრამ ძალზე მობილური ჯგუფები. ეს ჩანაფიქრი კი წინასწარაა განწირული მარცხისთვის, რაც ოქტომბერში ნალჩიკში განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა.

ყაბარდო-ბალყარეთის დედაქალაქში გამოჩნდა, რომ რუსეთის სპეცსამსახურები და ძალოვანი სამინისტროები კვლავ ძველი, საბჭოთა მეთოდებით მოქმედებენ. 3000 „ფედერალი" რამდენიმე დღის განმავლობაში მძიმე საბრძოლო ტექნიკის დახმარებით ებრძოდა მსუბუქი ავტომატური იარაღით შეიარაღებულ ასამდე ბოევიკს. დაიღუპა და დაიჭრა ასზე მეტი „ფედერალი", 80-მდე ბოევიკი და 70-მდე მშვიდობიანი მოქალაქე. ყოველივე ამის შემდეგ რუსეთის ოფიციოზი ჩატარებულ ოპერაციას „ტრიუმფულს" უწოდებს. რეალობის არაადეკვატური შეფასება და შეცდომების დაფარვა რუსეთის ხელისუფლების სისუსტის გამოვლინებაა.

რუსეთის მწარე გამოცდილება ჩვენთვის გაკვეთილი უნდა იყოს. არმიითა და შეიარაღებული ძალებით საკუთარ ქვეყანაში თუნდაც სეპარატისტული იდეების მატარებელი (და არა იარაღით მებრძოლი) მოქალაქეების წინააღმდეგ ბრძოლაში გამარჯვება მხოლოდ ილუზია და დროებითი მოვლენაა. სამუდამო მშვიდობის დამყარება მხოლოდ პოლიტიკური, ეკონომიკური და პრევენციული ანტიტერორისტული და ანტისეპარატისტული ღონისძ-

## რუსეთში კვლავ ძერჟინსკის აჩრდილი დაძრწის

„არსენალის" წინა ნომერში ვწერდით, რომ ძერჟინსკის ძეგლისა და ბიუსტების აღებით საბჭოთა კავშირში ტოტალიტარული რეჟიმი დასრულდა. თუმცა რუსეთში, განსაკუთრებით სპეცსამსახურებში, ბევრი რომ იმ დროის დაბრუნებას ცდილობს, ესეც აღვნიშნეთ. არ გვეგონა, თუ ჩვენი პროგნოზი ასე მალე გამართლდებოდა.

მიმდინარე წლის 8 ნოემბერს, „მილიციის დღემდე" ორი დღით ადრე (ისე, საინტერესოა, საქართველოს პოლიციაც რატომ მაინცდამაინც 10 ნოემბერს აღნიშნავს პროფესიულ დღესასწაულს, რა, სხვა დღეები შემოგვაკლდა?) მოსკოვში, ცნობილ პეტროვკა 38-ის ეზოში, სადაც მოსკოვის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველო მდებარეობს, საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკების დამაარსებლის, ფელიქს ძერჟინსკის, 1991 წლის აგვისტოში მოხსნილი და როგორც აღმოჩნდა, საიმედოდ გადანახული ბიუსტი დააბრუნეს. არ გაგიკვირდეთ — თურმე „ვეტერან ჩეკისტთა მოთხოვნით".

ისე, რას დადგამენ და რას მოხსნიან, ეს მათი საქმეა, რომ არა ერთი ყველასთვის კარგად ცნობილი გარემოება — ძერჟინსკი და მისი მონუმენტები საბჭოთა ტოტალიტარიზმის სიმბოლო იყო და „რკინის ფელიქსის" დაბრუნება ძველ ადგილზე რუსეთის დღევანდელი ხელისუფლების მიერ არჩეულ პოლიტიკურ პრიორიტეტებზე მიგვანიშნებს. გუშინ საბჭოთა ჰიმნი აღადგინეს, დღეს — ძერჟინსკი „გააცოცხლეს", რა იქნება ხვალ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

იებების (მათ შორის, სპეცსამსახურების შესაძლებლობების სრულად გამოყენების) გზითაა შესაძლებელი.

### აშშ-ის ხელისუფლების შეცდომა

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ტერაქტების დაუსრულებელი სერიალი ცხადყოფს, რაოდენ უსუსურები ხდებიან მსოფლიოს უძლიერესი სპეცსამსახურები, როცა უდიდეს სტრატეგიულ შეცდომას დაუშვებენ და საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ოპერატიულ-აგენტურული მეთოდების ფართო არსენალიდან აშკარა და გამოკვეთილ უპირატესობას ოპერატიული ტექნიკის გამოყენებას მიანიჭებენ. ფარული მოსმენების (კოსმოსური თანამგზავრიდან, ფიჭური თუ ჩვეულებრივი ტელეფონებიდან) გზით ინფორმაციის მოპოვება ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ თუ ის არ იქნა გაჯერებული აგენტურული, ანუ „ცოცხალი წყაროებისგან“ მოპოვებული ინფორმაციით, მაშინ საბედისწერო შეცდომის დაშვების ალბათობა ძალზე დიდია. ასე მოხდა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების დროს, როცა აშშ-ის სპეცსამსახურებს (ცსს-ს, გფბ-ს და ეუს-ს) მომავალი ტერაქტების შესახებ ელექტრონული დაზვერვის შედეგად მიღებული სხვადასხვა ინფორმაციული „ნაგლეჯები“ კი ჰქონდათ, მაგრამ ვერ შეძლეს ერთიანი სურათის შექმნა და ტერორისტების მოქმედებათა პროგნოზირება.

ტექნიკური საშუალებებით მოპოვებული ინფორმაციის გადაუმოწმებლობას უკუშედეგი ხშირად მოუტანია. ამიტომ ჩნდება კითხვა – დაზვერვის რომელ სახეობას უნდა მიეცეს უპირატესობა ტერორიზმთან ბრძოლის დროს – კოსმოსიდან რადიოელექტრონულს თუ აგენტურულს?

ამჟამად ტექნიკური საშუალებებით იმდენ ინფორმაციას „იჭერენ“, რომ მათი გადამუშავება ვეღარ ხერხდება და მთავარ პრობლემად ინფორმაციის ანალიზი იქცა. ვერ ასწრებენ ამ ზღვა ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირებასა და ტერორისტთა შემდგომი სვლების გათვლას, შემდგომი მოქმედების პროგნოზირებას. აგენტურული და ტექნიკური დაზვერვები ავსებენ ერთმანეთს, თუმცა პირველს მთელი რიგი უპირატესობები აქვს, რასაც კოსმოსური მზვერავ-თანამგზავრით და სატელეფონო მოსმენებით ვერ დაადგენ. კერძოდ, ტერორისტთა ვინაობას, მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს; სამოქმედო მეთოდებსა და ტაქტიკას; ფინანსურ რესურსებსა და იარაღით მომარაგების წყაროებსა და არხებს; ტერორისტთა ბაზებსა და ბანაკების ზუსტ განლაგებას. საჭირო ცნობების მოპოვება და შესაბამისი ღონისძიებების გატარება ტერაქტამდე უნდა მოხდეს, რათა ტერორისტებმა მიზანს ვერ მიაღწიონ.

აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის დაზვერვების მიერ აგენტურულ მუშაობაზე ყურადღების შემცირება რამდენიმე მიზეზით იყო გამოწვეული.

ჯერ ერთი, გასული საუკუნის 1960-90-იან წლებში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის არნახულმა წარმატებებმა დათვური სამსახური გაუწია მსოფლიოს წამყვან სპეცსამსახურებს. დაირღვა ბალანსი ტექნიკურ და აგენტურულ დაზვერვებს შორის – პირველის სასარგებლოდ. ჩამოყალიბდა სტერეოტიპი და მითი, რომ: „თუ კოსმოსური მზვერავ-თანამგზავრიდან ასანთის კოლოფს დავინახავთ და ავტომობილის ნომრებს წავიკითხავთ, მაშინ ტერორისტები ვეღარ გაგვექ-ცევიან“. ამის გამო ბოლო 40 წელია, მსოფლიოს წამყვანმა სპეცსამსახურებმა მკვეთრად შეამცირეს აგენტურის გადმობირების ხარჯები.

მეორე მიზეზი „ცივი ომის“ დამთავრება და საბჭოთა კავშირის დანგრევა იყო. გამარჯვების ეიფორიაში მყოფმა ამერიკელმა კანონმდებლებმა ძალზე შეამცირეს დაზვერვის ხარჯები. ერაყელი დიქტატორის, სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ მიმართული ოპერაციები გაცილებით ნაკლები მსხვერპლით დამთავრდებოდა და საომარი კამპანია ასე ძვირი არ დაჯდებოდა, ცსს-სა და მი-6-ს სათანადო თანხები ჰუსეინის ახლო (უპირველესად მისი შვილების) გარემოცვაში აგენტურის გადმოსაბირებლად რომ დაეხარჯათ. სწორედ ამაზეა ნათქვამი, ძუნწი ორჯერ იხდისო.

მესამე მიზეზი კი თვით ტერორისტების მიერ ტაქტიკის შეცვლაა. ტერორისტებმა უკვე დიდი ხანია გაშიფრეს სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ შექმნილი სპეცპროგრამა, რომელიც განსაკუთრებულ სიტყვებზე („პრეზიდენტი“, „ბომბი“ და სხვ.) რეაგირებს და საუბრებს ავტომატურ რეჟიმში იწერს. „ალ-ქაიდა“„ჰეზბოლა“ და სხვა ტერორისტული და ექსტრემისტული ჯგუფები უკვე მოსმენებისაგან მაქსიმალურად დაცულ კავშირგაბმულობის არხებს და ტექნიკურ საშუალებებს იყენებენ, ან საუბრების დროს პირობით ტერმინებს ხმარობენ. ვთქვათ, „პრეზიდენტი“ „მექანიკოსია“, „ბომბი“ კი „პომიდორი“.


### ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ:

ბესიკ ალადაშვილი დაიბადა 1959 წელს, მიღებული აქვს უმაღლესი ეკონომიკური და იურიდიული განათლება. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. პროფესორი. თითქმის ორი ათეული წელია, ლექციებს კითხულობს უმაღლეს სასწავლებლებში.

მუშაობდა: სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად, სექტორის გამგედ; საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოში (კურირებდა საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხებს); შინაგან საქმეთა სამინისტროში დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ; სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში – დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ. იყო „ქართული არმიის განვითარების ფონდის“ გამგეობის წევრი. სამხედრო წოდება უშიშროების პოლკოვნიკი. დაასრულა აშშ-ის „გფბ“-ს „ორგანიზებულ და საფინანსო დანაშაულთან ბრძოლის“ სემინარ-კურსები.




ეკონომიკის და გეოპოლიტიკის თემებზე გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო და საგაზეთო სტატია.

სპეცსამსახურების ისტორიასა და დღევანდელ პრობლემურ საკითხებზე გამოქვეყნებული აქვს ორმოცდაათზე მეტი სტატია.

ᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲔᲑᲨᲘ!


საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისიც უნდა ითქვას, რომ ცსს-ს მწვავე პრობლემები ჰქონდა და აქვს ტერორისტულ ჯგუფებში აგენტურის შეგზავნისა და იქ დამკვიდრების მხრივ. ობიექტურობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ისტორიულად, დიქტატორული რეჟიმების ქვეყნებში აგენტურული მუშაობა ურთულესი საქმეა. ერაყის, ირანის, ავღანეთის, როგორც კლასიკური აღმოსავლური დიქტატორული ქვეყნების მნიშვნელოვანი სპეციფიკა ისაა, რომ აგენტურული შეღწევა ასეთ ქვეყნებში თითქმის შეუძლებელი იყო და არის კიდეც. იქ არ არსებობდა რეალური და ძლიერი შინაოპოზიცია, რომელთანაც შეიძლება ოპერატიული მუშაობა და კარგი სადაზვერვო პოზიციების მოპოვება-გამაგრება, რთული იყო ინფორმაციის სანდო წყაროს გადმობირება. ამ ქვეყნებში სახეზე იყო (ირანში კი ამჟამადაც არის) საბჭოთა კავშირის 1950-90 წლების ადმინისტრაციული მოდელი — „რკინის ფარდა“, ოღონდ უფრო რთული, აღმოსავლური სპეციფიკით.

ბევრი გადმობირებული აგენტი შეაღწევდა თუ არა ტერორისტულ ორგანიზაციაში, სწრაფადვე მათ მხარეს გადადიოდა, რაშიც გადამწყვეტი რელიგიური („ურწმუნოთა წინააღმდეგ მებრძოლი ისლამის“) ფაქტორი იყო.

ტერორისტულ ჯგუფებში აგენტურული მუშაობის დამაბრკოლებელი ფაქტორია იქ არსებული ღრმა ნათესაური კავშირი და გადაწყვეტილების მიმღები ხელმძღვანელი ჯგუფის მცირერიცხოვნობაც.

ამერიკის დაზვერვის ერთ-ერთი ფსიქიატრი მრავალწლიანი დაკვირვების შემდეგ აცხადებს, რომ „ალ-ქაიდას“ ტერორისტების 60%-ზე მეტი დიდი ხნის ნაცნობები არიან, ხოლო 20% კი ერთმანეთის ნათესავია. ცნობილი პალესტინელი ტერორისტის, აბუ-ნიდალის ორგანიზაციაში ტრადიციულად მხოლოდ ნათესავებს იღებდნენ. საკუთარი სურვილითა და ინიციატივით, იქ მისულს ტყვია არ ასცდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ მთელ მსოფლიოში „ალ-ქაიდას“ ქსელთან მრავალ ათას ტერორისტს აქვს მჭიდრო კავშირი, ტერაქტების ჩატარების გადაწყვეტილებას 200-300 კაცისგან შემდგარი, ღრმა იატაკქვეშეთში მყოფი ჯგუფი იღებს. მას სულ რამდენიმე პირი აკონტროლებს. ამჟამად ამ ტერორისტული ორგანიზაციის ოპერატიულ შტაბს ხელმძღვანელობს საიფ ალ ადელი, რომელიც ირანს აფარებს თავს.

ახალშექმნილმა აშშ-ის ეროვნული დაზვერვის ოფისმა (რომლის დირექტორი ჯონ ნეგროპონტეა და რომელმაც კოორდინაცია უნდა გაუწიოს ქვეყნის 15 სპეცსამსახურის ერთობლივ მოქმედებას ტერორიზმის წინააღმდეგ) გამოაქვეყნა სტრატეგიული გეგმა, სადაც ძირითად პრიორიტეტად ოპერატიული და ანალიტიკური მუშაობის გაძლიერება, ხოლო ძირითად მეთოდად კი „აგრესიული კონტრდაზვერვა“ (ტერორისტულ ორგანიზაციებში აგენტურულ შეღწევა) არის დასახული.

პრეზიდენტ ბუშის გადაწყვეტილებით ცსს-მ 2010 წლამდე უნდა გააორმაგოს აგენტურის, ანალიტიკოსებისა და ექსპერტების რაოდენობა. ოფიციალურ სტრუქტურებთან ერთად ენერგიულად ამოქმედდნენ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები და ფონდები. კერძოდ, კარდინალურად შეიცვალა ჯერ კიდევ 2001 წელს აშშ-ის დაზვერვის დასახმარებლად შექმნილი „პეტ რობერტსის სახელობის ფონდის“ საქმიანობის პრიორიტეტები. ფონდი, რომლის ბიუჯეტი ოთხი მლნ დოლარია, სტიპენდიებს უნიშნავს სტრატეგიული სპეციალობების (ანთროპოლოგიის, უცხო ენების, უპირველესად, არაბულის, ჩინურის, ფარსის, პუშტუს და სხვ.) შემსწავლელ წარჩინებულ სტუდენტებს — იმ პირობით, რომ ისინი სწავლის დასრულების შემდეგ მუშაობას ამერიკის დაზვერვაში დაიწყებენ.

სამწუხაროა, რომ ამერიკის დაზვერვაში მხოლოდ მაშინ შეშფოთდნენ, როცა აღმოაჩინეს, რომ არ ჰყავდათ საიმედო არაოფიციალური „სახურავის“ ქვეშ მოქმედი ფარული აგენტების საჭირო რაოდენობა, განსაკუთრებით აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში.

მათ გაიმეორეს იტალიელთა შეცდომა, რომლებმაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გააუქმეს პოლიციის ის სტრუქტურა, რომელიც კონტრტერორისტული მიმართულებით მუშაობდა და მრავალი აგენტურული კავშირი ჰქონდა. წლების შემდეგ „წითელი ბრიგადების“ მიერ ტერაქტების განხორციელებამ და აგენტურული დაზვერვის არყოლამ ტერორისტთა შორის დიდი პრობლემები შეუქმნა იტალიის ხელისუფლებას.

15 ნოემბერს აშშ-ის თავდაცვის მდივანმა დონალდ რამსფელდმა აღიარა, რომ ერაყში ამერიკელთა და მოკავშირეთა პრობლემების მთავარ მიზეზი დაზვერვის დაბალი დონეა. ცსს-ს დირექტორი პორტერ გოსი ცდილობს აგენტურული ოპერაციების გამოსაცოცხლებლად მნიშვნელოვნად გაზარდოს საკადრო და ფინანსური რესურსები, მაგრამ ძნელი სათქმელია, აშშ-ისა და სხვა ქვეყნების სპეცსამსახურების საქმიანობის სასწრაფოდ გარდაქმნის მცდელობა რეალურ შედეგს როდის მოიტანს.

## ...ხვალ

სამწუხაროდ სპეცსამსახურების უუნარობისა და უსუსურობის ფონზე ტერორიზმთან ბრძოლის მომავალი 10-20 წლის პროგნოზი ძალზე პესიმისტურია.

არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ უზარმაზარი ფინანსური რესურსები ტერორისტებს საშუალებას მისცემს უახლესი სამხედრო ტექნიკა და ტექნოლოგიები, კომუნიკაციისა და ინფრასტრუქტურის ბოლო მიღწევები გამოიყენონ. უფრო დაიხვეწება მათი ორგანიზაციული ფორმა და სტრუქტურა. მომავალში პოტენციური საფრთხე იმდენად ჩვეულებრივი იარაღის გამოყენება კი არა, არამედ ტერორისტების მიერ გაცილებით შეუმჩნეველი და კომპაქტური — ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის გამოყენება და კიბერტერორიზმი შეიძლება გახდეს. ამავე დროს, რომელიმე ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ქვეყნის სათავეში რელიგიური ფანატიკოსების მოსვლის შემთხვევაში, არ არის გამორიცხული სახელმწიფო ტერორიზმის განვითარება, რასაც გაცილებით მძიმე შედეგი ექნება, ვიდრე რელიგიური და კიბერტერორიზმია.

ძველი ხალხური სიბრძნე გვასწავლის: მინდორში თაგვს ლომზე უკეთ კატა იჭერსო. წარმატებული ანტიტერორისტული ოპერაციების ჩატარება მხოლოდ პატარა, მობილურ ჯგუფებს ძალუძთ, რომლებიც უახლესი სპეციარაღით, ელექტრონიკით და კავშირის საშუალებებით არიან აღჭურვილნი, კარგად იცნობენ ტერორისტების მოქმედებებს და რაც მთავარია, აქვთ სხვადასხვა წყაროთი გადამოწმებული ზუსტი აგენტურული ინფორმაცია. ამისთვის კი საჭიროა შეიქმნას ტერორიზმთან ბრძოლის სპეციალური დანაყოფები (სპეცსამსახურების მინიმოდელები — საკუთარი დაზვერვით, კონტრდაზვერვითა და ანალიტიკური ჯგუფებით), რეგულარულ არმიას ან შინაგან ჯარს მხოლოდ სტრატეგიული ობიექტების დაცვის, ანტიტერორისტული ოპერაციების მხარდაჭერისა და არა უშუალოდ მონაწილეების ფუნქცია უნდა დარჩეთ. და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია — ამის გაკეთება მარტო აშშ-ს, რუსეთსა და ისრაელს კი არა, ყველა პროგრესულ სახელმწიფოს ევების. თუ ავბედითი პროგნოზები ახდა, ჩვენთვის აღარავის ეცლება და ამიტომ საქართველომაც უნდა შექმნას თუნდაც მცირერიცხოვანი, მაგრამ ეფექტური კონტრტერორისტული სამსახური. წინააღმდეგ შემთხვევაში ბედის ანაბარად მიტოვებული და ასობით ფსიქიურად დაავადებული ადამიანის მძევლად მოგვევლინება ჩვენი საზოგადოება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოპერაცია „კარტოთეკა“



*ვისაც საბჭოთა ჯარი, მით უმეტეს, პროფესიული სამხედრო სკოლა არ გაუვლია, მისთვის ძნელი წარმოსადგენია, რამხელა ვაჟკაცობასა და გამძლეობას ითხოვდა ამ სკოლის ღირსეულად გავლა, რომ აღარაფერი ვთქვათ სულიერ ძალაზე. წლების შემდეგ ყოველივე ამის გახსენება, ძალაუნებურად, განცდილისა და ნანახის სხვისთვის გაზიარების სურვილს ბადებს, ამიტომ შევეცადე, მომეთხრო მკითხველისთვის, რა იყო დღემდე ყველასთვის უცნობი ყოფილი სამხედრო კონტრდაზვერვა სმერში. როგორ გავიარეთ საბჭოთა დივერსიული სკოლა, როგორ მოგვამზადეს პაკისტანში განსახორციელებელი ერთ-ერთი საიდუმლო ოპერაციისთვის, რომლის წარმატებით ჩასატარებლად სიცოცხლე შევაგდეთ სასწორზე — წინააღმდეგ შემთხვევაში ღირსების აყრა, ტრიბუნალი ან საბჭოთა კავშირის დაზვერვის ხელით სიკვდილი გველოდა...*

...1988 წლის სექტემბერი იდგა. როგორც იქნა, მძიმე სასწავლო კვირა ჩათავდა და უქმე დღე, კვირაც გათენდა. უკან მოვიტოვეთ დილის სპორტული გარბენი, რაც ათკილომეტრიან კროსს გულისხმობდა. ხელჩართული ბრძოლის მოყვარულები („რუკოპაშნიკები“, ანუ კადოჩნიკოვის მოწაფეები) ასმეთაურმა მწყობრიდან გამოგვიძახა და გვაცნობა, რომ ჩვენ „კამაზით“ წყალსაცავზე წაგვიყვანდნენ, სადაც კადოჩნიკოვი დამატებით ვარჯიშს ჩაგვიტარებდა. პირად შემადგენლობაში სიცილი გაისმა — დანარჩენები ათ „რუკოპაშნიკს“ დაგვცინოდნენ, ჩვენ კი შურის თვალით შევყურებდით. ერთ მესამედს დათხოვნა და ქალაქში გასეირნება ელოდა, დანარჩენი კი ან ღობეს გადაახტებოდა და „სამავოლკაში“ წავიდოდა, ზოგიც მხარ-თეძოზე წამოწვებოდა და დაისვენებდა. ჩვენ კი ყოფილი სამხედრო კონტრდაზვერვის „სმერშის“ სისტემით ვარჯიში გველოდა. მაშინ წარმოდგენა არ მქონდა, რომ უნიკალური სროლის ტექნიკა, ქანქარისებური მოძრაობა (როდესაც მთელი სხეული გაშეშებულია და მოძრაობს მხოლოდ მენჯი), მხეცური ალღო, ხელჩართული ბრძოლა, ექსტრემალურ სიტუაციაში სიცოცხლის შენარჩუნება იყო სმერშის მიერ ჩამოყალიბებული საბრძოლო ხელოვნების ნიმუში, რომელსაც დღემდე მსოფლიოში ანალოგი არ მოეძებნება. მაშინ არც ვიცოდი, რას ნიშნავდა თავად სმერში და რას წარმოადგენდა ეს სამსახური.

კადოჩნიკოვი გრუ-ს ოფიცერი იყო და სამხედრო სასწავლებელში თეორიული მექანიკის კათედრის ლაბორანტად მუშაობდა როგორც სამოქალაქო პირი. ჩვენ მისი სამხედრო წოდებაც კი არ ვიცოდით, ერთხელაც არ გვინახავს სამხედრო ფორმაში და მივმართავდით უბრალოდ — „სან სანიჩ“.

მხოლოდ სამხედრო სასწავლებლის დამთავრებისას აგვიხსნა კადოჩნიკოვმა, სმერშის მნიშვნელობა. სიტყვა „სმერში“ აბრევიატურაა და ნიშნავს „Смерть шпионам“ („სიკვდილი ჯაშუშებს“), სმერშის არსებობა ოფიციალურად 1943 წლიდან იწყება. სინამდვილეში მისი ისტორია სათავეს იღებს ჯერ კიდევ რუსეთის საიმპერატორო სამხედრო კონტრდაზვერვიდან, რომელმაც XIX საუკუნის ბოლოს ინგლის-ბურების ომის დროს შეისწავლა ბურების მიერ ფართოდ გამოყენებული პარტიზანული ომის ხერხები, სნაიპერული და 5-10 მეტრის მანძილიდან დაუმიზნებელი სროლის ხელოვნება. გარდა ამისა, ნარინჯისფერი რესპუბლიკის (ბურები წარმოშობით ჰოლანდიელები იყვნენ) მებრძოლებისგან ისწავლეს, როგორ განევითარებინათ ადამიანში მხეცური ალღო. ამას დაემატა რუსეთ-იაპონიის 1905 წლის ომის შედეგად მიღებული ცოდნა და რუსეთის საიმპერატორო კონტრდაზვერვის ოფიცრებმა, სამხედრო ექიმებთან ერთად, მიღებული გამოცდილება შეაჯამეს და მისი საქმეში გამოყენება დაიწყეს. ოქტომბრის რევოლუციისა და სამოქალაქო ომის შემდეგ, სტალინის პირადი ბრძანებით, ძველი კონტრდაზვერვის ყველა ოფიცერი ოჯახის წევრებთან ერთად დახვრიტეს, რადგან სამოქალაქო ომის დროს ისინი თეთრგვარდიელების მხარეს იბრძოდნენ. გასაკვირი ის იყო, რომ მასობრივი დახვრეტების შემდეგ, სამამულო ომის დასაწყისში, სტალინმა რამდენიმე თვეში შექმნა იმაზე ძლიერი და ეფექტიანი სპეცსამსახური, ვიდრე ფაშისტური გერმანიის სამხედრო კონტრდაზვერვა „აბვერი“ იყო. როგორც აღმოჩნდა, კონტრდაზვერვის ოფიცრებსა და მათი ოჯახის წევრებს მართლაც გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი, თუმცა „სმერტნიკების“ საკნებში დახვრე-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ტის მოლოდინში მყოფებს, ОГПУ-ში (შემდგომში НКВД) შესთავაზეს მუშაობა. გადაბირების ძირითადი მოტივი ის იყო, რომ ოფიცრები იმპერიის აღდგენისთვის იბრძოდნენ, რუსეთის იმპერია კი ფაქტობრივად აღდგენილი იყო, უბრალოდ, მეფე ნიკოლოზის ნაცვლად ახლა მას „მეფე იოსები“ მართავდა. გადმოცემით, წინადადებას ოფიცრების უდიდესი ნაწილი დათანხმდა. მათ მიიღეს სამხედრო წოდებები, ბინები, აგარაკები და სხვა პრივილეგიები, ოღონდ მათაც და ოჯახის წევრებსაც შეუცვალეს გვარ-სახელები. ამასთან, მათ პოლიტიკაში ჩარევა აეკრძალათ და არც კომუნისტურ პარტიაში გაწევრება ევალებოდათ. ისინი პროფესიონალი სამხედროები იყვნენ და მათ გამოცდილებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „სმერშის“ ჩამოყალიბების საქმეში, მაგრამ სმერში ხრუშჩოვმა 50-იანი წლების მეორე ნახევარში დაშალა. ბევრმა თანამშრომელმა მილიციაში დაიწყო სამსახური, ნაწილი მაშინდელ სუკ-ში (КГБ) გადავიდა. მიუხედავად ამისა, სმერშელებმა მაინც შეინარჩუნეს უნიკალური საბრძოლო მეთოდები და ახალგაზრდებსაც შეასწავლეს.

ჩვენ, ახალგაზრდა, მაგრამ უკვე კარგად მომზადებული არაოფიციალური სმერშელები მასწავლებელთან შესახვედრად მივდიოდით. ქალაქგარეთ, წყალსაცავის ნაპირზე ჩამოგვსხეს. კადოჩნიკოვი დიდ ნავში იჯდა და გველოდა. მის ახლოს, ნაპირზე, ათი შესანიშნავი გარეგნობის გოგონა იწვა და ირუჯებოდა. გოგონებს გვერდით ჩავუარეთ და სან სანიჩისკენ გავემართეთ. ერთ-ერთმა ლამაზმანმა საათი გვკითხა. ჩემი სამეთაურო საათისთვის არც დამიხედავს, ისე დავუბრუნე კითხვა: „ხომ არსად გეჩქარებათ?“ პასუხმა არ დააყოვნა — გვეჩქარება, მარტოობით დავიღალეთო. ამ დროს კადოჩნიკოვმა ხელის დაქნევით გვანიშნა, ყველანი ნავში ჩავმსხდარიყავით. გოგონებს მოვუბოდიშეთ და დავპირდით, როგორც კი ვარჯიშიდან დავბრუნდებოდით, მარტოობისგან ვიხსნიდით.

...მაგრამ ვარჯიში არ შედგა. კადოჩნიკოვმა ყველანი დიდ ნავში ჩაგვსხა და წყალსაცავის ნაპირიდან საკმაოდ შორს შევცურეთ. მეც და დანარჩენებიც მისი სახის გამომეტყველებით მივხვდით, რაღაც საიდუმლო ინფორმაცია რომ ჰქონდა გადმოსაცემი. ასეთი ჩვევა ჰქონდა, მოწაფეებს ნაპირიდან შორს გაიყვანდა ხოლმე, რათა მათი საუბარი უცხო ყურს არ მოესმინა. მკითხა: „მარტოხელა მგელო, მზად ხარ, შეგამოწმო?“ მზად ვარ-მეთქი. ფოტოსურათი ამოიღო, გამომიწოდა და მკითხა:

— რას იტყვი ამ კაცზე?

სურათს დავხედე და მაშინვე ვუპასუხე: „ეს არის გულბედინ ჰექმათიარი. დაიბადა 1944 წელს ავღანეთში, იმამ საიბის ოლქში, ყიშლაყ ვართაბირში, პუშტუნების ტომის გილზაის კლანში, მსხვილი მიწათმფლობელის ოჯახში. სწავლობდა ქაბულის სამხედრო სასწავლებელში და ქაბულის უნივერსიტეტში, მაგრამ გაუწონასწორებელი ხასიათის გამო ვერც ერთი ვერ დაამთავრა. დღესდღეობით არის პაკისტანის უწყებათაშორისი დაზვერვის აგენტი, რის გამოც არის მოჯაჰედების ერთ-ერთი უძლიერესი დაჯგუფების „ჰესბ-ი-ისლამის“ საველე მეთაური (ამირი) და გამოირჩევა შეუგუებელი ხასიათითა და განსაკუთრებული სისასტიკით“.

საბრძოლო ვითარებაში და კადოჩნიკოვთან მეცადინეობისას ერთმანეთს მხოლოდ მეტსახელებით მივმართავდით. ჩემ გვერდით მჯდომმა „ტუზმა“ დინჯად დამიკრა ტაში და მითხრა: „ბრავო, მარტოხელა მგელო, ბრავო“... და იმავე წამს აღმოჩნდა ნავს გარეთ, ანუ წყალში. ეს სან სანიჩის ნახელავი იყო, რადგან იგი მეტიჩარებისა და არამკითხეების გამოხდომებს ვერ იტანდა. მერე ზემოდან ჩასძახა: ჩქარა, ნავში ამოეთრიე, თორემ „ტუზი“ „ექვსიანად“ გადაიქცევაო. გალუმპული „ტუზი“ ნავში ამობობღდა, სან სანიჩმა კი განაგრძო: „ყველამ კარგად იცით, რომ ჰექმათიარი ბოლო დროს ძალზე დაუახლოვდა უსამა ბინ ლადენს, რადგან ბინ ლადენი მას აფინანსებს. სხვა საველე მეთაურებთან ერთად ბინ ლადენის დაფინანსებით პაკისტანში შეიქმნა არაბეთის ქვეყნებიდან გადმობირებული მოჯაჰედების მოსამზადებელი ცენტრები. ყველაზე მსხვილი ცენტრი „ბაით-ულ-ანსარის“. ამ ცენტრში მომზადებულ არაბებს არაბ-ავღანელებს უწოდებენ. პაკისტანის დაზვერვის დახმარებით, ჩრდილოეთის საზღვართან ახლოს, ქალაქ ხოსტში შეიქმნა მოჯაჰედთა მოსამზადებელი ბანაკების მთელი კომპლექსი, სახელწოდებით „ალ-ბადრი“, სადაც პაკისტანის დაზვერვა თავად აგზავნის პაკისტანელებს მოსამზადებლად და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საომრად, რათა შემდგომში გამოიყენოს ინდოეთის ორ შტატში, ჯამუსა და ქაშმირში საომარი და დივერსიული საქმიანობისთვის. ჰექმათიარი ინსტრუქტორებს თვეში 3.500-დან 4.000 დოლარამდე უხდის. შედარებით ნაკლებს უხდიან მოხალისეებს. ყველანი უსამა ბინ ლადენის მიერ შექმნილი სადაზვერვო სამსახურის, „მაკტაბ-ალჰიდმათის“ (იმავე „ალქაიდას“) კონტროლქვეშ მყოფ ბანაკში იმყოფებიან. ამ ბანაკებში ბევრი მოხალისე (ძირითადად, ფულის საშოვნელად) მიდის პაკისტანიდან, ეგვიპტედან, იემენიდან, საუდის არაბეთიდან, ალჟირიდან, იორდანიიდან და სხვა ქვეყნებიდან. ჰექმათიარმა წელს შეამჩნია, რომ არაბ-ავღანელთა შორის გახშირდა დეზერტირობა (საკმარისი რაოდენობით ფულის შოვნის შემდეგ მებრძოლები სახლებში ბრუნდებოდნენ). ამიტომ ბინ ლადენმა ბრძანა, რომ 1988 წლიდან ყველა მოხალისემ უნდა შეავსოს სათანადო ანკეტა. ჰექმათიარმა კი ეს საქმე კონტროლზე აიყვანა. დღეისათვის ბინ ლადენის დაზვერვა ყველა მოჯაჰედის მონაცემებს ამოწმებს. გაქცევის მსურველ მოხალისეებს აღარ აქვთ დამალვის საშუალება, რადგან მათი ოჯახის წევრები პოტენციური მძევლები არიან. ფაქტობრივად, შექმნილია მონაცემთა ბაზა, ე. წ. კარტოთეკა. არაბულად ეს იგივეა, რაც „ალ-ქაიდა“. გენშტაბმა გადაწყვიტა (გრუ მიეკუთვნება თავდაცვის სამინისტროს გენერალურ შტაბს — ავტ.), რომ კარტოთეკის განადგურების შემთხვევაში მოჯაჰედთა შორის დეზერტირობა მოიმატებს. ეს კი საგრძნობლად შეასუსტებს უსამა ბინ ლადენის, ჰექმათიარისა და სხვა ლიდერთა ძალას. ჩვენი ამოცანაა კარტოთეკის განადგურება. მეთაურად ვნიშნავ „მარტოხელა მგელს“. დეტალებს დავაზუსტებთ ხვალ, თავდაცვის სამინისტრო თავის თავზე იღებს თქვენს გართობას გოგოებთან“. შემდეგ სან სანიჩმა ჯიბიდან ფული ამოიღო, 100-100 მანეთი ჩამოგვირიგა და ნავი ნაპირისკენ დაიძრა.

ნაპირზე ათი ლამაზმანი მართლაც გველოდა. გოგონები ძალზე მხიარულად შეგვეგებნენ. მათ ახლოს „პაზიკი“ გაჩერდა, საიდანაც განსაკუთრებული განყოფილების (უშიშროების ოფიცერი), როგორც ვეძახდით, „ოსობისტი“ ჩამოვიდა და მიგვიხმო. უსიტყვოდ დაგვირიგა დათხოვნის ბარათები და შემდეგ გვითხრა: „ადით ავტობუსში და სამოქალაქო ტანსაცმელი ჩაიცვით, რესტორანში სამხედრო ფორმით ხომ არ იგრიალებთ. დაიმახსოვრეთ, რესტორანში ყველა ერთად უნდა იყოთ. და კიდევ, მიუხედავად მშრალი კანონისა, შეგიძლიათ დალიოთ, რამდენიც გინდათ“.

რამდენიმე წუთში სამოქალაქო ტანსაცმელში გამოვეწყვეთ და გოგონები რესტორანში წავიყვანეთ. რესტორანში მეტრდოტელი შეგვეგება და ჩვენთვის საგანგებოდ გაწყობილ მაგიდასთან მიგვაცილა. ეს კაციც სუკ-ის აგენტია-მეთქი, გავიფიქრე. კარგად



**გულბედინ ჰექმათიარი**



მოვილხინეთ, ვიცეკვეთ და დაახლოებით ორ საათში არყისგან კარგად შეზარხოშებულები ერთმანეთის ხვევნა-კოცნას მოვყევით. ცოტა ხანში გვერდითა მაგიდიდან რამდენიმე ჩვენსავით შეზარხოშებული მამაკაცი მოგვიახლოვდა და ჩვენი ქალბატონების საცეკვაოდ გაწვევა მოინდომა. „ჩვენი ქალები მხოლოდ ჩვენთან ცეკვავენ“, — ვუპასუხეთ. თქვენ ვინ გეკითხებათო და იმავე წამს ჩემი მიმართულებით წამოსული ფეხსაცმლის ძირი შევნიშნე. მომენტალურად წავავლე ხელი ტერფში და ამოვუტრიალე, მაგრამ თავდამსხმელმა მაშინვე პროფესიონალივით აიქნია მეორე ფეხი, გადმოტრიალდა ჰაერში და იატაკს ხელებით დაებჯინა. ერთი სიტყვით, კარგი მუშტი-კრივი გაიმართა. „მომხდურებს“ კიდევ რამდენიმე კაცი წამოეშველა. სასწაულებრივად საიდანღაც გაჩნდა ახალგამომცხვარი „ომონი“. რესტორანს ანგარიში გავუსწორეთ, რის შემდეგაც მილიციის ავტობუსში, ე. წ. „კანარეიკაში“ ჩაგვსხეს. ჩაჯდომისას შევნიშნე, რომ ერთ-ერთმა ჩხუბის ამტეხმა და საიდანღაც უეცრად გაჩენილმა ჩვენმა „ოსობისტმა“ ერთმანეთს ღიმილით ჩამოართვეს ხელი, ჩვენ კი შეიარაღებული ბადრაგის თანხლებით მიგვაბრძანეს კომენდატურაში. ქალაქის კომენდანტმა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის ათი დღე-ღამე პატიმრობა მოგვისაჯა და ათივეს ცარიელ საკანში გვიკრა თავი. ესეც ჩვენი გართობა...

დილით საკნის კარის ჭრიალმა გამოგვაღვიძა. ყარაულის უფროსი ორ გუშაგთან ერთად იდგა. „მართალია, წესის დარღვევაა, მაგრამ შეგიძლიათ, ყველა ერთად გახვიდეთ ტუალეტში, მხოლოდ ჭკვიანად იყავით“, — გვითხრა მან. დავბრუნდით და ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა — საკანში ნარზე იჯდა კადოჩნიკოვი და თვალებს გვიბრიალებდა. „შემოდით, ლოთებო, — გამოსცრა კბილებში და ირონიულად გვკითხა, — კარგად დაისვენეთ გუშინ? უნდა გაგახაროთ, დღეიდან ამნისტირებულები ხართ, რადგან გოგოებიც, რესტორანიც და ჩხუბიც ჩვენი მოწყობილია“. გაოცება ვერ დავმალე და ვკითხე: „სან სანიჩ, მეტრდოტელი და მოჩხუბარი კაცები გასაგებია, მაგრამ გოგოებიც უშიშროების ხალხია?“ „ეგენი უშიშროებაზე მომუშავე მეძავები არიან, — მიპასუხა და შემდეგ გააგრძელა, — დღეს, როცა გონზე მოხვალთ, ამავე საკანში ოპერაციის დეტალებს დავაზუსტებთ“. „რატომ აქ?“ — ვკითხე სან სანიჩს. „იმიტომ, რომ თქვენ ყველა თქვენი ნაცნობისთვის ოფიციალურად დაპატიმრებულები ხართ, სინამდვილეში კი არავინ იცის, სად იმყოფებით“.

საუზმე საკანში მოგვიტანეს. მერე სან სანიჩმა საიდუმლო „დიპლომატს“ ლუქი ახსნა, რუკა ამოიღო და ჩვენ წინ გაშალა. ეს იყო ქალაქ ხოსტისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის რუკა. დაზვერვის მონაცემებით, მოჯაჰედების კარტოთეკა ამ ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთით, რამდენიმე მიტოვებულ სახლში იყო. ადგილი რუკაზე წრით იყო შემოხაზული. რადგან ავღანეთ-პაკისტანის საზღვრის გადაკვეთა გვიწევდა, ხანმოკლე თათბირის შემდეგ გადავწყვიტეთ, საჰაერო საშუალებებით არ გვესარგებლა და საზღვრამდე ვერტმფრენით მისულებს ფეხით გადაგვეკვეთა იგი. შეიარაღებისთვის ავირჩიეთ საბრძოლო დანები, დრაგუნოვის სნაიპერული მაყუჩიანი შაშხანები და ავტომატები АКС-74У. ძირითადი ამოცანის შესასრულებლად კი ავირჩიეთ ცეცხლმტყორცნები РПО-А, რადგან კარტოთეკის დაცვა იმდენად ძლიერი და მრავალრიცხოვანი იყო, რომ აღნიშნულ წერტილამდე მისვლა არც ამოცანის შესრულებისა და არც ცოცხლად დარჩენის შანსს არ გვიტოვებდა. სამოსად „დუხების“ (ასე უწოდებდნენ რუსები დუშმანებს, ანუ მოჯაჰედებს) ტანსაცმელი ვარჩიეთ.

რამდენიმე ხანში საკანში პოლკოვნიკისფორმიანი პირი შემოვიდა. თავი არ წარუდგენია, ისე მომმართა: „მომახსენეთ, მეთაურო!“ კადოჩნიკოვს გავხედე და როდესაც მისგან თავის დაქნევით თანხმობა მივიღე, მივხვდი, რომ ეს მაღალი უფროსობა იყო. ყველაფერი მოკლედ და გასაგებად ავუხსენი. ხანმოკლე დუმილის შემდეგ პოლკოვნიკმა იკითხა: „იცით თუ არა, რომ უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე უნდა შეასრულოთ ამოცანა?“ ჩემგან დადებითი პასუხის მიღების შემდეგ განაგრძო: „პირობა ასეთია: წარუმატებლობის შემთხვევაში საბჭოთა კავშირის მთავრობა არასოდეს გაღიარებთ საბჭოთა სამხედრო მოსამსახურეებად და არ აღიარებს, რომ მის დავალებას ასრულებდით. ტყვედ ჩავარდნის შემთხვევაში, სადაც უნდა იყოთ, გრუ აუცილებლად მოგძებნით და მოახდენს თქვენს ლიკვიდაციას. და ბოლოს, ყველაზე მთავარი, გარდა იმისა, რომ დავალება უნდა შესრულდეს, თქვენ მიდიხართ ათნი და უნდა დაბრუნდეთ ათივე — ცოცხლებიც, დაჭრილებიც და მკვდრებიც. დანაკლისის შემთხვევაში დაბრუნებულებს ტრიბუნალი ელის. წარმატების შემთხვევაში, და სხვა შემთხვევა არც უნდა არსებობდეს, თქვენ გელით ათი ლამაზმანი სამი დღით, რესტორნები და ათასი მანეთი პრემია თითოეულს. ხართ თუ არა მზად დავალების შესასრულებლად?“ როდესაც თითოეული ჩვენგანისაგან დადებითი პასუხი მიიღო, გვითხრა, რომ ხვალ დილამდე მოსაფიქრებლად დრო კიდევ გვქონდა. „თუ ხვალ დილით თანხმობას ისევ გაიმეორებთ, უკან დასახევი გზა აღარ გექნებათ. მე არ გემშვიდობებით“, — თქვა და საკანი დატოვა. სულ ცოტა ხანში საკნის კარი ისევ გაიღო და საჭმელ-სასმელი შემოგვიტანეს. როგორც იტყვიან, სუფრას ჩიტის რძე არ აკლდა — მწვადი, შებოლილი ყველი და ბევრი სხვა რამ. სუფრას სამარკო არაყი „ზოლოტოე კოლცო“ ამშვენებდა. ვახშამიც შესანიშნავი მოგვართვეს. საღამოს ათ საათზე ძილს მივეცით თავი. დილის ექვს საათზე კი კადოჩნიკოვმა გაგვაღვიძა. რა თქმა უნდა, ოპერაციაში მონაწილეობა არავის გადაგვიფიქრებია. საუზმის შემდეგ საჭირო იარაღითა და ტანსაცმლით დატვირთული თვითმფრინავი გველოდა. პოლკოვნიკმა კიდევ ერთხელ გაგვამეორებინა დავალება და ერთ საათში თვითმფრინავით უკვე ქაბულისკენ მივფრინავდით. თვითმფრინავ АН-22-დან ავღანელი მოჯაჰედების ტანსაცმელში ჩაცმულები და იარაღასხმულები გადმოვედით. იქვე მდგომ ვერტმფრენში Ми-8-ში გადავსხედით და ავფრინდით. ჰაერში ოთხი Ми-24 შემოგვიერთდა. ეს ჩვენი საჰაერო დაცვა იყო. ისინი ჩვენს ვერტმფრენს დაიცავდნენ ავღანელი მოჯაჰედების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი იარაღისგან, „სტინგერებისგან“. შუადღე გადასული იყო, როდესაც ვერტმფრენი უცნობ ადგილზე, კლდეებს შორის დაეშვა და მიწიდან ერთი მეტრის სიმაღლეზე, ჰაერში ჩამოეკიდა...

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

**მაიორი**

**ზურაბ ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

„არსენალის" წინა ნომერში ჩვენი მკითხველი გაეცნო ინტერვიუს ჰოლანდიაში მოღვაწე ქართველ მესაჭურვლესთან, რომელმაც თავისი ხელოვნებით უკვე გაითქვა სახელი. რედაქციაში უამრავი წერილი მოვიდა. მკითხველს აინტერესებს, არიან თუ არა საქართველოში მესაჭურვლენი. „არსენალი" ამჯერად ერთ თბილისელ ოსტატზე გიამბობთ:





# "სადაც იარაღი არ იჭედება, იქ მებრძოლი სულის მამაკაცები აღარ იბადებიან"



*მოგეხსენებათ, ტექნიკის მიღწევები და სიახლენი ჩვენს ყოფაში მტკიცედ და სწრაფად იკიდებს ფეხს და რაოდენ სასიამოვნოა, რომ ძველი და ღირებული ფასეულობანი არათუ იკარგება, პირიქით — ცოცხლობს და ვითარდება კიდეც.*

*საქართველოში საბრძოლო იარაღის ჭედვის კულტურა იმდენივე წელს ითვლის, რამდენსაც ჩვენი ერის ისტორია. დღეს საქართველოში სულ რამდენიმე კაცია, ვინც ამ საქმის ოსტატად ითვლება. ასეთები არიან თბილისელი მამა-შვილი ზარნაძეები. ჩვენ მათ სახელოსნოში ვესტუმრეთ და ერთგვარ ბლიცინტერვიუს გთავაზობთ.*

კახა ზარნაძე 1966 წელს, თბილისში დაიბადა. დაამთავრა სამხატვრო სკოლა, ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი და სამხატვრო აკადემია დაზგური ფერწერის რესტავრაციის განხრით. შეგნებულად არ ეცნობა პრესას და ტელევიზიას, არ უყვარს ჟურნალისტები და პოლიტიკაზე ლაპარაკი. ავტორია არაერთი შედევრისა. მის ნამუშევრებს კარგად იცნობენ საქართველოსა და უცხოეთში.

— **საიდან ხართ წარმოშობით და რამდენადაა ეს ხელობა თქვენი ოჯახური ტრადიცია?**

— დაწერე, რომ ქართველები ვართ, — ეს არის ყველაზე მთავარი, რადგან კუთხურმა სეპარატიზმმა წალეკა დღეს ქვეყ-





მესაჭურჭლე
ეროვნული ბიბლიოთეკა

ანა. შთამომავლობით მჭედელი ვარ. ჩვენს გვარში ჩემი დიდი ბაბუა იყო პირველი მჭედელი. მე სხვანაირი ოჯახის შთამომავალი ვარ – ლაზარე ბაბუა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი იყო იმერეთში, მეორე ბაბუა კი, ნიკოლოზ თაბუკაშვილი, აჭარისა და საქართველოს დამსახურებული მხატვარი. ერთი აქეთ მექაჩებოდა, მეორე – იქით.

— **როდის დაინტერესდით თქვენი ხელობით?**

– უკვე ოცი წელია, რაც ქართულ საბრძოლო ხელოვნებას ვიკვლევ. წლების წინ დამიბარა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, რომელთანაც ანგარიში მქონდა წარდგენილი ჩემი სამუშაოს შესახებ. მითხრა, რომ თვითონაც დაინტერესებული იყო ამ საქმით და გამოგვიყო სახელოსნოსთვის ეს ადგილი. მანმადე ოთხი სამჭედლო გამოვიცვალე – მეპატრონენი იმხელა თანხას ითხოვდნენ, ვერ ვიხდიდით. ამ სამჭედლოში უკვე შვიდი წელია, ვმუშაობ. ბედმა გამიღიმა, რადგან მყავდა ისეთი მასწავლებლები, როგორებიც არიან კოტე ჩოლოყაშვილი და გურამ გაბაშვილი. დმანისის რაიონის სოფელ ჯავახში ცხოვრობს 90-ს გადაცილებული პავლე ადუაშვილი – ის ერთ-ერთი ბრწყინვალე მჭედელია საქართველოში.

— **სამჭედლოს მუშაობის მიზანი რა არის?**

– როცა უწმინდესმა ლოცვა-კურთხევა მოგვცა, გვითხრა: საქართველოს სახელით ვჭედოთ იარაღი, რათა ხალხმა დაინახოს – საქართველოში მხედრული სული არ გამქრალაო...

ქვეყანაში, სადაც იარაღი არ იჭედება, იქ მებრძოლი სულის მამაკაცები აღარ იბადებიან. იარაღის ჭედვას თავისი კულტურა, სარჩული აქვს. ეს არის დიდი ქანქარა: როცა პირველ მექანიზმს ჩართავ, ჯაჭვური რეაქციით მერე სხვებიც აჰყვებიან. თუ არ არსებობს კაცი, რომელიც იარაღს გაჭედავს, არ იქნება კაცი, რომელიც მას მოიქნევს, არ იქნება კაცი, რომელიც სამშობლოს დაიცავს და ა.შ.

— **თქვენ თუ გამოგიყენებიათ ცივი იარაღი?**

– ყოველდღე ვიყენებ: როცა ვფარიკაობ – ვიყენებ, როცა ფანქარს თვლი, ვიყენებ...

— **გყავთ თუ არა შეგირდები?**

– ერთმა ბრძენმა კაცმა მითხრა: ყველას, ვინც ასწავლის, უფლება აქვს, თავს მასწავლებლად თვლიდეს, თუმცა ყველა არაა ნამდვილი მასწავლებელიო. მე კი ვუწოდებ ჩემს თავს, მაგრამ ვარ კი ნამდვილი მასწავლებელი?!

ჩემს სამჭედლოში სისტემატურად ექვსი შეგირდი დადის. ისინი არცთუ ურიგონი არიან – მათი ჭედვის ხარისხი მაკმაყოფილებს, მაგრამ უმჯობესია, თუ კიდევ უფრო უკეთესები იქნებიან. საერთოდ, ძველი ამქრების წესით, 7 წლის ბავშვს მიაბარებდნენ ხოლმე შეგირდად, რომელიც 25 წლის შემდეგ ითვლებოდა ოსტატად.

აქ საუბარში კახას მამა – ბატონი შალვა ჩაგვერთო, – თქვი, რომ შეგირდებს უსასყიდლოდ ასწავლი...

– არსებობს ისეთი ცოდნა, რომლის გადაცემის დროს ფულის აღება არ შეიძლება. ამქვეყნად ყველაფერი ფულით არ განისაზღვრება.

— **უწმინდესის გარდა, ვინმე კეთილ ადამიანს ხომ არ გამოუთქვამს მხარდაჭერის სურვილი?**

– ნუ დაფრინავთ ღრუბლებში – დედამიწაზე დაეშვით, დამისახელეთ თუნდაც ერთი „კეთილი" ადამიანი, რომელიც სხვებს უანგაროდ ეხმარება. კეთილი ადამიანი რომ გამოჩენილიყო, საქართველოს ეშველებოდა. ზოგისთვის სიკეთე ისაა, ქვეყანა გაქურდოს და „მერსედესში" ჩაჯდეს...



— **ვინ არიან თქვენი ნამუშევრების პატრონები?**

– ასეთი უამრავია: ჯონ-მალხაზ შალიკაშვილი, თევზაძე, ზურაბ წერეთელი, რომელმაც სიმბოლურად 20 თეთრი მომცა, ესპანეთის მეფე – ხუან კარლოსი, აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი...

— **ჩვენს პრეზიდენტს არ აჩუქეთ?**

– ჩვენს პრეზიდენტს ჰქონდა ჩემი იარაღი და გააჩუქა – ბარამიძეს გადაულოცა... კიდევ, აშშ-ის სარდალს ევროპაში – არნოლდ ფილდცს, კვიპროსის არქიმანდრიტს, ტულუზის მერს, მერვე დანის მფლობელს, აიკიდოს კლანის ხელმძღვანელს, იაპონელ ჰიდოკი შიოჰირას, ინგლისელ პრინც იოჰანს, რომელმაც ჰერცოგის დიპლომი გამომიგზავნა, პუტინს, ივანოვს და უამრავ სხვას.

— **ჟირინოვსკის არ გაუგზავნეთ ენის მოსაჭრელად?**

– ჟირინოვსკის კი ვიცი, რასაც გავუგზავნი. სპარსეთის პრეზიდენტმა ხათემმა ფხა რომ გაუსინჯა ჩვენს საჩუქარს, თურმე ფერი ეცვალა(!)...

— **რა გაქვთ დაგეგმილი სამომავლოდ?**

– ქართული საბრძოლო ხელოვნებისა და ცივი იარაღის ჭედვის შესახებ თორმეტტომეულს ვამზადებ. პირველი ტომი 1000 ტირაჟით რომ გამოვიდეს, 4000 ლარი მაინც უნდა. ფულს როცა შევაგროვებ, მაშინ გამოვცემ. მანამდე კი ცოლის მოყვანას ვაპირებ – ბევრი შვილი ვიყოლიო.

*მაკა შუკაკიძე*



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხელყუმბარები რომლებმაც კინაღამ საქვეყნოდ მოგვჭრეს თავი

**თავისუფლების მოედანზე, ექჭმიტანილ არუთინოვის მიერ ჯორჯ ბუშის მიმართულებით ნასროლი ხელყუმბარა პირველი არ ყოფილა. მანამდე ექსპრეზიდენტ შევარდნაძის ლიმუზინს დაუშინეს ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარები...**


Ф-1

გასულ საუკუნეში, როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობდა ეფექტიანი იარაღის სახეობები, ფართოდ გავრცელდა ასაფეთქებელი ნივთიერებების მიზანში ხელით ტყორცნის მეთოდი. შემდგომში საბრძოლო მოქმედების ეს ხერხი საკმაოდ დაიხვეწა და საბოლოოდ თანამედროვე ხელყუმბარის სახე მიიღო.

ალბათ, ყველას სმენია ე. წ. „ლიმონკის“ სახელი, მაგრამ ბევრისთვის უცნობი იქნება, საიდან მოდის იგი. ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს, რუსეთის არმიის ჯარისკაცებმა ინგლისურ მსხვრევად ხელყუმბარებს „ლუმონკები“ შეარქვეს ინგლისელი კონსტრუქტორის, ლუმინის გვარის მიხედვით. მოგვიანებით ამ სახელმა ტრანსფორმაცია განიცადა და საბჭოთა ჯარში უკვე „ლიმონკებად“ იწოდებოდა (ალბათ, საბჭოთა ჯარისკაცებმა იგი ლიმონს მიამსგავსეს. ეტყობა, საბჭოთა კავშირში მხოლოდ ლიმონი ენახათ, ისიც საქართველოდან შეტანილი, თორემ ამერიკელი ჯარისკაცები მსგავს ხელყუმბარებს „ანანასებს“ ეძახდნენ).

საბჭოთა არმიაში, ისევე როგორც დღევანდელ ქართულ ჯარში, ძირითადად, შეიარაღებაში შემდეგი სახეობის ხელყუმბარებია: შემტევი РГД-5 და РГ-42, თავდაცვითი Ф-1 და ტანკსაწინააღმდეგო კუმულაციური РКГ-3.

რა საოცარიც უნდა იყოს, პირველი ორი ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს გამოიყენებოდა, ხოლო Ф-1-ის პირველ მოდიფიკაციას 1939 წელს საბჭოთა ჯარისკაცები ფინელებსაც კი ესროდნენ. თუმცა, ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის მიუხედავად, ეს ხელყუმბარები კვლავ რჩება ახლო ბრძოლის ეფექტიან საშუალებად.

1942 წელს გამოშვებული ხელყუმბარა РГ-42 420 გ-ს იწონის და მისი გადაგდება კარგად ნავარჯიშებ მებრძოლს 30-40 მ-მდე შეუძლია. ხელყუმბარის ნამსხვრევები 25 მ რადიუსში ინარჩუნებს მომაკვდინებელ ძალას.

ხელყუმბარა РГД-5 შედარებით პატარაა და სულ 300 გრამს იწონის. მისი გადაგდება 40-50 მ-ზე შეიძლება, ნამსხვრევები – 30 მ-ზე შორს იფანტება, მაგრამ მომაკვდინებელ ძალას მხოლოდ 25 მ-მდე თუ ინარჩუნებს.

ზემოხსენებული ორივე შემტევი ხელყუმბარისგან განსხვავებით, თავდაცვითი Ф-1 ხელყუმბარა ბევრად უფრო მრისხანე იარაღია. იგი ორჯერ მძიმეა და 600 გ-ს იწონის. მისი გადაგდება მხოლოდ 35-45 მ-ზე თუ შეიძლება და ისიც მხოლოდ სანგრიდან ან სხვა თავშესაფრიდან, რადგან Ф-1-ის ნამსხვრევები 200 მ-ზე შორს იფანტება და თანაც მომაკვდინებელ ძალას თითქმის მთელი ამ მანძილის რადიუსში ინარჩუნებს.

სამივე ხელყუმბარას ერთნაირი უნივერსალური ამფეთქი, – УЗРГМ უკეთდება. თუკი რგოლის გამოძრობისთანავე ამფეთქის სახელური მიჭერილი არ არის ხელყუმბარის კორპუსზე, მსროლელს 3,2-4,2 წამი რჩება ხელყუმბარის გადასაგდებად, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ხელში აუფეთქდება. ცალკე ამფეთქიც ძალზე საშიშია, მისი აფეთქება თითების წაგლეჯას იწვევს.

ხელყუმბარის საბრძოლო მოხმარებამდე მებრძოლმა აუცილებლად უნდა გაიაროს სათანადო წვრთნა და რაც მთავარია, ფსიქოლოგიური მომზადება, რადგან მისი ხმარება ბევრ ნიუანსთან არის დაკავშირებული. ხშირად ყოფილა, – მოუმზადებელ ჯარისკაცს, დაბნეულობისა თუ სხვა მიზეზის გამო, რგოლგამოცლილი ყუმბარისთვის ხელი გაუშვია და იგი იქვე, სანგარში ჩავარდნილა.

აფხაზეთის ომის დროს ხელყუმბარებს ორივე მებრძოლი მხარე ფართოდ იყენებდა. ზოგიერთი ინფორმაციით, აფხაზები, რომლებიც მოტოდელტაპლანების საშუალებით ბომბავდნენ სოხუმსა და ბაბუშერის აეროპორტს, ზემოდან ყრიდნენ მინის ქილებს, რომლებშიც უკვე რგოლგამოცლილი Ф-1 ხელყუმბარები იყო გაჭედილი. მიწაზე დანარცხებისას ქილა იმსხვრეოდა და 3-4 წამში ხელყუმბარაც ფეთქდებოდა.

გარდა ამისა, იყო კიდევ ერთი დიდი საშიშროებაც, რომლისგან, ალბათ, უფალმა თუ იხსნა ქართული მხარე. ყველასთვის ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველოში პოლიტიკური დაძაბულობის გამო მებრძოლები აფხაზეთში, ძირითადად, სამგზავრო თვითმფრინავებითა და შვეულმფრენებით ხვდებოდნენ. ზოგიერთი შეიარაღებული პირი უდისციპლინობისა თუ უცოდინარობის გამო, ამფეთქჩახრახნილი ყუმბარებით მგზავრობდა, რაც კატეგორიულად აკრძალულია, მით უფრო, წნევის მკვეთრი ცვლილების პირობებში (წესით, ამფეთქი ხელყუმბარაში უშუალოდ ბრძოლის წინ უნდა ჩაიხრახნოს, მანამდე ეს უკანასკნელი სპეციალური საცობით არის თავდაცული). მეტიც, სავარძლებში მსხდომთ ხელყუმბარების რგოლები ისე ჰქონდათ გამოწეული გარეთ, რომ თვითმფრინავის სალონში მოსიარულენი შეიძლებოდა, უნებურად წამოსდებოდნენ და გამოეძროთ. მაშინ ტრაგედია გარდაუვალი იქნებოდა. სხვათა შორის, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში დატრიალდა ტრაგედია: ავლანეთგამოვლილი სამხედრო საქმის მასწავლებელი რუსეთის ერთ-ერთ სკოლაში უფროსკლასელებს ხელყუმბარის მოქმედების პრინციპს უხსნიდა. მას ხელში სას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავლო ხელყუმბარა Ф-1 ეჭირა. მასწავლებელმა ხელყუმბარის რგოლი გამოაძრო თუ არა, მყისვე ავღანური გამოცდილებით მიხვდა, რომ რამდენიმე წამში აფეთქება გარდაუვალი იყო. ამიტომაც უმალ ძირს დააგდო Ф-1 და ზედ მუცლით გადაეფარა. მოსწავლეები გადარჩნენ, მხოლოდ რამდენიმემ მიიღო მეტ-ნაკლები სირთულის ჭრილობა. როგორც გამოძიებამ დაადგინა, სამხედრო საწყობიდან შეცდომით საბრძოლო Ф-1 ხელყუმბარა გამოუგზავნიათ. დაღუპულ მასწავლებელს კი საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭეს. თითქმის ანალოგიური ტრაგედია თბილისშიც დატრიალდა, ასევე სამხედრო საქმის გაკვეთილზე.

დღეისათვის Ф-1 ხელმოკლე, დამწყები ტერორისტების საყვარელ იარაღად იქცა. ისინი საცხოვრებელი სახლის შემოსასვლელ კარს გარეთა მხრიდან რგოლით ამაგრებენ Ф-1-ს, კარის გაღებისთანავე ხელყუმბარას რგოლი ძვრება და სანამ დაბნეული მსხვერპლი რამეს მიხვდება, 3-4 წამში მძლავრი აფეთქება ხდება.

კილერები Ф-1-ს ავტომანქანების დასანაღმავადაც იყენებენ. როგორც კი მანქანა დაიძრება, Ф-1 ხელყუმბარა, რომელიც ძარის ფსკერზე რომელიმე მბრუნავ აგრეგატზეა მიმაგრებული, აფეთქდება და მანქანას ნამსხვრევებად აქცევს.

თუმცა, ტერორისტები არც ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარების გამოყენებას ერიდებიან. ყოველ შემთხვევაში, 1998 წლის 29 თებერვალს, ყუმბარსატყორცნების შემდეგ ექსპრეზიდენტ შევარდნაძის შეჯავშნულ „მერსედესს" მათ სწორედ ტანკსაწინააღმდეგო კუმულაციური ხელყუმბარები — РКГ-3-ები დაუშინეს (თუმცა, ამაში პირველობა შევარდნაძეს ნამდვილად არ ეკუთვნის, თითქმის 100 წლის წინ, აქვე, თბილისის ცენტრში, რევოლუციონერმა არსენა ჯორჯიაშვილმა ხელყუმბარები ესროლა მაშინდელ პირველ პირს — მეფისნაცვალს).

РКГ-3 10 კგ-ს იწონის, მისი გადაგდების მანძილი 15-20 მ-ს არ აღემატება. სამაგიეროდ, შეუძლია 170-220 მმ-ის ეკვივალენტი ჯავშნის გახვრეტა.

საბედნიეროდ, 6-7 РКГ-დან შევარდნაძის შეჯავშნული „ლიმუზინის" სახურავს არც ერთი არ მოხვედრია, თორემ შედეგი ძალზე სავალალო იქნებოდა. სამმა კუმულაციურმა ხელყუმბარამ აფეთქებისას ასფალტი რამდენიმე ათეულ სანტიმეტრზე ამოთხარა, ხოლო სამიც არ აფეთქდა (მოგვიანებით, აუფეთქებელი, პარაშუტგამოშვებული РКГ-ები ადგილზევე გაანადგურეს).

ხელყუმბარა დღესაც რჩება იაფფასიან, მაგრამ ამასთანავე, ეფექტიან, შემტევ და თავდაცვითი იარაღის სახეობად.

*ირაკლი ალადაშვილი*



# მფრინავი "ნიანგი"

## ციდან "მოვლენილი" რისხვა

მის დანახვაზე ავღანური კიშლაკების მკვიდრნი ალაჰს გადარჩენას შესთხოვდნენ, მაგრამ თითქმის ერთდროულად გამოშვებული 128 უმართავი რაკეტა, სოფლის მაცხოვრებლებს გადარჩენის შანსს აღარ უტოვებდა...

თავისი მრისხანე საბრძოლო თვისებები მსოფლიოში პირველმა შეჯავშნულმა საბრძოლო-სატრანსპორტო შვეულმფრენმა, Ми-24-მა პირველად სწორედ ავღანეთის ომში გამოავლინა.

საერთოდ მას შემდეგ, რაც შვეულმფრენების მასობრივი გამოყენება დაიწყო (1943 წლიდან), სულ იყო მცდელობა იგი შეეიარაღებინათ და გარდა ჯარისკაცების გადაყვანისა, წმინდა საბრძოლო მიზნებისთვისაც გამოეყენებინათ. მაგრამ შეუჯავშნავ სატრანსპორტო შვეულმფრენზე დაყენებული თითო-ოროლა ტყვიამფრქვევი, მას საბრძოლო მფრინავ აპარატად ვერ აქცევდა. ამიტომაც გასული საუკუნის 60-იანი წლების შუახანებში ვიეტნამის ომში პენტაგონმა პირველად გამოიყენა საბრძოლო შვეულმფრენი AM-1 „ჰიუ კობრა", რომელიც სატრანსპორტო UH-1 „იროკეზის" მოდიფიკაციას წარმადგენდა.

საბჭოთა კავშირმა საპასუხო ნაბიჯი გადადგა და 1967 წლიდან დაიწყო შეჯავშნული საბრძოლ-სატრანსპორტო შვეულმფრენის Ми-24-ის პროექტირება, რომელშიც სატრანსპორტო Ми-8-ს ბევრი აგრეგატი იქნა გამოყენებული.

პირველი გაფრენა Ми-24-მა 1969 წელს შეასრულა, მისი სერიული წარმოება კი 1971 წლიდან დაიწყო და 1991 წლამდე გაგრძელდა. 20 წლის განმავლობაში სხვადასხვა მოდიფიკაციის 2300-მდე Ми-24 იქნა აწყობილი.

აქედან არანაკლებ ათზე დამოუკიდებელი საქართველოს გერბი იყო გამოსახული, მაგრამ სამწუხაროდ სამი მათგანი



ეროვნული ბიბლიოთეკა



ორი Ми-24В სრული საბრძოლო დატვირთვით

**ჩვენი დოსიე:** 1971-91 წლებში გამოშვებულია 2300 ერთეული სხვადასხვა მოდიფიკაციის Ми-24. მათ შორისაა — Ми-24А (ეკიპაჟის ორი წევრი ერთმანეთის გვერდით იჯდა); Ми-24В (ეკიპაჟი უკვე ტანდემურად, ერთმანეთის მიყოლებით განალაგეს); Ми-24П (ამ შვეულმფრენს Ми-24В-სან განსხვავებით ტყვიამფრქვევი კი არა, არამედ ორლულიანი 30მმ კალიბრიანი ქვემეხი ჰქონდა შეიარაღებაში); А-10 (შემსუბუქებული Ми-24, რომელმაც 1975 წელს მსოფლიო რეკორდი დაამყარა და თითქმის 370 კმ/სთ სიჩქარე განავითარა).

თავისი ეკიპაჟებითურთ აფხაზეთის ომში დავკარგეთ.

აფხაზეთის ომის წინ, საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ ექვსი Ми-24 შეიძინა რუსი სამხედროებისგან თელავის აეროდრომზე. ეს შვეულმფრენები ომის დაწყებისთანავე ჩაებნენ საბრძოლო მოქმედებებში (სხვათა შორის ცხინვალთან, სოფელ ზემო ნიქოზის მეზობლად Ми-24-ების მთელი საავიაციო პოლკი ბაზირებდა არანაკლებ 66 შვეულმფრენის ოდენობით, თუმცა ისინი რუსეთში გაიყვანეს).

ექვსივე ქართული Ми-24 აქტიურად იღებდა მონაწილეობას როგორც გაგრის, ისე სოხუმის და ოჩამჩირის დაცვაში. ქართველმა პილოტებმა არაერთი წარმატებული საბრძოლო გაფრენა განახორციელეს, მაგრამ ომის დაწყებიდან მოკლე ხანში რუსმა სამხედროებმა და სპეცსამსახურებმა

**ჩვენი დოსიე:** Ми-24В მოდიფიკაციას ცხვირში ერთი 12,7მმ კალიბრიანი ოთხლულიანი ტყვიამფრქვევი უყენია. მის ფრთებზე ოთხი უნივერსალური ბლოკის ჩამოკიდება შეიძლება, რომლებშიც 57მმ კალიბრიანი 128 ცალი С-5 ტიპის უმართავი რაკეტა ეტევა. ფრთების ბოლოებში კი ოთხი მართვადი ტანკსაწინააღმდეგო რაკეტა „Штурм-В" ეკიდება.

კონფლიქტის ზონაში საკმაო რაოდენობით შეზიდეს იმ დროისთვის თანამედროვე საზენიტო საშუალებები, მათ შორის გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები Стрела-3М და ИГЛА.

ქართულმა Ми-24-ებმა პირველი საბრძოლო დანაკარგი 1992 წლის 5 ოქტომბერს გაგრასთან განიცადა, როდესაც მტრის გამოშვებულმა „იგლამ" ქართველი პილოტის გოგი კვესაძის შვეულმფრენი ჩამოაგდო. Ми-24 ზღვაში ჩავარდა, პილოტის ბედი კი გაურკვეველი დარჩა.

აი, როგორ აღწერს ამ ფაქტს თავად მოწინააღმდეგე — „...5 ოქტომბერს შეძლო აფხაზეთის სარდლობამ გაგრაში, სანატორიუმ „უკრაინის" რაიონში, ორი გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის მიტანა ბრძანა, რომლებმაც ცეცხლი გაუხსნეს მტრის საჰაერო სამიზნეებს. „იგლადან" გაშვებულმა რაკეტამ 14 საათზე ჩამოაგდო შვეულმფრენი Ми-24, რომელიც სანატორიუმის მახლობლად ზღვაში ჩავარდა".

1992 წლის 26 დეკემბერს საქართველოს ეროვნული გვარდიის ავიაცია სარდლის გარეშე დარჩა — იმ დღეს საბრძოლო გაფრენიდან ბაბუშერას აეროპორტში დაბრუნების დროს მოწინააღმდეგემ ცნობილი პილოტის, პოლკოვნიკ ჯიმი მაისურაძის Ми-24 ჩამოაგდო. ჯიმი მაისურაძესთან ერთად დაიღუპა ახალგაზრდა სამხედრო მფრინავი მამუკა გელაშვილი, რომელსაც ახალი დამთავრებული ჰქონდა სიზრანის უმაღლესი საშვეულმფრენო-საფრენოსნო სასწავლებელი (ამ სტატიის ავტორი ერთი პერიოდი იმ საავიაციო პოლკში მსახურობდა, სადაც მამუკა გელაშვილი ფრენას სწავლობდა. ჩვენი ბოლო შეხვედრა 1992 წლის 22 დეკემბერს ბაბუშერას აეროპორტში სწორედ იმ Ми-24-თან მოხდა, რომელშიც ოთხი დღის შემდეგ ჯიმი მაისურაძე და მამუკა გელაშვილი დაიღუპნენ).

მოწინააღმდეგის მონაცემების თანახმად — „26 დეკემბერს ქართული ჯარების მსხვილმასშტაბიანი შეტევების დროს არტურ ტარბამ (ის სოფელ დურიფშიდან იყო) ათარის ცენტრში „იგლათი" ჩამო-

**ჩვენი დოსიე:** საბრძოლო-სატრანსპორტო შვეულმფრენის Ми-24 მაქსიმალური ასაფრენი მასა 12 ტონას აღწევს. მისი სიგრძე 17,5მ, სიმაღლე 6,5მ. შვეულმფრენს ორი, თითოეული 2200 ცხ.ძ-ის სიმძლავრის ტურბოხრახნიანი ძრავა უყენია. ფრენის მაქსიმალური სიჩქარე 335 კმ/სთ-ს აღწევს, კრეისერული კი — 270 კმ/სთ-ს. ფრენის მაქსიმალური სიშორე 1000 კმ-ია, ხოლო საბრძოლო მოქმედების რადიუსი 224 კმ-ს არ აღემატება. ფრენის პრაქტიკული „ჭერი" 4,5კმ-ს შეადგენს, სტატიკური კი 1,5 კმ-ს. ეკიპაჟი სამი კაცისგან: მფრინავისგან, ოპერატორისგან (იგი წინა კაბინაში ზის) და ბორტტექნიკოსისგან შედგება. შვეულმფრენს შეუძლია დამატებით 8 მებრძოლის გადაყვანა, რომლებიც სატრანსპორტო ნაკვეთურის ღია ილუმინატორებიდან ავტომატებით ისვრიან.



უკრაინიდან საქართველოში გამოსამგზავრებლად გამზადებული შვეულმფრენები (2004 წლის გაზაფხული)

აგდო შვეულმფრენი Ми-24, რომელიც ვლადიმიროვკაში, გულრიფშის რაიონში ჩამოვარდა და დაიწვა“.

მესამე Ми-24 კი 1993 წლის 15 იანვარს დავკარგეთ. სეპარატისტების მხარეს მებრძოლმა ვინმე ვ. სტრომ ქართული შვეულმფრენი ჩამოაგდო, რომელშიც გამოცდილი პილოტი აბაქარ მაგომედოვი დაიღუპა.

მოწინააღმდეგე მხარემ არანაკლებ 6-7 შვეულმფრენი დაკარგა, თუმცა მათ შორის საბრძოლო Ми-24-ები არ უნდა ყოფილიყო. ერთი Ми-24 რუს „ცისფერჩაფხუტიანებს“ გალის რაიონში ბევრად უფრო მოგვიანებით, ხუთიოდ წლის წინ ჩამოუვარდათ.

თუკი გავითვალისწინებთ, რომ საბჭოთა კავშირმა 9-წლიანი ავღანეთის ომის დროს 333 შვეულმფრენი დაკარგა (მათ შორის საკმაო რაოდენობით იყო Ми-24-ებიც), ხოლო რუსეთმა მარტო ჩეჩნეთის მეორე ომის დროს (1999 წლის დეკემბრიდან) 60-მდე შვეულმფრენი ჩამოუგდეს, თითქოს აფხაზეთის ერთწლიან ომში დაკარგული სამი ქართული Ми-24 დიდ დანაკარგად არ უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ეს ერთი შეხედვით. სამწუხაროდ, ჩვენ აფხაზეთის ომში არ გამოვიყენოთ ის უზარმაზარი გამოცდილება, რაც შვეულმფრენების, კერძოდ კი Ми-24-ების ავღანეთის ომში საბრძოლო გამოყენებისას დაგროვდა. ჩვენ ვერ ვიყენებდით იმ დამცველ საშუალებებს, რომლებითაც შვეულმფრენებისკენ გაშვებული „იგლები“ და „სტრელები“ შეიძლება აგვეცილებინა. კერძოდ ლაპარაკია სისტემა Липа-ზე, რომელიც რედუქტორის უკან ყენდება და წარმოქნის მძლავრ ინფრაწითელ გამოსხივებას, რომელიც „იგლას“ ინფრაწითელი დამიზნების აპარატურის მუშაობას


ბორბლებშეკეცილი Ми-24П საბრძოლო ვირაჟის შესრულებისას

ახშობს. ქართულ Ми-24-ებს ტურბოხრახნიანი ძრავების საქშენებზე ასევე არ ეყენათ ე.წ. „ყურები“, რომლებიც ძრავიდან გამოსულ გახურებულ აირის ნაკადს ფანტავენ და „იგლას“ უსპობენ საშუალებას სითბურ კვალს მიყვეს. ძალიან იშვიათად გამოიყენებოდა კონტეინერები АСО-2, რომლებიც მაღალ ტემპერატურაზე წვად რაკეტა-ხაფანგებს ისვრიან და ამით ატყუებენ თვითდამიზნებად „იგლებსა“ და „სტრელებს“.

აფხაზეთის ომის შემდეგ დარჩენილი სამი ქართული Ми-24 სანამ უკრაინაში არ გაგზავნეს კაპიტალური რემონტისთვის იშვიათად იღებდა მონაწილეობას სამხედრო მანევრებში. ეს რემონტი ძველი ხელისუფლების უყურადღებობის გამო ხუთ წელს გაიჭიმა. შვეულმფრენების დაბრუნება, მხოლოდ 2004 წლის გაზაფხულში მოხერხდა. თუმცა მალევე ერთმა Ми-24 აჭარის მთებში ავარია განიცადა. საბედნიეროდ, ყველაფერი უმსხვერპლოდ დამთავრდა. ისე, ეს Ми-24 შეიძლება გინესის წიგნში შევიდეს, რადგან აჭარიდან თბილისამდე იგი საკუთარი ბორბლებით ჩამოაგორეს (400კმ). მსოფლიოში არც ერთ შვეულმფრენს არ გაუვლია მიწაზე ასეთი მანძილი. ეს შვეულმფრენი ერთ წელზე მეტია „თბილავიამშენის“ საამქროში იმყოფება, მაგრამ მას ალბათ აღარ აღადგენენ.

ავარიაგანცდილი Ми-24 მალევე თანამობმემ ჩაანაცვლა, რომელიც შუა აზიის ერთ-ერთ ქვეყანაში იქნა ნაყიდი და Ми-24-ების საერთო რიცხვი ისევ სამამდე გაიზარდა. 2005 წლის 26 მაისის სამხედრო აღლუმზე კი რუსთაველის გამზირს ისევ ექვსმა Ми-24-მა გადაუფრინა, რითაც საგონებელში ჩააგდო უცხო ქვეყნების დაზვერვები — აღლუმამდე სულ რამდენიმე დღით ადრე მოესწრო უკრაინაში ნაყიდი სამი Ми-24-ის ჩამოტანა და აღლუმისთვის მომზადება.

*ირაკლი ალადაშვილი*






საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსის" ფოტო

| | იანვარი | თებერვალი | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 4 11 18 25 |
| სამშ. | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 5 12 19 26 |
| ოთხშ. | 4 11 18 25 | 1 8 15 22 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 6 13 20 27 |
| ხუთშ. | 5 12 19 26 | 2 9 16 23 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 6 13 20 27 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | 7 14 21 28 |
| პარ. | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | 1 8 15 22 29 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გერმანული მოკლებეწვიანი

# კურცჰაარი



**მონადირე ძაღლებს შორის ერთ-ერთი პირველთაგანია კურცჰაარი, რომელსაც სხვანაირად გერმანულ მოკლებალნიან მეძებარს უწოდებენ. ეს ჯიში მე-17 საუკუნიდან არის ცნობილი, რომელიც გამოიყვანეს ძველესპანურ და ძველგერმანულ მეძებრებთან, აგრეთვე ფოქსჰაუნდთან შეჯვარებით. ამ უკანასკნელთან იმიტომ შეაჯვარეს, რომ ჯიშს ჰქონოდა სისწრაფე, ხოლო ბლანდჰაუნდთან მძაფრი ყნოსვის გამო.**

კურცჰაარი უნივერსალური მონადირე ძაღლია, შესანიშნავად ნადირობს ნებისმიერ ცხოველზე თუ ფრინველზე. მან სწრაფად მოიპოვა აღიარება მსოფლიოს მონადირეებს შორის. კურცჰაარს დღეს პირდაპირი დანიშნულებით — სანადიროდ იყენებენ.

კურცჰაარი გერმანული სიტყვაა და ნიშნავს „მოკლებალნიანს“. გერმანელი კინოლოგები კურცჰაარის წარმომავლობას აბორიგენი მოსახლეობის ძველ მეძებრებს უკავშირებენ. თუმცა დასავლელ კინოლოგთა უმრავლესობა ამ შეხედულებას არ იზიარებს. მათი აზრით, XIV-XV საუკუნეებში გერმანიის ტერიტორიაზე არ არსებობდნენ მოკლებალნიანი მეძებრები.

გერმანული მეძებრის ახალი ტიპის გამოჩენამ ევროპის ბევრ ქვეყანაში მიიპყრო მონადირეთა ყურადღება. მათი პოპულარობა თანდათან იზრდებოდა და გამოფენებისა და შეჯიბრებების სულ უფრო ხშირი მონაწილეები იყვნენ. 1860 წელს გერმანული კლუბები გაერთიანდნენ და ერთი მიმართულებით მუშაობა დაიწყეს. გაერთიანება რეგისტრაციაში 1878 წელს გატარდა. იმავე წელს კი მიიღეს ერთიანი სტანდარტის კურცჰაარი. საერთაშორისო სტანდარტი კი 1912 წელს დადგინდა.







ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურცჰაარის მეორე სამშობლო ამერიკის შეერთებული შტატებია, სადაც ეს ჯიში დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობს მონადირეთა შორის. პირველი კურცჰაარი ამერიკაში 1925 წელს მონტანელმა ჩარლზ ტორტონმა შეიყვანა. ძუ კურცჰაარი მან ავსტრიიდან ჩამოიყვანა. როგორც ამბობენ, მანამდე სამხრეთ დაკოტაში იცნობდნენ კურცჰაარს, შემონახული არის ფოტოც, რომელიც 1880 წლით თარიღდება.

1947 წელს შეიქმნა მოყვარულთა კლუბი, სადაც რეგისტრირებული იყო 4 ათასზე მეტი ამ ჯიშის ძაღლი, 1955 წელს კი მათი რიცხვი 15 ათასამდე გაიზარდა.

კურცჰაარი გერმანული მეძებრის ყველაზე ძველი და მთავარი სახეობაა. კარგად რომ იმუშაოს საველე პირობებში, აუცილებელია მძაფრი ყნოსვა ჰქონდეს და ძებნისთვის მზად იყოს. გერმანულ უნივერსალურ მეძებრებს შორის კურცჰაარი ყველაზე გავრცელებული ჯიშია. 1937 წელს, ჩეხოსლოვაკიაში, უნივერსალურობისათვის მას პირველი ხარისხის დიპლომი და პირველი ადგილი მიანიჭეს.

კურცჰაარი პროპორციული ტანის, ძლიერი, ამტანი და ენერგიული ძაღლია, კარგი კოორდინირებული მოძრაობით. თავი ზომიერი აქვს, არც ძალიან მსუბუქი და არც მძიმე, პროპორციული კორპუსისა. თავის ქალა საკმაოდ ფართო და ოდნავ მომრგვალებული. საკმაოდ ძლიერი და მოგრძო სახე აქვს, რაც ძაღლს აძლევს იმის საშუალებას, რომ კბილებით კარგად დაიჭიროს ნადავლი. ცხვირის ზურგი ოდნავ დაშვებული და ოდნავ კეხიანია, რაც ხვადებში უფრო შესამჩნევია, ვიდრე ძუში. ყურები ჩამოყრილი აქვს, არცთუ ისე თხელი, დასაწყისში ფართო, რომელიც ბოლოსკენ თანდათან ვიწროვდება. საშუალო სიდიდის მეტყველი თვალები და მშრალი წამწამები აქვს. თვალის ფერი მუქი ყავისფერია. ძლიერი, ჯანმრთელი კბილებით გამოირჩევა. სწორი, კუნთოვანი კისერი აქვს. მკერდი არა იმდენად ფართო, რამდენადაც ღრმაა. ხვადის სიმაღლე 62-66 სმ-ს შეადგენს, ძუსი – 58-64სმ-ს. გვხვდება ყავისფერი შეფერილობის მოკლებალნიანი, მბზინავი, სწორი. ყურებსა და თავზე ბალანი უფრო მოკლე და რბილია. ძვალი და მუსკულატურა კარგად განვითარებული აქვს. ტყავი ძალზე სქელია, ელასტიკური, ნაკეცების გარეშე. მას შემდეგ, რაც ზოგადად გავეცანით კურცჰაარის თვისებებს, პრაქტიკული რჩევებისთვის კინოლოგ შალვა ციხისთავს მივმართეთ.

საიდან შემოიყვანეს საქართველოში კურცჰაარი, რატომ ნადირობენ ამ ძაღლით ქართველი მონადირეები მხოლოდ ჩიტებზე, ლეკვის არჩევის რა მეთოდი არსებობს და როგორი რეაქცია ჰქონდა ჩვენი რესპონდენტის კურცჰაარს, სახელად როის, როცა პირველად წაიყვანეს სანადიროდ, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ:

– გერმანელების ნადირობა განსხვავდება ჩვენი ნადირობისგან. აქ განვითარებულია საპარკო ნადირობა, მცირე ტყის მასივებში უამრავი ბევრი ნადირფრინველი ჰყავთ. ბუნებრივია, საამისოდ გერმანელებს უნივერსალური ძაღლი სჭირდებოდათ. მოგეხსენებათ, უნივერსალური ძაღლი არ არსებობს, ამიტომ სხვადასხვა ჯიში შეაჯვარეს და გამოიყვანეს ძაღლი, რომელსაც ბევრი რამე შეუძლია.

— **როდის შემოიყვანეს კურცჰაარი საქართველოში?**

– ჩვენთან ჯერ კიდევ სამამულო ომამდე იყო, მაგრამ ძალიან ცოტას ჰყავდა. უფრო მეტი ომის შემდეგ, ნადავლის სახით შემოვიდა. მერე მოეწონათ და პოპულარობაც მოიპოვა.

— **როგორც ვიცით, კურცჰაარის მთავარი დანიშნულება ფრინველზე ნადირობაა.**

– თუ ფრინველზე დაგეშავთ, ყველა ძაღლი ინადირებს. ძაღლის დაგეშვას დრო უნდა, დრო კი ძაღლზეა დამოკიდებული, ზოგს ერთი თვე სჭირდება, ზოგს ორი და სამი. მთავარია, ყნოსვის სიმძაფრე და გონიერება. მართალია, კურცჰაარი ყნოსვაში ჩამორჩება ინგლისურ ჯიშებს: ინგლისურ სეტერს, ირლანდიურ პოინტერს, მაგრამ მას თავისი სპეციფიკა აქვს. კურცჰაარი უფრო დინჯი ძაღლია, უფრო რბილი ხასიათი აქვს, ამიტომ უფრო ადვილად იგეშება და ერთგული მუშაა. ამ ძაღლს ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ ფრინველზე ვანადირებთ, მაგრამ გერმანიაში ირემსა და ღორზეც ანადირებენ. მსხვილ ნადირზე სანადიროდ ჩვენ მდევრები გვყავს.

— **როგორი ხასიათი აქვს?**

– საზოგადოდ, დამჯერია. უკვე შვიდი წელია მყავს ხვადი, როი ჰქვია, მაგრამ ცოტა ჯიუტია, თუ რამითაა გართული, ჩემს ერთ დაძახებაზე არ მოდის ხოლმე და ამით ძალიან მაბრაზებს. როის შედარებით მოკლე ყნოსვა აქვს, მაგრამ ძალიან ჟინიანი და გულიანია. რაც მთავარია, როგორც საჭიროა, მემსახურება. ავად თუ კარგად, თავის საქმეს აკეთებს.

— **არის თუ არა საგამოფენო ძაღლი კურცჰაარი?**

– რა თქმა უნდა, არის. მთავარია, გარეგნობა ჰქონდეს კარგი. მაგალითად, თუ შავი ფერი ურევია, ჩვენც ვიწუნებთ და რუსებიც, მაგრამ გერმანიაში ეს დასაშვებია. თუ მოკლე ბალანი აქვს, ასეთს ევროპაში იწუნებენ. მოკლებალნიანი ბევრია ესპანეთში, ბელგიაში, საფრანგეთში, იტალიაში. ეს კურცჰაარი არ არის, თუმცა კურცჰაარებს მისი სისხლი აქვთ. მოკ-







ლედ, კურცჰაარი სტანდარტებს უნდა ექვემდებარებოდეს, თორემ ქულა დააკლდება. მაგალითად, საშუალო წონა 20-22 კილოგრამს უნდა აღწევდეს. ჩემი როი 27 კილოგრამს იწონის, მსუქანია.

— **რამდენად იტანს სიცხესა და სიცივეს?**

– გააჩნია, რას არის ჩვეული. ყველა ძაღლს მიაჩვევ სიცივეს და გადააჩვევ კიდეც. არ შეიძლება ძაღლს ცუდ ამინდში საბანი გადააფარო, ჩაათბუნო და გარეთ არ გაიყვანო. ბინაში კურცჰაარის გამომწყვდევა არ შეიძლება. ოთახში გაზრდილს უქვეითდება ყნოსვა. მასზე მოქმედებს სამზარეულოს, მასტიკის სუნი და ა.შ. კურცჰაარისთვის უძრაობაც მავნებელია. სასურველია, დღეში სამჯერ გაიყვანოთ გარეთ და ასეირნოთ. მონადირე ძაღლს უნდა ჰქონდეს ეზო და თავისი ბუდრუგანა, ზამთარში სითბო და მოვლა სჭირდება.

— **როგორ უნდა ვკვებოთ?**

– არსებობს ძალიან კარგი საკვები. მართალია ძვირია, მაგრამ ხორცის ხარშვასა და გამოხარშვას ნამდვილად სჯობია. ჩემი ძაღლი დღეში 400 გრამს მიირთმევს და ძალიან კმაყოფილია. როგორც გითხარით, ცოტა მსუქანიცაა.

— **როისზე რაიმე სასაცილო ამბავს ხომ ვერ გაიხსენებდით. იქნებ გვიამბოთ, როგორ გაიყვანეთ პირველად სანადიროდ?**

– (იცინის) მართლა სასაცილო დღე იყო. ტყეში სანადიროდ რომ გავიყვანე, სულ აქეთ-იქით დარბოდა, მაგრამ მერე და მერე ჩაჯდა კალაპოტში და ისწავლა. ჯერ პატარა ჩიტებს გამოუდგა, მერე კი როცა იმას მიაგნო, რაც უნდა ეპოვა, გადასხვაფერდა და ასე ნელ-ნელა ნადირობა დაიწყო.

— **რამდენ წელს ცოცხლობს კურცჰაარი?**

– ცოტა ხანს, 10 წელიწადს, რადგან დიდი ფსიქოლოგიური დატვირთვა აქვთ. სანადიროდ კი სულ რაღაც შვიდ წელიწადს დადიან, მერე უჭირთ.

— **როგორ შევარჩიოთ კურცჰაარის ლეკვი? თქვენ პროფესიონალი ხართ და პროფესიული რჩევა მოგვეცით.**

– ლეკვის შერჩევა ძნელი საქმეა, მაგრამ ვეცდები, გიპასუხოთ. უნდა იყოს ჯანმრთელი, ცქვიტი, ცოცხალი, ჭამდეს კარგად, არ უნდა ჰქონდეს გამოკვეთილი ნაკლი. მიუხედავად ამისა, შეიძლება მოგვიანებით რაღაც ნაკლი აღმოაჩნდეს. ვერ იწინასწარმეტყველებ, როგორი ყნოსვა ექნება. ისე, არის ერთი მეთოდი, თუმცა რამდენად ამართლებს, ვერ გეტყვით. ამბობენ, ლეკვები ძუს უნდა მოაშორო, განცალკევებით დასვა და რომელსაც პირველს აიყვანს, ის იქნება ყველაზე კარგიო.

მაკა ქობალია
სალომე გოგოხია


# თმის გადანერგვის კლინიკა «თალიზი»

თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები – მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები,
სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
ბუდაპეშტის ქ. 22, მესაზღვრეების ჰოსპიტალი, III სართული
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge



# შხამი

## შხამებისა და შხამიანების კატალოგი

რა იცით შხამის შესახებ? გვერწმუნეთ, ნიკოტინი და ალკოჰოლი მხოლოდ ბავშვურ ცელქობად მოგეჩვენებათ იმასთან შედარებით, რის შესახებაც ამ მასალაში მოგითხრობთ.

დედამიწაზე მრავალი ტოქსიკური ნივთიერება მოიპოვება, მათ შორის შვიდასზე მეტი მცენარეული წარმომავლობისაა, ცხოველური და ქიმიური კი გაცილებით მრავალრიცხოვანია. ცნობისათვის, შხამების შემსწავლელ მეცნიერებას ტოქსიკოლოგია ეწოდება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შხამის პრაქტიკაში მოხმარება უხსოვარი დროიდან იწყება (მაგალითისათვის შუასაუკუნეების ევროპის სამეფო კარიც საკმარისი იქნება), დღესდღეობით კი, ძირითადად, მასობრივი განადგურების იარაღად გამოიყენება. ამის ნათელი მაგალითია რამდენიმე წლის წინ ტოკიოს მეტროში მომხდარი მოვლენები.

შხამი არის ნივთიერება, რომელიც ცოცხალ ორგანიზმზე ზემოქმედებისას მისი ქმედუნარიანობის დაქვეითებას, მოწამვლას ან სიკვდილს იწვევს.

### სოკო

საუბარს ჯერ მცენარეული ტოქსინებიდან დავიწყებთ, და მათ შორის პირველს სოკოს განვიხილავთ.

ალბათ არავის გაუკვირდება, თუ ყველაზე ძლიერ ბუნებრივ ტოქსინებს შორის



პირველ რიგში სოკოს დავასახელებთ. ქვის ხანის ადამიანებმაც კი იცოდნენ, რომ ყველანაირი სოკო იჭმევა, თუმცა ზოგიერთი მხოლოდ ერთხელ... ამიტომაც ბოროტმოქმედნი ხშირად იყენებდნენ ამ ერთი შეხედვით უსაფრთხო პარაზიტს.

სხვათა შორის ყველა ტოქსიკური სოკო როდია მომაკვდინებელი. მაგალითად სოკო-ჰალუცინოგენი ადამიანს ნარკოტიკული ნივთიერების გავლენის ქვეშ აქცევს. შამანები, წინასწარმეტყველნი, ექსტრასენსები და სხვა მსგავსი გაიძვერები მიცვალებულთა სულებთან „ურთიერთობისას“, ეფექტის გასაძლიერებლად ხშირად სწორედ ასეთი ტიპის სტიმულატორებს იყენებდნენ.

უკეთესი ვითარება არ გვაქვს საკვებ სოკოსთან დაკავშირებითაც. მათი მოხმარებაც საკმაოდ სახიფათოა და ერთგვარ „რუსულ რულეტკას“ წააგავს. სოკოების დაყოფა უშხამო და შხამიანებად მეტად პირობითია. ხშირად საკვები სოკო, იმის მიხედვით თუ სად დაიკრიფა და როდის, შესაძლოა მაღალტოქსიკურიც აღმოჩნდეს. ამიტომ ამერიკასა და ევროპაში ბუნებრივად მოსულ სოკოს საკვებად არ იყენებენ.

ყველაზე საშიში სოკოები ამანიტების სახეობას მიეკუთვნებიან. მათი ზემოქმედება იმდენად ძლიერია, რომ მყისიერი სამედიცინო ჩარევაც კი ვერ უნარჩუნებს ადამიანს სიცოცხლეს.



### ფუტკარი

თუ მოწამვლის შიშით სოკო არასოდეს გიგემიათ, თაფლი ალბათ აუცილებლად გექნებათ გასინჯული. ყველამ იცის მისი სასარგებლო თვისებების შესახებ, თუმცა არა გვგონია, რომ უარყოფითის შესახებ ბევრს ჰქონდეს რაიმე გაგონილი. ადამიანი უხსოვარი დროიდან აქტიურად იყენებდა კეთილი „აფთიაქარის“ მიერ გამომუშავებულ პროდუქტს, მაგრამ მასთან ფრთხილი დამოკიდებულება ჰქონდა, რადგან მკურნალის გარდა ეს არსება მკვლელიც შეიძლება იყოს.

თუკი ოდესმე გამოგიცდიათ ფუტკრების შემოტევა, მაშინ გეცოდინებათ მისი

შედეგებიც, რაც ტკივილით, სიწითლითა და შესიებით გამოიხატება. ეს საკმაოდ სახიფათოა მათთვის, ვინც ალერგიულია, სხვა შემთხვევაში კი ყველაფერი ნესტრის ამოღებითა და ნაკბენის არყით, ძმრით ან ნიშადურით დამუშავებით შემოიფარგლება. შხამის კატალოგში ფუტკრის შხამი შემთხვევით არ მოხვედრილა. მისი ფერმენტები ოცდაათჯერ უფრო აქტიურია ვიდრე გველის. ადამიანებს სიკვდილისაგან მხოლოდ ის იცავს, რომ ერთ ფუტკარს მიკროსკოპული დოზა აქვს. ფუტკრის შხამი (მეცნიერული ენით აპიტოქსინი) გამჭვირვალე ლორწოვანი სითხეა, მწარე გემოთი და თაფლის სუნით. ჰაერზე შხამი მალე ხმება და ძალიან დიდხანს ინახება, თანაც ისე, რომ თავის ტოქსიკურ თვისებებს არ კარგავს. აპიტოქსინი კარგად იხსნება წყალსა და სხვა სითხეებში, და საერთოდაც შესანიშნავი სიცოცხლისუნარიანობით გამოირჩევა. მისი შემადგენლობა დღესდღეობითაც ბოლომდე არ არის შესწავლილი. ცნობილია რომ ძირითადი შემადგენელი ნაწილი მეტად ტოქსიკური ნივთიერება — მელიტინია, ამავე დროს შხამი შეიცავს მინერალურ ნივთიერებებს, აირად ზეთებს და ამინომჟავებს. იგი თავის მომაკვდინებელ ზემოქმედებას კუნთოვან ქსოვილებზე, სისხლძარღვებსა და ნერვულ სისტემაზე ახდენს. სხვადასხვა ცხოველები სხვადასხვაგვარად რეაგირებენ ფუტკრის ნაკბენზე. რაც შეეხება ადამიანს, მას შეუძლია აიტანოს 500-მდე ფუტკრის ნაკბენი, თუმცა ამას თავბრუსხვევა, სისუსტე, ტემპერატურის მატება, ღებინება და წნევის დაწევა მოსდევს, მაგრამ მომაკვდინებელი არ არის. აი, 500-ზე მეტი ნაკბენი კი ნებისმიერს ჩააგდებს კრიტიკულ მდგომარეობაში. ამ შემთხვევაში ორგანიზმში დაახლოებით 0,2 გრამი შხამი ხვდება, რაც ადამიანისათვის მომაკვდინებელი დოზაა. არსებობს ისეთი ჯიშის ფუტკრებიც, რომელთა ნაკბენიც მყისიერად კლავს ცოცხალ არსებას. ეს ჯიში ადამიანის მიერ მეცნიერული სელექციის შედეგად არის გამოყვანილი. ბრაზილიელმა ენტომოლოგმა და სელექციონერმა უორვიკ კერმა 1956 წელს სამშობლოში რამდენიმე ათეული აფრიკული ფუტკარი ჩაიყვანა. მას აზრადაც არ მოსვლია მკვლელი ჯიში გამოეყვანა და მხოლოდ კეთილი მიზნები ამოძრავებდა. მაგრამ... საქმე იმაშია, რომ აფრიკული ფუტკარი შეუსვენებლივ მუშაობს, სწრაფად მრავლდება და შესაბამისად, მეტ თაფლს იძლევა. უორვიკ კერმა მოისურვა ეს ჯიში შეეჯვარებინა ადგილობრივი პირობებისადმი უფრო მეტად ადაპტირებული ევროპული ფუტკრისათვის. თუმცა თაფლის ნაცვლად, კაცობრიობამ ახალი ჰიბრიდი მიიღო, რომელიც მეტად აგრესიული აღმოჩნდა. ყველაზე სავალალო კი ის იყო, რომ ისინი ძალიან სწრაფად მრავლდებოდნენ და არც უწინდელი სიცოცხლისუნარიანობა დაუკარგავთ. ლაბორატორიის ერთ-ერთი მუშაკის დაუდევრობით ეს საშიში არსებები ბუნებაში გავრცელდნენ, მიმდებარე ტერიტორიიდან განდევნეს ევროპული ფუტკრები და დაიწყეს ჩრდილოეთისაკენ მოძრაობა. გამანადგურებელი შედეგები განსაკუთრებულად მძიმედ აისახა სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკაზე. აქ ყოველწლიურად მრავალი შინაური ცხოველი იღუპება, რაც შეეხება ადამიანებს, მათი დაღუპულთა რაოდენობა 40 წლის მანძილზე 150 კაცს აღემატება.

## ობობა

ეს დედამიწის კიდევ ერთი ბინადარია, რომელიც ღმერთმა შხამით დააჯილდოვა. ობობათა 20.000 სახეობიდან შხამიანთა დიდი რაოდენობა ტროპიკებში ბინადრობენ. ყველაზე დიდი შხამიანი ობობა — ფრინველის მჭამელი ობობაა. ის სიგრძით 11 სანტიმეტრსაც კი აღემატება. საშინელი მონსტრი უმეტესად ხეზე ბინადრობს. ადამიანისათვის მისი ნაკბენი სასიკვდილო არ არის, თუმცა ნაკლებსასიამოვნო შედეგებს იწვევს. პირველ რიგში აზიანებს ნერვულ-კუნთოვან ქსოვილებს, იწვევს აუტანელ ტკივილს, აღგზნებადობას და დიარეას.



მეტად საინტერესო არსებაა სამხრეთ ამერიკის ბინადარი, პატარა ხორბლის ობობა, რომელის ნაკბენიც უცნაურ შედეგს იწვევს მამაკაცებში. საქმე იმაშია, რომ დაზარალებული რამდენიმე დღის მანძილზე ძლიერ ერექციას განიცდის! მაგრამ ეს სიურპრიზი სასიამოვნო სულაც არ არის. პირველ რიგში იმიტომ, რომ ერექცია საკმაოდ მტკივნეულია, მეორეც ადამიანს ტახიკარდია, ძლიერი ოფლდენა და ნერვული გაღიზიანება ეწყება. დღესდღეობით ჩილელი მეცნიერები ვიაგრაზე ბევრად ეფექტური პრეპარატის შექმნის იმედით, დიდი მონდომებით სწავლობენ ამ ობობის შხამის შემადგენლობას.

ერთ-ერთ ყველაზე საშიშ ობობად მსოფლიოში კარაკურტი ითვლება. სხვათა შორის ამ ობობის ზოგიერთი სახესხვაობა კავკასიაში უკრაინასა და





ეროვნული ბიბლიოთეკა



შუა აზიაშიც ბინადრობს. მის კბენას ადამიანი თითქმის ვერ გრძნობს, ნაკბენი არ ჩანს და არ სივდება, სამაგიეროდ შედეგი მეტად სავალალოა. რამდენიმე წუთში ადამიანს ნერვული აშლილობა და სიკვდილის შიში იპყრობს. სულ მალე კი გაგუდვა, კუნთების, სახსრების და წელის ძლიერი ტკივილი ეწყება. სასწრაფო სამედიცინო დახმარებამ შესაძლოა ავადმყოფი ერთ კვირაშიც დააყენოს ფეხზე, წინააღმდეგ შემთხვევაში კი დაზარალებული შესაძლოა საიქიოსაც გაუდგეს.

კიდევ ერთი ცნობილი შხამიანი ობობაა ტარანტული, რომლის ნაკბენიც მომაკვდინებელი არ არის, მაგრამ მეტად მტკივნეულია. დაზიანებული ადგილი სწრაფად და ხანგრძლივი დროით სივდება, რის შემდეგაც სიწითლე და შესიება მთელს სხეულზე ვრცელდება. თუკი ოდესმე ტარანტულის ან კარაკუტის მსხვერპლი გახდებით, პანიკაში ნუ ჩავარდებით. პირველ რიგში მოიწვით ნაკბენი ადგილი. ობობის ნაკბენი არ არის ღრმა და თუ პირველსავე წუთებში მოწვავთ 2-3 ასანთის ღერით, მაშინ ტოქსიკოზი ისეთი მძიმე არ იქნება. რა თქმა უნდა, ეს პროცედურა მტკივნეულია, მაგრამ პერსპექტივა უფრო საშიშია...

## შხამიანი ზოდიაქო

დედამიწაზე არსებულ მრავალ შხამიან არსებათაგან ერთ-ერთი მთავარი ფიგურა მორიელია. ისიც ძირითადად ტროპიკებში ბინადრობს. მორიელები სხვადასხვა სიგრძისანი არიან, მაგრამ სამაგიეროდ უკლებლივ ყველა მორიელი შხამიანია. ისინი შხამის საშუალებით მოიპოვებენ საკვებს და თავსაც იცავენ. მორიელის ნაკბენს აუტანელი ტკივილი და შესიება ახლავს, ორგანიზმის ტემპერატურის მატება, ცრემლდენა, ოფლიანობა, მოგუდვა, ღებინება. ზოგჯერ კიდევ უფრო მეტად მძიმე შედეგებიც მოსდევს — გულის არითმია, კრუნჩხვები და ფილტვების შეშუპება. გავრცელებული მოსაზრების მიუხედავად, მორიელის ნაკბენისაგან არცთუ ისე მრავალი ადამიანი დაღუპულა. მისი მსხვერპლი უფრო ხშირად ბავშვები არიან, რომელთა ორგანიზმიც სუსტი და მოუმზადებელია ძლიერი შხამის დასაძლევად. ზოგიერთი მორიელის შხამი ადამიანზე ძლიერ ფსიქოტროპულ გავლენას ახდენს და ფრენისა და თავისუფლების საოცარ შეგრძნებას იწვევს. ინდოეთში ასეთი შხამით საკმაოდ სარფიანად ვაჭრობენ კიდეც.

თუკი საჰარას ან გვატემალას მონახულება გადაწყვიტეთ, აუცილებელია იცოდეთ როგორ დაიცვათ თავი ამ ქვეწარმავლისაგან. პირველ რიგში, სასწრაფოდ უნდა დაიმუშაოთ ჭრილობა ზეთით და დაიდოთ რაიმე თბილი. თუ ვინიცობაა და ხელთ ნოვოკაინის ამპულა და ერთჯერადი შპრიციც აღმოგაჩნდათ, მაგაზე უკეთესი რა იქნება. დაუყონებლივ გაიკეთეთ, შემდეგ კი ექიმს მიაკითხეთ, თუ რა თქმა უნდა, საჰარაში იპოვნით. საერთოდ კი დაიმახსოვრეთ, თუ ასე ძლიერ გიყვართ ტროპიკული ქვეყნები, შეეცადეთ ღამღამობით ბევრი არ იბოდიალოთ, რადგანაც მორიელი ღამის მტაცებელია.

## ბაყაყი

ტოქსიკურ არსებათა შორის ბაყაყსაც ერთ-ერთი მოწინავე პოზიციები უკავია, შხამი მას თავდაცვისათვის ესაჭიროება. საინტერესოა, რომ ამფიბიები გველებისაგან განსხვავებით შხამს კი არ გამოიმუშავებენ, არამედ ახდენენ მის სინთეზს საკვების საშუალებით. ხოჭოები, ობობები, ქინქლი და სხვა ამგვარი მწერები, რომლებიც ბაყაყის ყოველდღიურ საკვებს წარმოადგენენ, მას საჭირო კომპონენტებით ამარაგებენ. ბაყაყები შხამს კანში ინახავენ, რათა მათ ხორცს დახარბებულ მტაცებელზე შური იძიონ. ამის გამო ბაყაყზე მონადირეები მეტად მცირენი არიან. ბაყაყებს შორის ყველაზე ცნობილი და საშიში ხეზე მცოცავი ბაყაყია, რომელიც ჩრდილოეთ ამერიკის ტროპიკებში ბინდრობს. სხვათა შორის ამ არსების ინგლისური სახელწოდება ზედმიწევნით მოწამლული ისრების ბაყაყად ითარგმნება — ალბათ, მიხვდით, რომ ეს სახელწოდება ინდიელების შერქმეულია. ინდიელები უხსოვარი დროიდან იყენებდნენ ბაყაყის შხამს, რომელსაც ისრების ბუნიკებს უსვამდნენ. იმისათვის რომ შხამი მოეპოვებინათ, ისინი ამფიბიებს ცეცხლზე ათბობდნენ, რის შედეგადაც ბაყაყები აქტიურად „ოფლიანობდნენ" და სწორედ ასე გამოყოფდნენ ტოქსიკურ ნივთიერებას. მოწამლული ისრით დაჭრილი ყველაზე დიდი ცხოველიც კი ვერ შეძლებს 5-7 წუთზე მეტ ხანს სირბილს. ფოთოლზე მცოცავი ბაყაყის მიერ გამომუშავებული შხამი — ბატრახოტოქსინი — ერთ-ერთი ყველაზე საშიში ტოქსინია, რომელიც ნერვო-პარალიტიკური მოქმედებით ხასიათდება. ამ პატარა მზეთუნახავის ხელში დასაკავებლად სკაფანდრით უნდა შეიმოსოთ, რადგან ერთი მოზრდილი ბაყაყის სხეულში იმდენი შხამია, რომ 1000 კაცის საიქიოში გასასტუმრებლად კმარა.

## გველი

ამ შემთხვევაში სიდედრს არ ვგულისხმობთ. დაუმარცხებელი ინდიანა ჯონსიც კი შიშით თრთოდა გველის დანახვისას. ეს მცოცავი არსება დედამიწის ფაუნის ყველაზე შხამიანი წარმომადგენელია. დღესდღეობით მეცნიერებისათვის ცნობილია 25000-მდე გველის სახეობა. მათგან 400-ზე მეტი შხამიანია. მსოფლიოში გველის ნაკბენისაგან ყოველწლიურად 40.000-მდე ადამიანი იღუპება, მათი ნახევარი ინდოეთისა და შრი-ლანკის მაცხოვრებლები არიან.

ყველაზე შხამიანი გველი ფარფლკუდიანია. ის მიწაზე არ დაცოცავს, ცურავს და ბინადრობს ავსტრალიის ჩრდილოდასავლეთით, ტიმორის ზღვაში. მართლია მისთვის ადამიანის მოკვლა სირთულეს არ წარმოადგენს, მაგრამ მის მიერ დაკბენილი ადამიანების მსხვერპლი ჯერ არ დაფიქსირებულა.

შხამიან გველთა შორის ყველაზე გრძელი სამეფო კობრაა, რომელიც აზიის ჯუნგლებში ბინადრობს და სიგრძით 5 მეტრს აღწევს. ყველაზე აგრესიულ გველად სამართლიანად ითვლება ქვიშის ეფა. იგი ჩრდილოეთ აფრიკაში, აზიასა და ინდოეთში ბინადრობს. წელიწადში მისი მსხვერპლი დაახლოებით 3000 ადამიანი ხდება.

ყველაზე სწრაფი გველი — აფრიკული მამბაა. იგი არა მხოლოდ ძლიერი შხამით არის შეიარაღებული, არამედ სწრაფადაც დახოხავს — 11 კმ/სთ-ს ავითარებს.

ყველაზე ორიგინალური გველი კობრას ერთ-ერთი სახეობაა, რომელიც კი არ იკბინება, არამე საკმაოდ შორს და ძალიან ზუსტად იფურთხება. სამიზნედ

მსხვერპლის თვალს ირჩევს, თუმცა ხშირად მხედველობა უმტყუნებს ხოლმე და ავტომატის ჯერივით გამოშვებულ ნერწყვით სხვადასხვა მბზინავ ნივთებს, ყველაზე ხშირად კი ღილებს „აზიანებს“.

გველის შხამი სხვადასხვა ფერმენტების, ცილებისა და ტოქსიკური ნივთიერებებისაგან შედგება. ეს სითხე ადამიანზე სხვადასხვაგვარად მოქმედებს. ყველაზე მეტად გავრცებულია ნეიროტოქსიკური შხამები. ადამიანის სხეულში მოხვედრისთანავე ისინი მუსკულატურისა და სასუნთქი გზების პარალიჩს იწვევენ. მსხვერპლი ნელ-ნელა იგუდება. არსებობს გველები (მაგალითად ასპიტი), რომელთა შხამიც სისხლძარღვთა სისტემის მოქმედებას არღვევს, ანადგურებს სადინარების კედლებსა და იწვევს სისხლის შედედებას.

თუ გველის მსხვერპლი შეიქმენით, სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს. თუ გველი შხამინი აღმოჩნდა, მაშინ ნაკბენი რამდენიმე წუთში აგტკივდებათ, შესივდება და ეს შესიება ნელ-ნელა მთელ სხეულზე გავრცელდება. ამის შემდეგ აიწევს სხეულის ტემპერატურა, დაიწყება ღებინება, სისუსტე, ოფლიანობა და კრუნჩხვები. შემდეგ რთულდება სუნთქვა. შესაძლოა სისხლდენა ყურებიდან, ცხვირიდან და პირიდან. თუმცა შესაძლოა ეს სიმპტომები არც გამოვლინდეს. ყოფილა შემთხვევები, როდესაც ადამიანი გველის ნაკბენისაგან ორი კვირის შემდეგაც დაღუპულა. თუ სწრაფი სამედიცინო დახმარება გამორიცხულია, ადამიანმა თავად უნდა იმოქმედოს, ნაკბენზე დაიდოს ჟგუტი (ლი, ამის შემცვლელი სიტყვა ვერაფრით გავიხსენე), რაც უზრუნველყოფს შხამის ნელ გავცელებას სხეულში. უნდა მიიღოს რაც შეიძლება მეტი სითხე, ეს შხამის ტოქსიკურობას შეამცირებს. კარგი იქნება შხამის ჭრილობიდან ამოწოვა. ეს ყველაფერი კბენიდან 20 წუთის მანძილზე უნდა გაკეთდეს, დაგვიანებული ქმდებები უშედეგო აღმოჩნდება.

## დარიშხანი

ახლა თავი დავანებოთ მრავალფეროვან ფაუნას და ქიმიაზე გადავიდეთ. დღესდღეობით ცნობილ საწამლავებს შორის ყველაზე ცნობილია დარიშხანი. ოფიციალურად იგი XIII საუკუნეში ალბერტ მაგნუსმა აღმოაჩინა, თუმცა ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთსა და აღმოსავლეთის ქვეყნებში მას უკვე იცნობდნენ. არისტოტელე თავის შრომაში წერს, რომ დარიშხანისაგან შინაური ცხოველები იღუპებიან, სამაგიეროდ არაფერია ნათქვამი ადამიანის შესახებ.

დარიშხანი წყალში უსუნოდ იხსნება. 60 მგ ადამიანს მომენტალურად კლავს. პირველ რიგში, საწამლავი კუჭ-ნაწლავს აზიანებს: კუჭის აშლილობა, ღებინება და მუცლის საშინელი ტკივილები იცის. ასევე აზიანებს კანს, სისხლის მიმოქცევასა და ნერვულ სისტემას.

ამ საწამლავის მცირე დოზით გამოყენების შედეგი სიმპტომებით რამდენიმე ცნობილ დაავადების სიმპტომებს წააგავს და სიკვდილს ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ იწვევს. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო შუა საუკუნეებში და უფრო გვიანაც, რადგან ამ საწამლავით არასასურველი ადამიანის მოშორება ისე შეიძლებოდა, რომ ნამდვილი დამნაშავე სამართალს გაექცეოდა, სიკვდილის მიზეზად კი დაავადებას (მაგ. ქოლერას) გამოაცხადებდნენ. საქმე იმაშია, რომ მეცნიერებმა მხოლოდ მე-20 საუკუნეში შეძლეს ადამიანის სხეულში დარიშხანის გამოვლენა. სამაგიეროდ ახლა ეს ფოკუსი არავის გამოუვა, ვინაიდან თანამედროვე ექსპერტიზა „თვალდახუჭული“ ავლენს მსგავს ფაქტებს.

## საზარელი თეთრი ფხვნილი..

1782 წელს ქიმიკოსმა კარლ ვილჰელმ შეელმა სინილის მჟავა აღმოაჩინა, და თავისდაუნებურად სათავე დაუდო შხამების კიდევ ერთ სახეს – ციანიდებს. სიმართლე რომ ვთქვათ ციანურ ნაერთებს შორის მხოლოდ სინილის მჟავა, კალიუმის ციანიდი, ნატრიუმის ციანიდი, დიციანი და კიდევ რამდენიმე ამგვარი შენაერთი თუ გამოიყოფა, რომელთაც შესაძლოა ვუწოდოთ ტოქსინები. ყველაზე გავრცელებულია კალიუმის ციანიდი, რომელიც არა მხოლოდ დეტექტიური ლიტერატურის მუდმივმოქმედი „ბოროტმოქმედია“, არამედ რეალურ კრიმინალურ სფეროშიც დიდი პოპულარობით სარგებლობს. სიკვდილისათვის 50 მგ-ც საკმარისია. მისი ჩასუნთქვა და კანზე მოხვედრაც კი სახიფათოა. ორგანიზმში შეღწევისას იწვევს ქსოვილების ჟანგბადით კვების ბლოკირებას. შხამი სწრაფად მოქმედებს (5 წამიდან ერთ წუთამდე), ეს დრო იმისათვისაც კი არ არის საკმარისი – მიხვდე, რომ კვდები.

## მომაკვდინებელი ორგანიკა

კიდევ ერთი საყურადღებო მომაკვდინებელი ტოქსინია – რიცინი. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნივთიერება ფართო მასებისათვის დიდი ხანია ცნობილია, აღიარება მხოლოდ უკანასკნელ ასწლეულში მოიპოვა. მრავალი თანამედროვე შხამებისაგან განსხვავებით, რიცინი მცენარეული შხამია. მას აბუსალათინის ზეთის მისაღებად ლობიოს მარცვლების გადამუშავების დროს ღებულობენ. მისი მოპოვება იოლია. ალბათ ამის გამოა, რომ რიცინი სხვადასხვა ტერორისტული დაჯგუფებებისა და გიჟების იარაღად იქცა. რიცინი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ტოქსინია, 0,04 მგ შხამი მსხვერპლის მასის ერთ კგ.-ზე მომაკვდინებელ ეფექტს ახდენს. ამავე დროს რიცინით გამოწვეული სიმპტომები დარიშხანის მსგავსად რამდენიმე დაავადების სიმპტომს წააგავს. მოწამვლისას თავს იჩენს მუცლის ტკივილი, ღებინება, კრუნჩხვები, გონების დაკარგვა, რის შემდეგაც ადამიანი კვდება. ეს სიმპტომები შესაძლოა 6-8 დღის მანძილზეც გაგრძელდეს.

## მკვლელი „ძეხვი“

ერთ-ერთ ყველაზე უძლიერეს ბუნებრივ შხამად ბოტულიზმის ტოქსინი ითვლება (ბოტულუსი ლათინურად „ძეხვს“ ნიშნავს). ამ ნივთიერების 200 გრამი სავსებით საკმარისია დედამიწის მთელი მოსახლეობის გასანადგურებლად. ამასთანავე ტოქსინი განსაკუთრებული სიცოცხლისუნარიანობით ხასიათდება. სპორების სახით იგი წლების მანძილზე ინახება მანამდე, სანამ წყალში, ნიადაგში ან რომელიმე ცოცხალ ორგანიზმში არ გაიხსნება. „დაკონსერვებული“ შხამი ხანგრძლივ დუღილსაც და სხვადასხვა დეზინფექციურ საშუალებებსაც უძლებს. ბუტულიზმით დაავადების ძირითადი გზა, სათანადოდ დაუმუშავებელი ხორცის გამოყენებაა. ხანდახან დაავადება დაკონსერვებული ბოსტნეულის მეშვეობითაც ჩნდება. შესაძლოა ბოტულიზმი ღია ჭრილობითაც შეიძინოს ადამიანმა, თუმცა ამის შემთხვევები იშვიათად ფიქსირდება. უნდა ითქვას, რომ ორგანიზმში მოხვედრისას შხამის კონცენტრაცია საკმაოდ მცირეა და დროული სამედიცინო დახმარების აღმოჩენისას შესაძლებელია სრული გამოჯანმრთელება. წინააღმდეგ შემთხვევაში კი შედეგი სავალალოა. ბოტულიზმი აზიანებს თავისა და ზურგის ტვინს, იწვევს კუნთების დამბლას და 3-4 დღის შემდეგ ადამიანი იღუპება.



# შენიღბვა



ძირითადად, გამუფლაჟი მუქი ფერისაა, თუმცა არის გამონაკლისიც...

რა არის საჭირო ნადირობისას შესანიღბად? რა თქმა უნდა, კარგი აღჭურვილობა, მაგრამ ეს ყოველთვის როდია საკმარისი. მონადირე ხშირად არაობიექტურად აფასებს შენიღბულ სადგომს — მოაწყობს საფარს, თვალს მოავლებს მიდამოს, დახედავს ტანსაცმელს. თითქოს ყველაფერი რიგზეა. ამხანაგებიც ეთანხმებიან, რომ 15-20 მეტრის მანძილიდან შენიღბვის ზოგიერთი შემადგენელი ნაწილი ძნელად შესამჩნევია, მაგრამ არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ გარეული ფრინველი და ცხოველი განსხვავებულად აფასებს ყოველივეს. ფრინველი, როდესაც ფრენის მარშრუტს ირჩევს, უპირველესად მის უსაფრთხოებაზე ზრუნავს, ცდილობს, ადრევე შეაფასოს ამა თუ იმ ობიექტის მდგომარეობა, თან ეს სულ სხვანაირად ხდება, ვიდრე ადამიანს წარმოუდგენია. ფრინველს შეიძლება არ მოეწონოს ტყისა და ველის გამყოფი ხაზი. შეიძლება ვერც შეამჩნიოს ყურეში ჩასაფრებული მონადირე, სამაგიეროდ წყალში ჩაძირული შარშანდელი ლელქაშის მუქმა გამოსახულებამ დააფრთხოს ან თვალში ეცეს ბრჭყვიალა დაცლილი ვაზნა, რომელიც მაღალ ბალახში სიმაღლიდან კარგად მოჩანს.

დაბრკოლებად შეიძლება წყალზე მოტივტივე ცარიელი ბოთლი ან ნაცეცხლარის გარშემო მიმოფანტული გაზეთის ნაგლეჯები და კონსერვის ქილებიც იქცეს. თუკი ყურადღებით არ იქნებით და მსგავსი ადგილების ახლოს დაკვირვებისა და ანალიზის გარეშე ჩასაფრდებით, გარეული ფრინველების გუნდები დიდ სიმაღლეზე გადაგიფრენენ.

შენიღბვის უმარტივესი მოთხოვნაა, რომ მკვეთრად არ გამოირჩეოდე გარემოსგან. უნდა ჩასაფრდეთ შეუმჩნეველ ადგილას და არა, ვთქვათ, უზარმაზარ გამხმარ ხესთან, რომელიც ბილიკის ახლოს დგას. ფრინველი მას შორიდანვე შეამჩნევს და შეეცდება, გაარკვიოს, მოელის თუ არა საფრთხე ამ ადგილიდან და რადგან ფრინველებს ადამიანთან შედარებით გრძნობათა ორგანოები უფრო გამახვილებული აქვთ, ძნელი სათქმელია, ვინ დარჩება მოგებული — ჩასაფრებული თუ პოტენციური მსხვერპლი.

რას ხედავს გარეული იხვი სიმაღლიდან? ალბათ, რაღაც სქემატურ სურათს — მინდვრების, ლელიანების, ხევების კონტურებსა და თივის ზვინებს, რომლებიც ორგანულად არის შერწყმული წელიწადის მოცემული დროის ფერებსა და ლანდშაფტის თავისებურებებთან. ასეთ გარემოში, რა თქმა უნდა, მკვეთრად გამოიკვეთება უცხო ფერის ლაქაც კი, არათუ ტრაქტორის ჩონჩხი ანდა მცენარეთა უჩვეულოდ ღია ან მუქი ფერის ზოლი. გარეული ფრინველი გამოცდილია. იცის, რომ სჯობია, გვერდი აუაროს ასეთ ადგილებს, ვიდრე ხიფათში ჩაიგდოს თავი.

**ნუ დაგავიწყდებათ, რომ შენიღბვისას აღჭურვილობაზე მნიშვნელოვანი მოთმინება და ფანტაზიაა**







გამოცდილმა მონადირეებმა იციან, რომ მსგავსი ადგილები ჩასასაფრებლად არ გამოდგება. გარეული იხვი არასოდეს დაჯდება თავთხელში ისეთ ადგილას, სადაც გაყვითლებულ ბალახსა თუ ლელქაშის ქვეშ, წყალში, ოდნავ მაინც ისახება რაიმე ნივთის მუქი ჩრდილი. ზუსტად ასევე მოქმედებს მათზე ღია ფერის, ჭყეტელა ფოთლების მქონე ბუჩქები. მონადირეს ისინი შეიძლება ძალიან ლამაზადაც მოეჩვენოს და დატკბეს მათი მშვენიერებით, მაგრამ იხვებს ეს საერთოდ არ აინტერესებთ. ისინი ყოველივე უჩვეულოსა და გამორჩეულისგან შორს ყოფნას არჩევენ და საერთოდ, მათზე ნადირობის სეზონის დაწყებიდან ერთ თვეში ისინი საოცრად გონიერები ხდებიან.

## შენიღბვის ბუნებრივი ინდიკატორები

შენიღბვის საუკეთესო ინდიკატორებად შეიძლება გამოვიყენოთ არასანადირო ფრინველები – ყანჩები, კაჭკაჭები, ჩხიკვები, ყვავები, თოლიები და დიდი მტაცებელი ფრინველები. თუ ჩასაფრებისას მცირეოდენი შეცდომა დაუშვით, არც ერთი მათგანი თქვენს სიახლოვეს არ გაჩერდება და პირიქით, თუკი თქვენს სიახლოვეს, 30 მეტრის მანძილზე, ყანჩა დაეშვა და უსაფრთხოდ იგრძნო თავი, ჩათვალეთ, რომ საფარი საუკეთესოდ მოგიწყვიათ. ფოლადისფერ ყანჩას მახვილი თვალი აქვს, ხოლო მისი უნდობლობა-სიფრთხილე უნიკალურად ითვლება. ფრთხილია ასევე კაჭკაჭიც. მას არც ჩხიკვი ჩამორჩება. დიდი ყვავი არასოდეს მიუახლოვდება შემჩნეულ საფარს, მაგრამ მშიშარა ყანჩას სიფრთხილით ვერც ერთი ფრინველი ვერ შეედრება. მართალია, რუხი ყვავი ფრთხილია, მაგრამ ამავე დროს ცნობისმოყვარეცაა. მას შეუძლია თქვენი საფარის ზემოთ, ხის კენწეროზე იჯდეს და დიდხანს თავხედურად გაკვირდებოდეთ.

თუ ნავი საგულდაგულოდ გაქვთ გადამალული ლელქაშში და იხვის გუნდის გამოჩენას ელოდებით, თქვენი შენიღბვის ავკარგიანობის შესამოწმებლად დააკვირდით თოლიების ფრენას – თუ თოლია რაიმე საეჭვოს შენიშნავს, იგი მაშინვე შეიცვლის ფრენის ტრაექტორიას.

## შესანიღბავი ბადეები

საფარის შენიღბვა სხვადასხვანაირად შეიძლება. არსებობს ბუნებრივი მეთოდი, როდესაც ტოტებისგან, წნელებისა და სხვადასხვა ბუნებრივი მასალისგან კრავთ კარავს. ასეთი კარვის მოწყობა ძნელია და დიდ დროს მოითხოვს – საჭიროა კარკასის გაკეთება, ლერწმისა და ლელქაშის მომარაგება, ბალახის მოჭრა. მერე ყველაფრის ერთად შეკონვა და მიუხედავად ქარისა და ღელვისა, ნავით მოხერხებულ ადგილას მიტანა. არსებობს მეორე, შედარებით იოლი ვარიანტიც, უბრალოდ, მას მეტი კაპიტალდაბანდება სჭირდება. საქმე ეხება სპეციალიზებულ შესანიღბ ქსოვილებსა და ბადეებს, პლასტმასის კარკასებსა და ა.შ. შეგიძლიათ ყველაფერი ეს ზურგჩანთით ატაროთ და საჭიროების შემთხვევაში სწრაფად ააწყოთ ან დაშალოთ. თუმცა როგორც ბუნებრივ ქოხს, ასევე ხელოვნურსაც აქვს პლუს-მინუსები.

ჩვენში ყველაზე მეტად გავრცელებულია სამხედრო შემნიღბველი ბადე. განვიხილოთ მისი თვისებები.

ღირსებები: სინთეტიკურია. ნესტი მასზე არ მოქმედებს. მტკიცე ძაფისგან არის ნაქსოვი. დამონტაჟება ნებისმიერ ადგილას შეიძლება. ხმელ ბალახსა და სხვა მცენარეულობასთან კომბინაციის შემთხვევაში მთელი წლის განმავლობაში გამოიყენება. წონის გამო ძლიერი ქარის დროს არ ფარფატებს.

უარყოფითი თვისებები: სამხედრო შემნიღბველი ბადე საკმაოდ დიდია. სირთულეები იქმნება მისი ტრანსპორტირებისას. მიუხედავად იმისა, რომ სინთეტიკური ფოთლებისგან შედგება, დასველებული ბადე საკმაოდ გვიან შრება. მისი ერთი ფენის გამოყენებისას სასურველი ეფექტი ვერ მიიღწევა, რადგან ილანდება. ორი ფენის გამოყენების შემთხვევაშიც კი სრულყოფილი შენიღბვის ეფექტის მიღწევა სათუოა. იძულებული ხდებით, თავი დაიზღვიოთ და საფარი მუქ ფონზე მოაწყოთ. ბადის უჯრედში არ ეტევა თორმეტკალიბრიანი თოფის ლულა, მით უმეტეს, თუ საფარს ბადე ორფად აქვს გადაფარებული. ამიტომ იძულებული ხდებით, ბადის ყოველი გამოყენებისას ახალი სათოფურები გაჭრათ, რაც ბადეს აფუჭებს. თვითნაკეთ ლელქაშის კარავს ამ მხრივ დიდი უპირატესობა აქვს, რადგან თოფის ლულის გასაყოფი ადგილის გაჭრა ნებისმიერ ადგილას შეგიძლიათ.

მართალია, არსებობს ძვირად ღირებული სანადირო შესანიღბავი მასალაც, მაგრამ უნაკლო არც ის არის. უცხოური მასალა (ბადე ან მატერია) რბილი და თხელია, შესაბამისად, მსუბუქია და მცირე ზომის ჩანთაშიც კარგად ეტევა. ფერთა გამაც მშვენიერი აქვს. ოდნავ შესამჩნევი ბუსუსები, მისი შემქმნელების აზრით, ქსოვილს უფრო მეტად ეხმარება გარემოსთან შერწყმაში, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგა, ოკეანის გაღმიდან გამოწერილი ნაწარმი არცთუ უნაკლო აღმოჩნდა. ფრინველი თავს არიდებს მის სიახლოვეს დაჯდომას. მხოლოდ შებინდებისას ბედავს და უახლოვდება. ძნელი სათქმელია, რატომ, ალბათ, ქსოვილი მაინც ილანდება დღისით. უფრო სერიოზული მიზეზია მსუბუქი ქსოვილის ქარიან ამინდზე რეაქცია. იგი ფრიალებს და ყველა მისი ღირსება ნულამდე დადის – კარავი ქარში ხან იბერება, ხან იჩუტება. როგორც უნდა დაამაგრო, კიდეები მაინც უფრიალებს. გასაგებია, რომ ასეთ ამოუცნობ და საკვირველ „სულდგმულს“ ნადირი სათოფეზე არ გაეკარება.

მოყვანილმა მაგალითმა შენიღბვის მთავარ პრობლემასთან, ობიექტის მოძრაობასთან მიგვიყვანა. შეიძლება უნაკლოდ შეინიღბოთ, მაგრამ თავის ერთმა შემობრუნებამ ყველაფერი გააფუჭოს და პირიქით, შეიძლება ყველასა და ყველაფრის დასანახად გაშლილ ადგილას უმოძრაოდ ჩაჯდეთ და ნადირმა ვერ შეგნიშნოთ. ფრთხილი გარეული ფრინველი კარვის მიღმა (თუკი ილანდება) მცირეოდენ მოძრაობასაც ამჩნევს. დავუშვათ იხვი სათოფე მანძილზე ჩაჯდა თქვენი კარვის მახლობლად. თქვენ სასწრაფოდ დგებით და ლულას სათოფე ნახვრეტში ყოფთ, წამიც და იხვის ლანდიც აღარ იქნება. ხდება ისეც, რომ ღია ადგილას ხართ გარინდებული და გარეული ფრინველი ფეხებთან დაჯდება. ბუნებრივია, თოფის მომარჯვებას ვერ მოასწრებთ. ამიტომ სჯობია, თავი მკვეთრი მოძრაობისგან შეიკავოთ. თოფი მხოლოდ ფრინველის მოძრაობის დროს უნდა აღმართოთ, დაელოდეთ, როდის ჩაყოფს იხვი თავს წყალში, მერე დინჯი მოძრაობით შემართეთ თოფი, მიიბჯინეთ კონდახი მხარზე, დაუმიზნეთ და ესროლეთ. მთავარია, არ იჩქაროთ!

საფარში წრიალი და მოუსვენრობა მონადირეთა შორის ყველაზე გავრცელებული „ავადმყოფობაა“. კონკრეტული ადამიანის ფსიქოლოგიას ტემპერამენტი განაპირობებს. არიან მონადირეები, რომლებსაც საფარში გაჩერება არ შეუძლიათ. ისინი მუდმივად მოძრაობენ, რაღაცას აზრამუნებენ, აკაკუნებენ, ასწორებენ კარვის კალთებსა და სახურავს. ასე გრძელდება ერთი საათის განმავლობაში, მერე ამას შედარებითი სიწყნარე მოჰყვება. შემდეგ ისევ უმიზნო მოძრაობას იწყებენ. ასეთ მონადირეებს იშვიათად ულიმის ბედი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საზღვაო დესანტი აფხაზეთში

## გაგრა 1920 წელი

გენერალი ანტონ დენიკინი თეთრი მოძრაობის თვალსაჩინო და გამორჩეული წარმომადგენელი იყო. ცოტა ხნის წინ, 2005 წლის 3 ოქტომბერს, მოსკოვში, დონის მონასტერში საპატიო ყარაულის, სამხედრო მარშებისა და რუსეთის სახელმწიფო ჰიმნის თანხლებით ამერიკის შეერთებული შტატებიდან გადმოსვენებული გენერლის ნეშტი მშობლიურ მიწას მიაბარეს.

რუსეთის სამხრეთით, დონზე, ყუბანსა და ჩრდილოეთ კავკასიაში გენერალ-ლეიტენანტმა დენიკინმა ანტიბოლშევიკური ძალების გაერთიანება შეძლო და 1918 წლის შემოდგომიდან, სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი გახდა. დენიკინს ძლიერი და მრავალრიცხოვანი არმია ჰყავდა, რომელიც 1919 წლისათვის 130 ათასს კაცს ითვლიდა. დენიკინელთა რიგებში ბოლშევიკებს მრავალი ქართველი ოფიცერი და გენერალი ებრძოდა.

საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოსთან დენიკინს საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა, რომელიც დროდადრო შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადადიოდა.

1918 წლის ზაფხულში ქართულმა არმიამ გენერალ მაზნიაშვილის სარდლობით აფხაზეთში მდგომარეობის გამოსწორება შეძლო და შედეგიანი შეტევების შედეგად 3 ივლისს ადლერი, 5-ში სოჭი და 27-ში კი ტუაფსე დაიკავა. გერმანიის პოლიტიკურმა და სამხედრო მხარდაჭერამ ბოლშევიკების სერიოზული წინააღმდეგობა გამორიცხა და ქართველების წინსვლას ხელი შეუწყო.

ტუაფსე ქართველებს აგვისტოს ბოლომდე ჰქონდათ დაკავებული, სანამ გელენჯიკში წითლებმა ძალა არ მოიკრიბეს და შეტევაზე არ გადმოვიდნენ. ტამანის წითელმა არმიამ ქართველებთან ბრძოლის შემდეგ ტუაფსე დაიკავა. ბრძოლაში მრავალი ქართველი მებრძოლი დაიღუპა, ხოლო მოწინააღმდეგეს ნადავლად 16 ქვემეხი და 10 ტყვიამფრქვევი დარჩა. წითლებმა ტუაფსე რამდენიმე დღეში დატოვეს და ქალაქი დენიკინელთა ხელში გადავიდა.

1918 წლის 25-26 სექტემბერს ეკატერინოდარში (ახლანდელი კრასნოდარი) ქართველებსა და მოხალისეთა შორის მიმდინარე მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა. მოხალისეები საზღვრის მდინარე ბზიფამდე გადმოწევას ითხოვდნენ.

ხმელეთზე შეიარაღებულ შეტაკებებს თან საზღვაო ინციდენტებიც ახლდა. მოხალისეების საზღვაო ფლოტი საკმაოდ მოზრდილი იყო და რამდენიმე ათეულ საბრძოლო ხომალდსა და კატარღას ითვლიდა.

1918 წლის 3 დეკემბერს სოხუმიდან გაგრის მიმართულებით გავიდა საბუქსირე ორთქლმავალი „საქართველო" (ყოფილი „ჭოროხი"), ბუქსირზე ჩაბმული ბარჟა №133-ით. ბარჟას 120 ქართველი ჯარისკაცი მიჰყავდა და თან 1500 ფუთი სიმინდი და 4 ცხენი მიჰქონდა. 3 საათზე ბიჭვინთის შუქურიდან 3 მილში გამოჩნდა ინგლისის დროშით მოცურავე საკანონერო ნავი, რომელიც ქართულ გემს გაუთანაბრდა თუ არა, სამხედრო დროშა აღმართა და „საქართველოს" გაჩერება მოსთხოვა. ქართული გემი გაჩერებას არ აპირებდა. ბრძანება განმეორდა გაფრთხილებით, რომ დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, ცეცხლი გაიხსნებოდა.

მოგვიანებით, ამ ინციდენტთან დაკავშირებით „საქართველოს" კაპიტანი ჩიკვილაძე საქართველოს რესპუბლიკის პორტების უფროსისათვის გაგზავნილ მოხსენებაში წერდა: „საქართველოზე" 10 კაცი პრაპორშჩიკით ამოვიდა და ბრძანება გაიცა, ზღვისკენ კურსი, რადგანაც გაგრაში ინგლისური კრეისერი იდგა და შემჩნევა შეეძლო. ჩემი აზრით, ძალიან ეშინოდათ, რომ ინგლისურ ნაღმოსანს არ შეემჩნია. ყველა განათება გამოირთო და ასე გავცდით გაგრას. გემზე ყოფნისას მე გავარკვიე, რომ მათ ჩემზე უკეთესად იცოდნენ, რა იმყოფებოდა ბარჟაზე და გემზე. ჩანს, მათ შეატყობინეს ჩვენი გემის გამოსვლა. გაგვძარცვეს, წაგვართვეს ყველაფერი, წაიღეს ფული და რაც გვებადა. როგორც კი ტუაფსეში შევედით, ყველანი ნაპირზე გადმოვედით და დაცვის ქვეშ დაჭერილთა სახლში გაგვაგზავნეს."

1919 წლის დასაწყისში დენიკის არმიამ ჩრდილოეთ კავკასიაში წითელი არმიის ნაწილები გაანადგურა და სამხრეთ კავკასიის სანაპიროს გასწვრივ შეტევა დაიწყო. დენიკინელთა გენერალმა ბურნევიჩმა ქართველებს სოჭის დაცლა და იარაღის ჩაბარება მოსთხოვა, რასაც თებერვალში მძიმე ბრძოლები მოჰყვა.

ქართული არმია მტრის შეჩერებას შეეცადა და გაგრასთან ბრძოლები დაიწყო. მოწინააღმდეგის ძლიერი შეტევის შემდეგ ქართველებმა ბზიფამდე დაიხიეს. ფრონტის გასაძლიერებლად გაგრისაკენ საქართველოს მთავრობას 6 ბატალიონის გადასროლა სურდა (დაახლოებით 2500-დან 3000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი). ბრიტანელებმა, კეთილგანწყობის საბაბით, ქართველებს გეგმის შესრულებაში ხელი შეუშალეს და სატრანსპორტო გემები და 3 სადარაჯო კატარღა ჩამოართვეს.

აფხაზეთში მდგომარეობის გამწვავების გამო დენიკინმა მოკავშირეთა სარდლობას თხოვნით მიმართა, რათა ქართველებს ენგურამდე დაეხიათ და სოხუმის ოლქი აფხაზებისათვის გადაეცათ. ამჯერად ბრიტანელებმა კეთილგონიერება გამოიჩინეს და რუსი გენერლის გეგმას მხარი არ დაუჭირეს.

1919 წლის აპრილში ბრძოლები განახლდა. ქართულმა არმიამ მოხალისეთა პირველ კავკასიის ოფიცერთა პოლკს უკან დაახევინა, გაგრა-ადლერი დაიბრუნა და სოჭს მიუახლოვდა. მოხალისეებმა 21 აპრილს ნოვოროსიისკიდან სატრანსპორტო გემ „შილკით" დამატებითი ძალა, 80-კაციანი რაზმი გადმოიყვანეს. ადრე ეს რაზმი იალტაში რუსეთის საიმპერატორო ოჯახის წევრებს იცავდა. საქმეში ბრიტანელებიც ჩაერივნენ და მათი მოთხოვნის



„დერზკის" ტიპის საესკადრო ნაღმოსნები



ქართველი მოხალისეები ტფილისის ქუჩებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ ქართველებმა ისევ უკან, გაგრამდე დაიხიეს. მხარეთა შორის შემდგომი დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად ადლერის სამხრეთით გაგრამდე ნეიტრალური ზონა შეიქმნა.

1919 წლის 27 ივნისს ანტონ დენიკინი და მოხალისეთა ფლოტის სარდალი ადმირალი საბლინი კრეისერ „კაგულით", სანაღმო ტრანსპორტ „ბუგისა" და მიმოსვლის გემ „ლეტჩიკის" თანხლებით კავკასიის სანაპიროსთან გამოჩნდა. ჩაუარა ტუაფსე-სოჭი-ადლერის სანაპირო ხაზს, რითაც სოჭის ოლქის რუსეთის კუთვნილება დაადასტურა და 30 ივნისს უკან გაბრუნდა.

დენიკინთან იმდენად გართულდა ურთიერთობა, რომ საქართველოს ხელისუფლება მოხალისეებთან საბრძოლველად ე. წ. „წითელი-მწვანეების" შავი ზღვის გათავისუფლების კომიტეტის შექმნას დათანხმდა. კომიტეტის მიზანი დენიკინელთა გაყრა და შავიზღვისპირეთში დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა იყო. საქართველოს ხელისუფლების ხელშეწყობით კომიტეტმა გაგრაში შავი ზღვის გლეხთა ლაშქრის ქვედანაყოფები ჩამოაყალიბა, რომლისთვისაც იარაღსა და საბრძოლო მასალებს ქართული არმიიდან იღებდა. დენიკინელთა დამარცხების შემდეგ ქვედანაყოფები „გაწითლდნენ" და საქართველოს წინააღმდეგ დაწყებულ აგრესიაში მონაწილეობა მიიღეს.

1920 წლის გაზაფხულზე ბოლშევიკების მე-8 და მე-9 წითელმა არმიებმა ნოვოროსიისკთან ძლიერი შეტევა განავითარეს და დენიკინელებს უკან დაახევინეს. ნოვოროსიისკს გემებით ტოვებდა მოხალისეთა არმიის ნარჩენები, მშვიდობიანი მოსახლეობა, ყველა, ვისაც ბოლშევიკებისაგან თავის გადარჩენა სურდა. გემებზე ხალხთან ერთად დიდი რაოდენობით იარაღი და საბრძოლო მასალები იტვირთებოდა.

25 მარტს, ფოთის მახლობლად, ქართულმა სადარაჯო კატარღამ ნოვოროსიისკიდან მომავალი და დევნილებით გავსებული მოხალისეთა ფლოტის სამგზავრო გემები: „ვოზროჟდენიე", „კაზაკი", „კიევი" და „დონეცი" დააკავა. ამ შემთხვევას ერთი არასასიამოვნო ინციდენტი მოჰყვა. ერთ-ერთ მგზავრს, მოხალისეთა არმიის ოფიცერს, ქართველმა სამხედროებმა 5 მლნ მანეთი წაართვეს, მიუხედავად იმისა, რომ მან საჭირო დოკუმენტები წარმოადგინა.

გემების დაკავებას მოხალისეთა ფლოტის სარდლობის უკმაყოფილება მოჰყვა. ვითარება კიდევ უფრო გართულდა მას შემდეგ, რაც სოხუმში ქართველმა სამხედროებმა ნოვოროსიისკიდან შემოსული კატარღა „სტარში ლეიტენანტი მაკაროვი" დააკავეს. მოხალისეთა ფლოტის ოფიცერმა, I რანგის კაპიტანმა ლებ-



**ასეთი ბარჟით გადმოიყვანეს მოხალისეებმა გაგრიდან ტყვეები**

ედევმა დაკავებული გემების გათავისუფლება მოითხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფოთის ზღვიდან დაბომბვით დაიმუქრა.

დაბომბვის ოპერაცია 14 აპრილისათვის დაიგეგმა და მისი შესრულება საესკადრო ნაღმოსნებს, „ჟივოისა" და „დერზკის" ებრძანა. ფოთს რეალური საშიშროება შეექმნა. მდგომარეობის განმუხტვას ბრიტანელი და ფრანგი დიპლომატები შეეცადნენ. ბრიტანეთისა და საფრანგეთის ელჩებმა საქართველოში საგარეო საქმეთა მინისტრს მოხალისეთა გემების გათავისუფლების თხოვნით მიმართეს.

საპასუხო ნოტაში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო 1920 წლის 14 აპრილს წერდა: „გემები ფოთში თვით შეჩერდნენ. ასე რომ, არავითარი ძალმომრეობა გემების დაპატიმრებისას ჩვენების მხრივ არ ყოფილა. თვით მოხალისეები ითხოვდნენ, რომ გემები დარჩენილიყო ფოთში მათი ინტერესებისათვის. ამის გარდა, მოხალისეთა ჯარებმა ჩაიგდო ძალით ჩვენი გემი „ფეოფილე" და დღემდე არ დაუბრუნებია. ინგლისელებმაც კი მიიღეს 3 გამანადგურებელი გემი ბოლშევიკებთან საბრძოლველად, მაგრამ არც ისინი მიგვილია ჯერჯერობით."

შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლებამ ბრიტანელებს „ვოზროჟდენიე", „კიევი" და „დონეცი" გადასცა, ხოლო სააქციო საზოგადოება „იუჟნო-მორსკოე პაროხოდსტვოს" გემი „კაზაკი" დაიტოვა. სამხედრო სამინისტრო, როცა „კაზაკთან" დაკავშირებით განმარტებას იძლეოდა, აღნიშნავდა, რომ „დაკავება საერთაშორისო კანონების თანახმად მოხდა, ვინაიდან გემით შემოტანილ იქმნა რესპუბლიკის ნავთსადგურში სამხედრო მასალა". „კაზაკზე" ბიკფორდისზონარიანი ყუთები აღმოჩნდა. ფოთში ბრიტანეთის ვიცე-კონსულიც ეჭვობდა, რომ ხალხით გადავსებულ „კაზაკზე" სომხებისათვის განკუთვნილი შეიარაღება იყო.

სამხედრო ტვირთის გამო „კაზაკის" წაყვანას ბოლშევიკებიც შეეცადნენ. 28 მარტს ბოლშევიკების რვაკაციანი ჯგუფი გემზე ავიდა და ეკიპაჟს ლუზიდან მოხსნა და ტუაფსესაკენ წასვლა მოსთხოვა. ბრძანება შესრულდა, მაგრამ პორტიდან გამოსვლისას გემი მეჩეჩზე მოხვდა. ამის შესახებ მალე გახდა ცნობილი და დასაკავებლად ინგლისური ნაღმოსანი „კარადოკი" გაიგზავნა, რომელმაც „კაზაკი" მეორე დღეს უკან, ფოთში შემოაბრუნა.

საქართველო საზღვაო ტრანსპორტის ნაკლებობას განიცდიდა და მთავრობის განკარგულებით 1920 წლის 9 აპრილიდან „კაზაკი" გზათა დეპარტამენტის განკარგულებაში გადავიდა, ქართული სახელი – „მერანი" დაერქვა, ხოლო ეკიპაჟის მეთაურად კი ლეიტენანტი სიხარულიძე დაინიშნა.

სამხედრო სამინისტროსათვის „მერანს" ფოთიდან და სოხუმიდან გაგრაში გადაჰყავდა ქართული ჯარის პირადი შემადგენლობა, გადაჰქონდა ცხენები, საბრძოლო მასალები, პროდუქტები, ხოლო უკანა გზაზე მგზავრებით კომერციულ რეისებს ასრულებდა.

გაგრის დაცვა ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი ამოცანა გახდა. 1920 წლის დასაწყისში ქალაქის თავდაცვას პირველი ქვეითი ბრიგადის მე-2 ქვეითი ბატალიონი, პირველი საარტილერიო დივიზიონის 1-ელი და მე-2 ბატარეები, მესანგრეთა ასეული, მესაზღვრეები და მილიციელები უზრუნველყოფდნენ. გაგრის ფრონტის უფროსი გენერალი მაჭავარიანი, ხოლო ქალაქის კომენდანტი პოლკოვნიკი სუმბათაშვილი იყო.

წითელი არმიის შეტევების შემდეგ უკანდახეული თეთრგვარდიელები თავს საქართველოს აფარებდნენ. იმ დროს ბოლშევიკურ რუსეთსა და საქართველოს შორის დადებული შეთანხმებისამებრ საქართველოში დაკავებული ყველა თეთრგვარდიელი რუსეთისათვის უნდა გადაეცათ. ბიჭვინთაში, სპეციალურ ბანაკში, დენიკინის არმიის ათასობით ინტერნირებულ მოხალისეს წითლების ხელში მოხვედრა ელოდა.

დენიკინის შტაბში დაიგეგმა ტყვეების გამოსახსნელი ოპერაცია, რომლის ხელმძღვანელობა II რანგის კაპიტან გრიგორკოვს ებრძანა. ყირიმიდან გაგრისაკენ გამოიგზავნა დამხმარე კრეისერი „ალმაზი", წყალქვეშა ნავი „უტკა", სატრანსპორტო გემები: „დონი", „იალტა", „სარიჩი", „ასკოლდი", „კრიმი", ბუქსირი „დობროვოლეცი" ბარჟით. რუსი მოხალისეები გააფრთხილეს, რომ საქართველოს ტერიტორიულ წყლებში შესვლას მორიდებოდნენ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველებს კორექტულად მოქცეოდნენ, ხმელეთზე მოქმედი ქვედანაყოფებისათვის კი საცეცხლე მხარდაჭერა მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში გაეწიათ. თუმცა ოპერაციის მსვლელობისას ამ მოთხოვნათა სრულად დაცვა არ მოხერხდა.

1920 წლის 15 ოქტომბერს, შუაღამისას, ბიჭვინთასთან სატრანსპორტო გემი „დონი" გამოჩნდა. ტყვეებისათვის პროდუქტების გადაცემის მომიზეზებითა და მცირერიცხოვანი ქართველი მებადრაგეების მოქრთამვით მოხალისეებმა გათენებამდე გემზე 1300 კაცის აყვანა შეძლეს. გამთენიისას გაგრის კომენდანტი პოლკოვნიკი სუმბათაშვილი გამოცხადდა და დატვირთვის შეწყვეტა კატეგორიულად მოითხოვა. ბანკში კიდევ 5000 კაცი რჩებოდა.

ქართველებსა და მოხალისეებს შორის მიმდინარე ორდღიანმა მოლაპარაკებებმა შედეგი არ გამოიღო. ქართველები კაზაკების ევაკუაციის ნებართვას არ იძლეოდნენ. ამასობაში გემებზე ქვანახშირის მარაგი თავდებოდა და ამინდის გაუარესებაც იყო მოსალოდნელი. გაჩნდა ტყვეების ძალით გამოყვანის აუცილებლობა.

ოპერაციაში მთავარ როლს პოლკოვნიკ ულაგაის 250 კარგად შეიარაღებული კაზაკი ასრულებდა. ბარჟაზე, რომლითაც ტყვეები ნაპირიდან სატრანსპორტო გემებზე უნდა გადაეყვანათ, შესანიღბად ფქვილის ტომრები დააწყვეს და ტყვიამფრქვევი დადგეს, ხოლო კაზაკები ტრიუმში დაიმალნენ.

17 ოქტომბერს 17 საათზე „დობროვოლეცი" ნაპირს ბარჟასთან ერთად მიადგა. ბარჟიდან ნაპირზე საბიჯელები დაუშვეს და ქართველი გუშაგების პროტესტის მიუხედავად, იქიდან კაზაკები გადმოხტნენ. დაბნეულ ქართველებს მოულოდნელად თავს დაესხნენ, შაშხანები წაართვეს და სროლით გაფანტეს. საცეცხლე მხარდაჭერის გასაწევად წყალქვეშა ნავი „უტკა" 75 მმ-იანი და 57 მმ-იანი დამიზნებული ქვემეხებით მივიდა ნაპირთან.

ქართველმა სამხედროებს წინააღმდეგობა აღარ გაუწევიათ, თუ არ ჩავთვლით ჩასხდომის ადგილის მიმართულებით შრაპნელის 6 გასროლას, რომელიც დამიზნებითი არ ყოფილა და ევაკუაციისათვის ხელი არც შეუშლია. ტყვეების გამოყვანა 18 ოქტომბრის 3.30 საათზე დასრულდა. „დონსა" და „იალტაზე" 6203 კაცისა და 36 ცხენის აყვანა მოხერხდა.

გაგრიდან ტყვეების გამოყვანის ოპერაცია საქართველოს ტერიტორიაზე დენიკინის მოხალისეთა არმიის ბოლო საბრძოლო ეპიზოდი იყო. სოჭის ოლქი წითლების ხელში გადავიდა და მომავალი აგრესიის პლაცდარმი გახდა. ■

# ომი სამოქალაქო გემებით

**სამოქალაქო გემებს ომის დროს მშვიდობიან დანიშნულებასთან ერთად ხშირად საბრძოლო დავალებების შესრულებაც უხდებათ. ფართოა იმ ამოცანათა წრე, რომელსაც სათანადო მოდერნიზაციისა თუ აღჭურვის შემდეგ სამოქალაქო გემები ასრულებენ. ეს არის სახმელეთო ჯარებისათვის საცეცხლე მხარდაჭერა, საზღვაო კომუნიკაციებზე რეიდერობა, საფრენი აპარატების მიღება, სადესანტო ხომალდის ფუნქციების შესრულება და ა.შ.**

## ქართული სამხედრო ფლოტის პირველი წარმატება

1918 წელს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას უამრავი შიდა და გარე მტერი გაუჩნდა. გაზაფხულზე მძიმე ვითარება შეიქმნა აფხაზეთში, სადაც რუსი ბოლშევიკების დახმარებით გათამამებულმა აფხაზებმა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლები წამოიწყეს.

სამხედრო-საზღვაო ფლოტი საქართველოს იმ დროს არ ჰყავდა და აფხაზეთის სანაპიროსთან ჯარების გადაყვანისა და იარაღის გადატანის მთელი სიმძიმე სამოქალაქო მცურავ საშუალებებს დააწვა. ფოთის პორტის სამგზავრო ორთქლმავალი გემები, ბუქსირები, ძრავიანი შხუნები და სხვა უფრო მცირე მცურავი ერთეულები ქართველი სამხედროების განკარგულებაში გადავიდა.

მდგომარეობის გამოსასწორებლად ოჩამჩირეში, სახალხო გვარდიის ძალებით, საზღვაო დესანტის გადასხმა დაიგეგმა.

ვითარების ადგილზე გასაცნობად ქართველი სამხედროები 1918 წლის 6 მაისს კატარღა „რუმინით" ოჩამჩირისკენ უნდა გასულიყვნენ, მაგრამ გეგმას შტორმა შეუშალა ხელი და ზღვაში გასვლა მეორე დღისათვის გადაიდო. სახალხო გვარდიის სარდალი ვალიკო ჯუღელი წერდა: „7 მაისს პატარა კატარღა „რუმინით" ოჩამჩირეში დაზვერვაზე მივდივართ. ხვალ დავიწყებთ დესანტის გადმოსხმას და სოხუმელი ხულიგნების წინააღმდეგ აქტიურ ოპერაციებს დავიწყებთ. უნდა ვიმოქმედოთ გადამჭრელად".

ოპერაცია 9 მაისს დაიწყო და ამას ვალიკო ჯუღელი ძალიან კარგად აღწერს: „ჩვენი „არმადა" ოჩამჩირეს უახლოვდება. ჩვენ მობილიზაცია გავუკეთეთ მთელ ჩვენ ფლოტს და შთამბეჭდავი სურათი მივიღეთ. ჩვენ გვიცავენ სხვადასხვა გამანადგურებლები. ჩვენი თამამი წამოწყება ბრწყინვალედ გამოგვივიდა, როცა მტერი ორივე მხრიდან გვყავს. ვრისკავდით, რომ თურქებისა და ბოლშევიკების დარტყმის ქვეშ აღვმოჩენილიყავით. მიუხედავად ამისა, ზღვით ჩვენი ძალები გადავისროლეთ".

ქართულ არმიას არც სპეციალური სადესანტო ხომალდები და არც სადესანტო ოპერაციების ჩატარების გამოცდილება ჰქონდა, ხოლო ბევრმა გვარდიელმა ზღვა ოპერაციის დროს პირველად ნახა. ოჩამჩირეში გემთსადგომი არ იყო, ამიტომ ქვეითების, ცხენებისა და არტილერიის დესანტირება უშუალოდ ზღვიდან ნაპირზე განხორციელდა. დაახლოებით 300 ქვეითი ჯარისკაცი გადასხეს, რომელთაც თან 20 ტყვიამფრქვევი და 8 ქვემეხი ჰქონდათ.

ოპერაციაში მონაწილეობდა: სამგზავრო-სატვირთო ორთქლმავალი გემები: „მიხეილი", „ფოთი" (ყოფილი „დობროვოლსკი"), „პაველი", „ჭოროხი". „მიხეილი" შეიარაღებული იყო და ქართულ ჯარს არტილერიით საცეცხლე მხარდაჭერას უწევდა. სამწუხაროდ, 1918

ქართული გამანადგურებლები ▼



გვარდიის მთავარსარდალი ვალიკო ჯუღელი ▶



წლის 23 სექტემბერს ფოთთან ამოვარდნილმა ქარიშხალმა „მიხეილი“ ნაპირზე ამოაგდო და მისი მწყობრში შეყვანა ვეღარ მოხერხდა.

ფოთის პორტზე მიწერილი პატარა წყალწყვის კატარღები: „რუმინი“, „იმედი“, „ტავრიდა“, „ფაზისი“, „თამარა“, „ამირანი“ (ყოფილი „ჩაიკა“) და სხვები;

შეიარაღებული სადარაჯო კატარღები (გამანადგურებლები): №521, 523, 524, 525 და 545 საცეცხლე მხარდაჭერასა და დაცვას უზრუნველყოფდნენ;

იმ საკმაოდ რთულ დროსა და მძიმე პირობებში, მცურავი საშუალებების ეფექტიანი გამოყენებით საქართველომ აფხაზეთში სეპარატისტებისა და მათი მხარდამჭერი გარეშე ძალების დამარცხება მაინც შეძლო.


ავსტრალიური კრეისერი „სიდნეი“ და...


...მისი „მკვლელი“ გერმანული რეიდერი „კორმორანი“

## რეიდერები

გერმანიამ პირველ მსოფლიო ომში მსოფლიო საზღვაო კომუნიკაციებზე რეიდერების გამოყენების მდიდარი გამოცდილება მიიღო და მეორე მსოფლიო ომს ოკეანეებში, სპეციალურად კრეისერობისათვის, შეიარაღებული სამოქალაქო გემი-რეიდერებით შეხვდა. რეიდერების მთავარი ამოცანა ბრიტანეთისა და მისი მოკავშირეების სავაჭრო გემების ჩაძირვა და საზღვაო კავშირების მოშლა იყო. ამ მიზნით შეირჩა შედარებით ახალი, 1936-39 წლებში აგებული დიდი სატვირთო გემები.

შერჩეული გემებიდან 6-ის წყალწყვა 15 ათასზე მეტი იყო, ხოლო სიჩქარე 14-18 კვანძს შეადგენდა. გემების შეიარაღებაში შევიდა: არტილერია (150 მმ-იანი, 75 მმ-იანი, 37 მმ-იანი და 20 მმ-იანი ქვემეხები), 1-3 სატორპედო აპარატი, ნაღმების დამყენებელი მოწყობილობები, დაზვერვისათვის 1-2 მსუბუქი თვითმფრინავი, ნაღმების დამყენებელი და სატორპედო კატარღები. შეიარაღება გემბანზე დაწყობილი ტვირთით, კაბელის მორგვებით, დიდი ყუთებითა და სხვა საშუალებებით საგულდაგულოდ შენიღბა. ტრიუმები ჭურვებს, ნაღმებსა და ტორპედოებს ეკავა. ეკიპაჟები სამხედრო მეზღვაურებით დაკომპლექტდა და მათ კადრის ოფიცრები მეთაურობდნენ.

გადაკეთდა 10 გემი და გერმანიის ფლოტს შეემატა რეიდერები: „პინგვინი“, „ატლანტისი“, „მიშელი“, „ტორი“, „სტიერი“, „კომეტი“, „კორმორანი“, „ვილერი“, „ორიონი“ და „კორონელი“.

პირველმა რეიდერებმა გერმანია 1940 წელს, მარტ-ივლისში დატოვეს. „ატლანტისმა“ და „პინგვინმა“ ინდოეთის ოკეანისკენ, „ორიონმა“ წყნარი, ხოლო „ვიდერმა“ და „ტორმა“ ატლანტის ოკეანისაკენ გაცურეს. 1940 წლის 3 ივლისს სატვირთო გემად შენიღბული რეიდერი „კომეტი“ ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის გავლით იაპონიისაკენ გაიგზავნა. ცურვაში რეიდერს საბჭოთა ყინულმჭრელები ეხმარებოდნენ. კუნძულ აიონის რაიონში, აღმოსავლეთ ციმბირის ზღვის აღმოსავლეთით, როცა ბერინგის სრუტემდე 400 მილი რჩებოდა, გერმანელთა ნამდვილი გეგმები გამჟღავნდა და საბჭოთა წარმომადგენლებმა უკან დაბრუნება მოსთხოვეს. „კომეტი“ მოსკოვის მითითებას არ დაემორჩილა, დარჩენილი გზა დამოუკიდებლად განვლო და 6 სექტემბერს ბერინგის სრუტის გავლით წყნარ ოკეანეში შევიდა.

1942 წელს საკრეისეროდ კიდევ ორი რეიდერი, „მიშელი“ და „სტიერი“ გაიგზავნა. გერმანია ყველაზე ბოლოს „კორონელმა“ დატოვა, მაგრამ შორს წასვლა ვერ შეძლო. ბულონამდე მიაღწია, შემდეგ ავიაციამ დააზიანა და უკანვე მიბრუნდა.

ნეიტრალური ქვეყნების დროშებით მოცურავე რეიდერები შენიღბვის მიზნით სახელს, მიწერის პორტსა და საკვამლე მილზე გემთმფლობელი კომპანიის მარკას დროდადრო ცვლიდნენ. მაგალითად „ორიონი“ ხან შვედური, ხან ჰოლანდიური, ხანაც ბრაზილიური გემი ხდებოდა. იცვლებოდა კორპუსის ფერი, გარეგნული სახე, საკვამლე მილებისა და კანჯოების რაოდენობა, ხოლო ტილოსა და კარკასის გამოყენებით ბოგურა და ზედნაშენი. საწვავს, წყალს, საკვებ პროდუქტებსა და საბრძოლო მასალებს, ძირითადად, სხვა გერმანული სატრანსპორტო გემებიდან იღებდნენ, რომლებიც ასევე ნეიტრალური ქვეყნების დროშით ინიღბებოდნენ. ზოგჯერ ოკუპირებული საფრანგეთისა და იაპონიის პორტებითაც სარგებლობდნენ. ხანდახან დაყადაღებული გემის პროდუქტებს, წყალსა და საწვავსაც არ თაკილობდნენ.

მსხვერპლის შემჩნევის შემთხვევაში, საბრძოლო განგაში ჩუმად ცხადდებოდა. დროშების სიგნალით სავაჭრო გემს გაჩერებას სთხოვდნენ. დაუმორჩილებლობას გამაფრთხილებელი ან დამიზნებული სროლა მოჰყვებოდა და განწირულ გემს ეკიპაჟი კანჯოებით სასწრაფოდ ტოვებდა.

ცალკეულ შემთხვევაში რეიდერი უბედურებაში ჩავარდნილი გემის როლსაც თამაშობდა და როცა მსხვერპლი ახლოს მივიდოდა, შემდგომი მოქმედებები ჩვეული სახით მიმდინარეობდა.

გერმანული გემების რეიდერობა 1942 წლის მეორე ნახევრამდე გაგრძელდა. რეიდერებმა მოკავშირეთა 192 გემი ჩაძირეს. ყველაზე შედეგიანი „პინგვინი“ გამოდგა, რომლის ანგარიშზეა (1940წ.VI–1941წ.V) ატლანტიკა-ინდოეთის ოკეანეებში ჩაძირული 33 გემი, საერთო ტონაჟით 165547 ტონა.

## ყველაზე დიდი გამარჯვება

რეიდერობა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. დაჯავშნულ სამხედრო ხომალდთან შეხვედრა რეიდერს გადარჩენის ძალზე მცირე შანსს უტოვებდა, მაგრამ იყო გამონაკლისი შემთხვევებიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1940 წლის ივლისში „ტორს“ ბრიტანულ დამხმარე კრეისერ „ალკანტარასთან“ ხანმოკლე საარტილერიო დუელი ჰქონდა. დაზიანება ორივე გემმა მიიღო. მომდევნო ბრძოლა ისევ ბრიტანულ დამხმარე კრეისერ „კარნარვონ კასლთან“ ჰქონდა. „ტორმა“ მოულოდნელობის ეფექტი გამოიყენა და ბრიტანულ გემს გამანადგურებელი ცეცხლი გაუხსნა. „კარნარვონ კასლის“ ეკიპაჟის 37 მეზღვაური დაიღუპა და 82 კი დაიჭრა, თვით გემმა თავს ძლივს უშველა. 1941 წლის აპრილში „ტორმა“ ბრიტანული დამხმარე კრეისერი „ვოლტერი“ ჩაძირა.

რეიდერი „კორმორანი“ (ყოფილი „შტაიემარკი“) ავსტრალიის სანაპიროსთან აღმოჩნდა. 1941 წლის 19 ნოემბერს, 16 საათზე, მესიგნალემ ჰორიზონტზე გემის კვამლი შენიშნა. გაიცა საბრძოლო განგაშის სიგნალი და მალე გაირკვა, რომ შესახვედრად ავსტრალიური მსუბუქი კრეისერი „სიდნეი“ (წყალწყვა 7370 ტონა, სიჩქარე 32,5 კვანძი, შეიარაღება: რვა 152 მმ-იანი, რვა 102 მმ-იანი, ოთხი 47 მმ-იანი ქვემეხი, 16 ტყვიამფრქვევი, 8 სატორპედო აპარატი, 1 თვითმფრინავი) მოცურავდა. კაპიტან დეტმარისათვის ნათელი გახდა, რომ დაჯავშნულ „სიდნეის“ შორ მანძილზე „კორმორანი“ (წყალწყვა 8736 ტონა, ექვსი 150 მმ-იანი ქვემეხი, 4 სატორპედო აპარატი) ვერაფერს დააკლებდა, ხოლო სიჩქარე (19 კვანძი) გაქცევის საშუალებას არ იძლეოდა.

წარმატების პატარა იმედს „სიდნეის“ რაც შეიძლება ახლო მანძილზე მიტყუება და შემდეგ სასიცოცხლო პოსტებზე დამიზნებული ცეცხლის გახსნა იძლეოდა. გერმანელებმა კატათაგვობანას თამაში წამოიწყეს. „სიდნეის“ შეკითხვებს „კორმორანი“ გაუგებარ პასუხებს აძლევდა, თან განუწყვეტლივ გადასცემდა უბედურების სიგნალებს, თითქოს მშვიდობიან გემს სამხედრო ხომალდი დაესხა თავს და დახმარებას ითხოვდა.

17.20 საათზე გემებს შორის მანძილმა 800 მეტრამდე შემცირდა და კრეისერმა ამოსაცნობი საიდუმლო კოდი მოითხოვა, რასაც „კორმორანმა“ საარტილერიო ცეცხლით უპასუხა. პირველი ჭურვები „სიდნეის“ სავალ ბოგურაში მოხვდა. მწყობრიდან გამოვიდა საარტილერიო მართვის პოსტი და მოიშალა სახომალდო არტილერიის მართვა. დამიზნებული ცეცხლისაგან ავსტრალიურ კრეისერს ცეცხლი მოედო, თუმცა საპასუხო ცეცხლისგან მძიმე დაზიანებები „კორმორანმაც“ მიიღო.

შეტაკებამ დაახლოებით ერთ საათს გასტანა. 18.30 საათზე ცეცხლმოდებული „სიდნეი“ ჰორიზონტს მიეფარა და ამის შემდეგ ის არავის უნახავს. დღემდე კრეისერისა და 800 მეზღვაურის ბედი უცნობია. მიღებული დაზიანებებისაგან „კორმორანი“ მალე ჩაიძირა და ეკიპაჟიდან 317 კაცის გადარჩენა მოხერხდა.



ბერძნული ბირემა

# საზღვაო ტარანი

***ძველად, დენთის გამოგონებამდე ნიჩბიანი ხომალდის მთავარ შემტევ იარაღს ტარანი წარმოადგენდა. გადმოცემით, ის ფინიკიელმა გემთმშენებლებმა მოიგონეს. მეფე სანხერიბას (ძველი წელთაღრიცხვის 704-681 წლები) სასახლეში შემორჩენილია საბრძოლო ხომალდის გამოსახულება, რომლის ფორშტევენს წყალხაზის დონეზე ბასრი ტარანი აგვირგვინებს.***

ნიჩბიანი ფლოტების ხანაში ტარანის გამოჩენამ საზღვაო ბრძოლებში ნამდვილი გადატრიალება მოახდინა. მანამდე ხომალდები ერთმანეთთან ახლოს მისვლას ცდილობდნენ და შემდეგ აბორდაჟულ ბრძოლაზე გადადიოდნენ. საგანგებოდ აბორდაჟისათვის ხომალდებზე ყოველთვის იყვნენ მძიმედ შეიარაღებული ქვეითები, რომლებსაც შეტაკებისას ხშირად მენიჩბეებიც ეხმარებოდნენ, თუ საამისოდ საკმარისი ძალა კიდევ ჰქონდათ შერჩენილი.

ტარანული დარტყმა ნიჩბიანი ხომალდის მთავარი ტაქტიკური ხერხი გახდა. არსებობდა მისი ორინაირსახეობა. პირველი – ხომალდი მოწინააღმდეგის ხომალდის კორპუსს მაქსიმალური სიჩქარით ეჯახებოდა და შემდეგ სწრაფად უკან ცურვას იწყებდა. დარტყმა შედეგიანი იყო, თუ შემტევი ხომალდი ზომებით მოწინააღმდეგის ტოლი ან მეტი იქნებოდა. მაშინდელ ხომალდებს წყალშეუღწევი ტიხრები არ ჰქონდა და დარტყმით მიღებული ნახვრეტი გემის ჩაძირვას იწვევდა.

მეორე შემთხვევაში პარალელური კურსიდან დარტყმა მოწინააღმდეგე ხომალდის ნიჩბებზე კეთდებოდა. ეს ილეთი შემტევი ხომალდის მენიჩბეებისაგან კარგ გაწვრთნილობასა და დარტყმისას ნიჩბების სწრაფად ზევით აწევას მოითხოვდა. უნიჩბებოდ დარჩენილი ხომალდი სვლას კარგავდა, რასაც განმეორებითი დარტყმა კიჩოზე, ან აბორდაჟული ბრძოლისათვის ჯაჭვების დახმარებით გემის მოზიდვა მოსდევდა.

ტარანული ტაქტიკა შედეგს ყოველთვის არ იძლეოდა. თუ ტარანი მოწინააღმდეგე ხომალდის კორპუსში გაეჩხირებოდა, მაშინ შემტევი გემი მანევრულობას კარგავდა და მას მოწინააღმდეგის გემიდან ხანძრის გადმოსვლის ან მასთან ერთად ჩაძირვის საშიშროება ემუქრებოდა.

ბერძნულ გემებზე ტარანი ძველი წელთაღრიცხვის IX-VIII საუკუნეებში გამოჩნდა. იმ დროის გემები სიგრძეში 20-30 მეტრს აღწევდა, საიდანაც 3-4,5 მეტრი ტარანზე მოდიოდა. ბერძნული ბირემაზე ტარანი კილის ძელზე მაგრდებოდა და მას სამკაპის, ჩიტის ნისკარტის ან ტახის თავის ფორმა ჰქონდა, ზოგჯერ ბრინჯაოს ან რკინის ბუნიკით მთავრდებოდა. ზოგიერთი ტარანი ღრუ მორითა და მასში ჩასხმული ტყვიისაგან მზადდებოდა, რომელსაც გარედან სიმაგრისათვის სპილენძით შემოჭედავდნენ. ცალკეული ხომალდი ორ-სამ, იშვიათად ოთხ ტარანსაც კი ატარებდა.

რომაული ბირემას წყალწყვა 230 ტონას შეადგენდა და სიგრძით 45 მეტრი იყო. 7-8 კვანძ სიჩქარეს ავითარებდა და 4-მეტრიანი ტარანით იყო აღჭურვილი.

ძველ რომაელებს ასეთი ტრადიცია ჰქონდათ: საზღვაო ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ დამარცხებულთა ხომალდებს ტარანს აჭრიდნენ. ამას ორი მიზანი ჰქონდა: მოწინააღმდეგის ფლოტის განადგურება და საკუთარი გამარჯვების საქვეყნოდ გაცხადება.

ტარანული ტაქტიკის ფუძემდებელი ბერძენი სარდალი თემისტოკლეა. სალამანის ბრძოლაში, ძველი წელთაღრიცხვის 480 წელს, ათენის მახლობლად კუნძულ სალამინთან 200 ბერძნული ტრიერა 500-დან 600-მდე სპარსულ გემს დაუპირისპირდა. ბერძნული გემების მანევრულობამ და ტარანმა გადამწყვეტი

როლი ითამაშა და სპარსელთა მრავალრიცხოვანმა ფლოტმა მარცხი იწვნია.

საუკუნეების მანძილზე ტარანი მივიწყებას მიეცა და მოულოდნელად, XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ჯავშნოსანი ფლოტის შექმნისას საბრძოლო ხომალდების შეიარაღებაში ისევ გამოჩნდა.

პირველად ტარანი ამერიკის სამოქალაქო ომის დროს გამოიყენეს. 1862 წლის 8 მარტს კონცხ სიუველს პოინტის მახლობლად სამხრეთელთა ჯავშნოსანმა „მერიმაკმა" ტარანული დარტყმით ფედერალისტთა ხის ფრეგატი „კამბერლენდი" ჩაძირა. მასს შემდეგ ამერიკელებმა სამოქალაქო ომში ტარანი კიდევ რამდენიმეჯერ გამოიყენეს.

ღია ზღვაში ტარანი იტალია-ავსტრიის ომის დროსაც, 1866 წელს გამოიყენეს. ივლისში დალმაციის სანაპიროსთან, ავსტრიელთა კუნძულ ლისასთან (ამჟამად კუნძული ვისი) ადმირალ პერსანოს იტალიის ესკადრა გამოჩნდა. ავსტრიელებმა წყალქვეშა კაბელით საფრთხის შესახებ ინფორმაციის გადაცემა მოახერხეს და მათ დასახმარებლად ადმირალ ფონ ტეგეტჰოფის ესკადრა გამოვიდა.

20 ივლისს პერსანოს 19 ხომალდს, მათ შორის 11 ჯავშნოსანს, ავსტრიელთა 21 ხომალდი, მათ შორის 7 ჯავშნოსანი დაუპირისპირდა. დაჯავშნული ხომალდების წინააღმდეგ საარტილერიო ცეცხლი ნაკლებეფექტიანი გამოდგა. გლუვლულიანი ქვემეხები შედეგს არ იძლეოდა და ხომალდები ტარანულ დარტყმებზე გადავიდნენ. ავსტრიელთა ფლაგმანმა ჯავშნოსანმა „ფერდინანდ მაქსმა" ხელსაყრელი პოზიცია დაიკავა და ტარანით იტალიელთა ჯავშნოსანს „რე დ, იტალიას" დაეჯახა. დარტყმა იტალიური ხომალდისათვის სასიკვდილო გამოდგა. ნახვრეტიდან შევარდნილი წყლისაგან „რე დ, იტალიამ" მდგრადობა დაკარგა, მომენტალურად გადაბრუნდა და ფსკერისკენ 450 მეზღვაური გაიყოლა.

ორთქლისძრავიანი ჯავშნოსნების პირველმა ბრძოლამ გემთმშენებლობის განვითარებაზე დიდი გავლენა იქონია. გავრცელდა შეხედულება, რომ ყველაზე მსხვილკალიბრიანი, გლუვლულიანი ქვემეხი ჯავშანს ვერაფერს დააკლებდა და საბრძოლო ხომალდებისათვის მთავარი იარაღი არა არტილერია, არამედ ტარანი იქნებოდა.

შესაბამისად, საჭირო იყო ტარანისაგან თავდაცვის საშუალებების შექმნა. მალე გაჩნდა ორმაგი ბორტი და ფსკერი, რომელიც გემს წყალშეუღწევ ნაკვეთურებად ყოფდა. ორივე ბორტის გასწვრივ გაჩნდა გრძივი ტიხრები, რომლებითაც გემის წყალხაზის ქვევით თითქოს ორმაგი ბორტის წარმოიქმნებოდა.

ტარანი მოწინავე საზღვაო ქვეყნების ჯავშნოსანთა აუცილებელი იარაღი გახდა, რომელსაც საკუთარი ხომალდების ჩასაძირადაც „წარმატებით" იყენებდნენ. 1869 წელს რუსულმა ჯავშნოსანმა „კრემლმა" ტარანის დახმარებით ასევე რუსული ფრეგატი „ოლეგი" ჩაძირა. ორი წლის შემდეგ ჯავშნოსან „ადმირალ სპირიდოვთან" დაჯახების შემდეგ „ადმირალი ლაზარევი" დაღუპვას შემთხვევით გადაურჩა. მსგავს შემთხვევებს ადგილი ჰქონდა ესპანეთის, გერმანიის, ბრიტანეთის ფლოტებში.

1893 წელს ხმელთაშუა ზღვაში ბრიტანელთა ესკადრის ფლაგმანი ჯავშნოსანი „ვიქტორია" ვიცე-ადმირალ ტრაიონსა და 358 მეზღვაურთან ერთად თანამოძმე ჯავშნოსანმა „კემპერდაუნმა" ზღვის ფსკერისაკენ გაუშვა. მიუხედავად ამისა, ტარანს ბრიტანეთის ფლოტი მაინც არ ეშვებოდა. შეიქმნა მოსახსნელი ტარანი, რომელიც ხომალდის ტრიუმში ინახებოდა და ბრძოლის დროს აყენებდნენ.

გლუვლულიანი ქვემეხები მალე კუთხვილიანმა, სწრაფმსროლელმა არტილერიამ შეცვალა და ტარანს, როგორც საბრძოლო საშუალებას, საბოლოო განაჩენი გამოუტანა. ტარანი ისტორიას ჩაბარდა, მაგრამ ტერმინი „ტარანული დარტყმა" დარჩა და ის ჩაძირვის მიზნით ხომალდის ხომალდზე კორპუსით შეგნებულად შეჯახებას ნიშნავდა.

ტარანული დარტყმების გამოყენების ოსტატები ბრიტანელი მეზღვაურები არიან. პირველ მსოფლიო ომში ბრიტანულმა ხომალდებმა წყალზედა მდგომარეობაში მყოფი 15 გერმანული წყალქვეშა ნავი ტარანული დარტყმებით ჩაძირეს. ანგარიში კრეისერმა „ბირმინგემმა" გახსნა, რომელმაც ომის დაწყებიდან მეხუთე დღეს, 1914 წლის 9 აგვისტოს, ტარანული დარტყმით U-15 ჩაძირა.

ეს ხერხი საბრძოლო ხომალდებთან ერთად სამმა სამოქალაქო გემმაც გამოიყენა და მათ შორის აღმოჩნდა ლეგენდარული „ტიტანიკის" წინამორბედი „ოლიმპიკი".

„ტიტანიკის" ტრაგედიამ ამ გემს სახელი გაუთქვა, მაგრამ არანაკლებ სახელგანთქმული იყო „კუნარდ ლაინის"



**ჯავშნოსან „მერიმაკის" ტარანული დარტყმა**



**ჯავშნოსანი „მერიმაკი" დოკში**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამხედრო ლექსიკონი

მოგეხსენებათ, ხშირია შემთხვევები, როდესაც ქართველი სამხედრო თუ სამოქალაქო პირები რუსულ სამხედრო ტერმინოლოგიას იყენებენ. ეს იმიტომ ხდება, რომ მათ ამ სიტყვების ქართული შესატყვისი არ იციან. ამ ხარვეზის გამოსასწორებლად „არსენალი“ აგრძელებს რუსული სამხედრო ტერმინების ქართული შესატყვისების გამოქვეყნებას.

Действие – მოქმედება

Действие боевое – საბრძოლო მოქმედება

Действие наступательное – შეტევითი მოქმედება

Действие на фланге – ფრთაზე მოქმედება

Действие оборонительное – მოგერიებითი (თავდაცვითი) მოქმედება

Действие совместное – ერთობლივი მოქმედება

Действие штурмовое – საიერიშო მოქმედება

Дело – საქმე

Демаскировка – განნიღბვა

Десант воздушный – საჰაერო დესანტი

Десант парашутный – საპარაშუტო დესანტი

Десантник – მედესანტე

Детонатор замедленного действия – შენელებული მოქმედების დეტონატორი

Детонатор промежуточный – შუალედური დეტონატორი

ДЗОТ (дерево-земляная огневая точка) – საცეცხლე ძელმიწური

Диверсант – დივერსანტი

Дивизия ПВО (противовоздушной обороны) – ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის დივიზია

Дивизия сводная – ნაკრები დივიზია

Дивизия стрелковая – მსროლელი დივიზია

Дисциплина – წესრიგი

Длина волны – ტალღის სიგრძე

Длина разбега при взлете – გაქანების სიგრძე აფრენისას

Дневалить – მედღევეობა

Дневальный – მედღევე (მორიგე ჯარისკაცი)

Дневка – დღედგომა (ლაშქრობისას)

მეორე ტრანსატლანტიკური ლაინერი „ოლიმპიკი“.

1914 წლის ოქტომბერში „ოლიმპიკმა“ უბედურების სიგნალი მიიღო სახაზო ხომალდ „ოდეიშიესისაგან“ და სასწრაფოდ დასახმარებლად გაემართა, მაგრამ ცუდი ამინდის გამო დახმარების აღმოჩენა ვერ შეძლო.

1915 წლის სექტემბერში „ოლიმპიკი“ სამხედრო სატრანსპორტო გემი გახდა და ამერიკიდან ევროპაში ჯარები გადმოჰყავდა. უზარმაზარი ლაინერი გერმანული წყალქვეშა ნავების სანუკვარ სამიზნეს წარმოადგენდა და ოთხჯერ მისი ჩაძირვა უშედეგოდ სცადეს. 1918 წლის 12 მაისს „ოლიმპიკმა“ ტარანული დარტყმით გერმანული სუბმარინა U-103 ფსკერისაკენ გაისტუმრა და შემდეგ ეკიპაჟიდან გადარჩენილებს დახმარება აღმოუჩინა.

მეორე მსოფლიო ომში ზღვაზე ტარანულ დარტყმებს იშვიათად იყენებდნენ, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როცა დაზიანებულ სუბმარინას ჩაყვინთვა და წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეეძლო. მოკავშირეებმა ამ ხერხით გერმანელთა 5, იტალიელთა 4 და იაპონელთა 1 წყალქვეშა ნავი ჩაძირეს.

ომის შემდგომ კონფლიქტებში ტარანულ დარტყმას, როგორც ტაქტიკურ ხერხს, სამხედრო-საზღვაო ფლოტები აღარ მიმართავენ. რადიოლოკაციური საშუალებები, სწრაფმსროლელი და მრავალფეროვანი საარტილერიო-სარაკეტო შეიარაღება ამის აუცილებლობას გამორიცხავს.

მიუხედავად ამისა, XX საუკუნის ბოლოს ტარანულმა დარტყმამ თავისი მნიშვნელობა ისევ დაიბრუნა – ის საზღვაო ტერორისტების შეიარაღებაში გამოჩნდა.

1983 წლიდან შრი-ლანკაში „თამილ ილამის განმათავისუფლებელი ვეფხვების“ ორგანიზაცია ცენტრალურ ხელისუფლებას ებრძვის. კონფლიქტში დიდი ადგილი უკავია საზღვაო ბრძოლებს, სადაც 1990 წლიდან „ზღვის შავი ვეფხვების“ ქვედანაყოფი მოქმედებს.

„შავი ვეფხვები“ თვითნაკეთ, ფეთქებად კატარღებს სამთავრობო ხომალდებს აჯახებენ და აფეთქებენ. პირველი წარმატებული შეტევა „ვეფხვებმა“ 1991 წლის 4 მაისს განახორციელეს. კატარღის ტარანული დარტყმითა და თავის აფეთქებით თამილელმა ტერორისტებმა სამთავრობო ხომალდი „აბხეეტხა“ ჩაძირეს. საინტერესოა, რომ ტარანული დარტყმების სამიზნე არაერთხელ გამხდარა სამთავრობო ფლოტის „დვორას“ ტიპის სწრაფმავალი კატარღებიც კი.

ასეთივე მეთოდი გამოიყენეს „ალ-ქაიდას“ ტერორისტებმა 2000 წლის 12 ოქტომბერს იემენის პორტ ადენთან, როცა ამერიკულ საესკადრო ნაღმოსანს „კოულს“ ორი კამიკაძე-ტერორისტი სწრაფმავალი კატარღით დაეჯახა. აფეთქებით ტერორისტებმა ამერიკულ ხომალდს მძიმე დაზიანება მიაყენეს, ეკიპაჟიდან 17 მეზღვაური დაიღუპა და 42 კი დაიჭრა.

ზღვაზე ტერორისტების მხრიდან ტარანული დარტყმების საშიშროება კვლავ არსებობს და გასაკვირი არც არის, როცა პორტებში გაძლიერებულია ზღვის ზედაპირისა და წყალქვეშა სივრცის კონტროლი.



ტარანული დარტყმის თანამედროვე მსხვერპლი საესკადრო ნაღმოსანი „კოული“

ბიბლიოთეკა

# არსენალვორდი



**თარაზულად:** 1. გემთა მიმოსვლა, ზღვაოსნობა; 6. იაპონური სატრანსპორტო-სადესანტო ვერტმფრენი; 7. საბუთების გასინჯვა საეჭვო გემზე, რომელსაც აღმოაჩენს ღია ზღვაში სხვა სახელმწიფოს სამხედრო გემი; 8. ძველებური სასროლი ან საჩხვლეტი საბრძოლო იარაღი; 9. თვითმფრინავის მოძველებული სახელწოდება; 13. ბრიტანული გადასატანი სახმელეთო-სარაკეტო კომპლექსი; 14. სამხედრო გემების დიდი შენაერთის სარდალი; 17. ძაღლის ჯიში; 19. ნიჩბებიანი ან თვითმავალი მცირე უგემბანო გემი; 20. მოხარშული ზეთი; 21. საერთო-ევროპული სავალუტო ერთეული; 22. პრივილეგიური სამხედრო წოდების წარმომადგენელი ფეოდალურ იაპონიაში; 25. ფრანგული საავიაციო რაკეტა „ჰერი-ჰერი“ ტიპის; 26. ჰომეროსის პოემა, რომელშიც მოთხრობილია ტროას ომის ბოლო მეათე წლის ამბები; 29. გემის ტვირთი; 31. იტალიის ტელევიზია; 32. მუსიკოს ზაზა კორინთელის მეტსახელი; 33. მართლმსაჯულების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 34. სასაზღვრო დაცვის რაზმი; 35. მონღოლეთის არმიის ჯარისკაცი.

**შვეულად:** 1. საზღვაო ბრძოლა ძველ საბერძნეთში; 2. თოფის სამიზნე, კორა; 3. ადამიანი, რომელიც მარცხენა ხელს ხმარობს მარჯვენის ნაცვლად; 4. ინდური საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი; 5. საჯარისო შენაერთი ძველ რომში; 10. მიწაში ჩარჭობილი ბოძი შვარტოვების დასამაგრებლად; 11. საფრანგეთის იმპერატორი და მხედართმთავარი; 12. არტილერიის, სარაკეტო და ჯავშანსატანკო ნაწილების რამდენიმე ქვეგანაყოფის გაერთიანება; 14. ძველებური მოძრავი ზარბაზანი, რომელიც ისროდა ტყვიის ბირთვებს; 15. ჯარის ნაწილი, რომელიც მიდის მთავარი ძალების წინ; 16. ოფიცრის წოდება; 18. ამერიკული ატომური სარაკეტო წყალქვეშა ნავი; 22. მონათა უდიდესი აჯანყების ბელადი ძველ რომში; 23. პარტიზანი საფრანგეთში მე-2 მსოფლიო ომის დროს; 24. გარემოსთან, ადამიანებთან ურთიერთობის საშუალების მოსპობა; 27. დაზგა, რომელზედაც მაგრდება ქვემეხის ლულა; 28. მოწყობილობა ცხენის სამართავად; 30. ფილმი სილვესტრ სტალონეს მონაწილეობით.

*ჟურნალის წინა ნომერში გამოქვეყნებული „არსენალვორდის“ პასუხები:* **თარაზულად:** 1. ლეიტენანტი; 6. მარკიტანტი; 7. ილიონი; 10. ომი; 11. მანევრი; 14. ამოსი; 15. იგლი; 18. ტანკეტი; 19. პირატი; 21. ლოკალი; 23. ლენონი; 24. ევრიკა; 25. იუმა; 26. იგი; 28. ტუ; 29. ვოლონტიორი; 33. ნოე; 34. ჰამერი; 35. გამარჯვება; 36. კატამარანი. **შვეულად:** 1. ლამბი; 2. იურთი; 3. ექიდნა; 4. ალაო; 5. ტატამი; 8. ლაგი; 9. იმოლი; 10. ოსაკა; 11. მიტრალიეზი; 12. ესკალაცია; 13. რეტი; 16. იო; 17. კრიმინალი; 19. პალადინი; 20. რანჟირი; 22. ივაკუნი; 27. გრანატა; 29. ვენდეტა; 30. ლამპასი; 31. რა; 32. რეგატა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბერლინის დაბომბვა 1941 წლის აგვისტოში



## საბრძოლო ოპერაცია იდეოლოგიურ-ფსიქოლოგიური შედეგით

1941 წლის აგვისტოში, როცა გერმანიის ჯარები მოსკოვს უახლოვდებოდნენ და ყველას ეგონა, რომ ომის ბედი გადაწყვეტილი იყო, საბჭოთა ბომბდამშენებმა მესამე რაიხის დედაქალაქის მასირებული დაბომბვა დაიწყეს. სამწუხაროდ, სამამულო ომის ეს ეპიზოდი ნაკლებად არის ცნობილი. თუმცა მან უდიდესი ფსიქოლოგიური ზეგავლენა იქონია როგორც გერმანელებზე, რომელთაც წარმოუდგენლად მიაჩნდათ, რომ „სტალინელები“ ხელს მიაწვდენდნენ, ისე თავად „საბჭოელებზე“, რომელთაც საკუთარი ძალების რწმენა დაუბრუნდათ.

1941 წლის 3 ივლისი. გერმანიის სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალმა გალდერმა თავის დღიურში ჩაწერა: „დღეს შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ამოცანა, რომელიც დასავლეთ დვინისა და დნეპრის აუზში რუსეთის არმიის ჯარების განადგურებას ისახავდა მიზნად, შესრულებულია... ამიტომ გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო კამპანია, 14 დღის განმავლობაში იქნა მოგებული“. „შორსმჭვრეტელი“ გენერალი ამგვარი თამამი განცხადებების გაკეთებისკენ გებელსის პროპაგანდულმა მანქანამ წააქეზა, რომელიც ირწმუნებოდა, რომ გერმან გერინგის არწივებმა მცირე დროში ერთიანად გაანადგურეს საბჭოთა ავიაცია. ადვილი წარმოსადგენია, რა შოკისმომგვრელი იქნებოდა ამის შემდეგ ადოლფ ჰიტლერის ხელისუფლებისათვის აგვისტოს დასაწყისში საბჭოთა მფრინავების თავგანწირვა. გერმანელებს ეჭვი შეეპარათ ქვეყნის ხელმძღვანელობის გულწრფელობაში, ძველებურად აღარ ენდობოდნენ და რაც მთავარია, გერმანული იარაღის უძლეველობის მითსაც მაშინ გაუჩნდა პირველი ბზარი.

ამ ოპერაციის მოკლე ისტორია ასეთია. „ფაშისტური ბუნაგისათვის“ ბომბური დარტყმების მიყენების ინიციატივა, რომელსაც მაშინვე დაუჭირა მხარი სტალინმა, სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარს, ადმირალ კუზნეცოვს ეკუთვნოდა (სწორედ მისი სახელი ეწოდა ერთადერთ საბჭოთა და შემდგომ რუსულ ავიამზიდს, რომელსაც თავიდან „თბილისი“ ერქვა). ამ მკაცრად გასაიდუმლოებული ოპერაციის ჩასატარებლად პირველი სატორპედო პოლკის ორი ესკადრილიის პილოტებისაგან შეიქმნა საგანგებო ჯგუფი, რომელსაც გამოცდილი მფრინავი, პოლკოვნიკი პრეობრაჟენსკი მეთაურობდა. ერთადერთი აეროდრომი, საიდანაც Ил-4-ებს ნახევარტონიანი ბომბებით ბერლინამდე მიღწევა შეეძლოთ, ესტონეთის კუნძულ ეზელზე (საარემაა) მდებარეობდა. აეროდრომი საგანგებოდ იყო მოწყობილი და შენიღბული. 8 აგვისტოს ხუთი Ил-4 ბომბდამშენი დავალების შესასრულებლად აფრინდა. მათ შეუფერხებლად გადალახეს მოწინააღმდეგის საზენიტო თავდაცვა და ბერლინს მიაღწიეს. გერმანელები, რომლებიც აბსოლუტურად გამორიცხავდნენ ამგვარი თავდასხმის ალბათობას, გადამეტებულმა თავდაჯერებამ შეაცდინა. საბჭოთა ბომბდამშენები თავიანთ გზააბნეულ თვითმფრინავებად მიიჩნიეს და დედაქალაქის მახლობელ აეროდრომზე დაჯდომა შესთავაზეს. მეთვალყურეები შეცდომას მხოლოდ მაშინ მიხვდნენ, როცა ბერლინის ქუჩებში საავიაციო ბომბების აფეთქების ხმა შემოესმათ. საბჭოთა პილოტებს კი გეზი უკვე კუნძულ ეზელისკენ ჰქონდათ აღებული.

დილით ფაშისტური გაზეთები იუწყებოდნენ: „წუხელ ინგლისის ავიაციამ ბერლინი დაბომბა. არიან დაჭრილები და დახოცილები. ჩამოგდებულია ექვსი ინგლისური თვითმფრინავი“.

ინგლისელებმა პასუხი არ დააყოვნეს: „ბერლინის დაბომბვის შესახებ გამოქვეყნებული ცნობა ამოუცნობია და იდუმალებით არის მოცული, რადგან 7-8 აგვისტოს ბერლინის თავზე ინგლისურ ავიაციას არ გადაუფრენია“. გერმანიის ხელისუფლება იძულებული გახდა, დედაქალაქის დაბომბვაში ერთი თვით ადრე „განადგურებული“ საბჭოთა ავიაცია დაედანაშაულებინა.

9 აგვისტოს პოლკოვნიკ პრეობრაჟენსკის საგანგებო დანიშნულების ჯგუფი წითელი არმიის საჰაერო-სამხედრო ძალების ორი ავიაციური ნაწილით შეივსო, რომლებსაც კაპიტანი ტიხომიროვი და მაიორი შელკუნოვი ხელმძღვანელობდნენ. 11 აგვისტოს კი ბერლინის დასაბომბად უკვე ათი Ил-4 გაფრინდა.

გერმანულმა დაზვერვამ მალე დაადგინა პრეობრაჟენსკის ჯგუფის ბაზის ადგილსამყოფელი. 12 აგვისტოს გერმანიის უმაღლესმა სამხედრო ხელმძღვანელობამ გასცა ბრძანება: „სახმელეთო ჯარების შენაერთების, ავიაციისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ერთობლივი ძალებით ლიკვიდირებულ იქნეს კუნძულ დოგასა და კუნძულ ეზელზე განლაგებული მოწინააღმდეგის სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზები. ამასთან, განსაკუთრებით საშური საქმეა მტრის აეროდრომების განადგურებ, საიდანაც ბერლინი იბომბება“. ამას მოჰყვა საბჭოთა აეროდრომებზე მსხვილმასშტაბიანი ნადირობა. გერმანელთა თვითმფრინავებმა საბჭოთა ბაზების „დაუთოება“ დაიწყეს, – კუნძულებზე გადაისროლეს დივერსიული ჯგუფები და აგენტები, მაგრამ ტყეში დამალული თვითმფრინავების კვალს მაინც ვერ მიაგნეს.

ბერლინის საჰაერო შტურმი 5 სექტემბრამდე დღეგამოშვებით გრძელდებოდა. ამ დღეს კი პრეობრაჟენსკის ჯგუფი მტრის ალყაში აღმოჩნდა, დაკარგა კავშირი არსენალსა და მომარაგების ნაწილებთან, რის გამოც სასწრაფოდ გადაისროლეს ლენინგრადის მახლობლად კამენკას აეროდრომზე. ბაზის საავიაციო-ტექნიკური შემადგენლობა კუნძულზე დარჩა და გენერალ ეფრემო-

ვის ხელმძღვანელობით ერთი თვის განმავლობაში იცავდნენ თავს.

განსაკუთრებული დავალების წარმატებით შესრულებისათვის სტალინმა ბერლინის „ოპერაციის“ ყველა მონაწილეს უმაღლესი სახელმწიფო ჯილდო გადასცა. შვიდ მფრინავს, მათ შორის პოლკოვნიკ პრეობრაჟენსკის, საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. ეს უკანასკნელი მოგვიანებით ლენინგრადის დაცვაში მონაწილეობდა. იყო ჩრდილოეთის ფრონტის შტაბის უფროსი და მისი მთავარსარდალი. ომის შემდეგ წყნარი ოკეანის ფლოტის სარდლის მოადგილედ დაინიშნა. იყო ფლოტის სამხედრო-საზღვაო ძალების ავიაციის სარდალი. 1962 წლიდან გენერალ-პოლკოვნიკი პრეობრაჟენსკი მუშაობდა საბჭოთა არმიის გენერალური ინსპექციის კონსულტანტად. გარდაიცვალა 1963 წელს.

ბედმა ნაკლებად გაუმართლა ბერლინის დამბომბავ მეორე ჯგუფს. შესაძლებელია, სწორედ ამ ჯგუფის წარუმატებლობა გახდა ბერლინის 1941 წელს დაბომბვების მიჩქმალვის მიზეზიც.

საქმე ეხება მძიმე ბომბდამშენთა 81-ე ავიადივიზიას, რომელიც დავალების შესასრულებლად ლენინგრადის მახლობელ პუშკინოს აეროდრომიდან 1941 წლის 12 აგვისტოს აფრინდა.

დივიზია დაკომპლექტებული იყო ახალი, ჯერ კიდევ გამოუცდელი ТБ-7 ტიპის თვითმფრინავებით, რომლებიც ქარხნიდან პირდაპირ აეროდრომებზე მოხვდნენ. გარდა ამისა, ივლისში მათ ბენზინის ძრავები ტურბოკომპრესორებიანი დიზელებით შეუცვალეს. დიზელები წარმოებაში ომამდე ცოტა ხნით ადრე ჩაუშვეს და ჯერ კიდევ კარგად არ იყვნენ გამოცდილი ფრენის პირობებში. თვითმფრინავების ეკიპაჟებიც ოპერაციის დაწყებამდე ორი კვირით ადრე, სასწრაფო წესით მოამზადეს. მიუხედავად ამისა, 12 აგვისტოს ღამით 11 ბომბდამშენი ბერლინის დასაბომბად მაინც გაფრინდა. მათ ლეგენდარული საბჭოთა მფრინავი ვოდოპიანოვი ხელმძღვანელობდა. პრობლემები აფრენიდან რამდენიმე წუთში დაიწყო, ორი თვითმფრინავი მწყობრიდან გამოვიდა. ერთ მათგანზე ერთდროულად ორი დიზელი გაფუჭდა და იქვე, აეროდრომის მახლობლად ჩამოვარდა.

ორმოცი წუთის ფრენის შემდეგ ერთი თვითმფრინავის მარცხენა შიდა ძრავას (თვითმფრინავები ოთხძრავიანები იყო) ცეცხლი წაეკიდა, ცოტა ხნის შემდეგ კი, როცა თვითმფრინავი 6000 მეტრის სიმაღლეზე ფრენდა, მწობრიდან გამოვიდა მარცხენა განაპირა დიზელიც. პილოტს საფრენი აპარატის ჰორიზონტალურ მდგომარეობაში შენარჩუნება გაუჭირდა, მაგრამ თვითმფრინავმა ბერლინს მაინც მიაღწია, ჩამოყარა სიკვდილის მთესველი ტვირთი და დიდი გაჭირვებით დაბრუნდა ლენინგრადში. ერთ-ერთი თვითმფრინავი უკან მობრუნებისას იძულებული შეიქნა, „კრასნოე სელოში“ დამჯდარიყო. ფრენის დროს, დაბალ ტემპერატურაზე რამდენიმეჯერ ჩაქრა დიზელის ძრავა, რომლის ასამუშავებლადაც პილოტს 3000 მეტრამდე მოუწია დაშვებამ და ამან საწვავის გადახარჯვა გამოიწვია.

ერთი თვითმფრინავი მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ დაბრუნდა ბაზაში. მასაც ფრენის დროს უჩერდებოდა ძრავები, ამიტომ სხვა აეროდრომზე მოუწია დაჯდომამ და საწვავის შევსებამ. თავად ვოდოპიანოვის ეკიპაჟმა კი თვითმფრინავი ფრონტის ხაზიდან 200 კილომეტრის დაშორებით, მტრის კონტროლირებად ტერიტორიაზე დასვა. ტყეებისა და ჭაობების გამოვლის შემდეგ ეკიპაჟის ყველა წევრმა მოახერხა ბაზაში დაბრუნება.

ტრაგიკულად დასრულდა ერთ-ერთი ეკიპაჟის ბედი. უკან მობრუნებისას თვითმფრინავის მარშრუტი ზღვისკენ გადაიხარა და ფინეთის ტერიტორიაზე საზენიტო ქვემეხებმა დააზიანა. მფრინავებმა დაზიანებული თვითმფრინავის დასმა ჰელსინკის მახლობელ აეროდრომზე მოახერხეს. მოხსნეს თვითმფრინავის საბორტო შეიარაღება და უთანასწორო ბრძოლაში ჩაებნენ. ფინური წყაროების მიხედვით, მფრინავები ოთხი დღის განმავლობაში(!) უმკლავდებოდნენ მოწინააღმდეგის ბატალიონს. ერთის გარდა ყველა მათგანი დაიღუპა, გადარჩენილი კი მძიმედ დაჭრილი ტყვედ ჩავარდა.

ყველაზე საშინელი ბედი ბოლო ეკიპაჟს ერგო. რადგან ოპერაცია მკაცრად იყო გასაიდუმლოებული, საბჭოთა ჯარის სხვა ნაწილებმა მასზე არაფერი იცოდნენ. ამიტომ უკან მობრუნებული თვითმფრინავი საბჭოთა სანაპირო დაცვის უკანასკნელ პუნქტს რომ მიუახლოვდა, საზენიტო ცეცხლი გაუხსნეს. ჰაერში აფრინდნენ ბალტიის ფლოტის ავიაგამანადგურებლებიც, რომლებიც პირველად ხედავდნენ ТБ-7 ტიპის საბჭოთა თვითმფრინავს, რომელიც გერმანულ „ფოკე-ვულფს“ წააგავდა. საბოლოოდ, თვითმფრინავი თავისიანებმა ჩამოაგდეს. ეკიპაჟის ექვსმა წევრმა პარაშუტით გადმოხტომა მოასწრო, დანარჩენი ხუთი კი დაიღუპა.

მძიმე ბომბდამშენ ТБ-7-ის ესკადრილიის წარუმატებლად ჩატარებულ ოპერაციაში დამნაშავედ სამხედრო ხელმძღვანელობამ ვოდოპიანოვი გამოაცხადა. იგი თანამდებობიდან მოხსნეს და 1943 წლამდე გენერალ-მაიორის წოდების მქონე სახელგანთქმული ასი უბრალო მფრინავის რანგში დაფრინავდა. ვოდოპიანოვი უფრო მკაცრი სასჯელისაგან სტალინთან პირადმა ნაცნობობამ იხსნა, რომელსაც კარგად ახსოვდა სახელგანთქმული მფრინავის დამსახურებანი. ასე დამთავრდა მართლაც რომ გასაოცარი, თავგანწირული თავდასხმა ბერლინზე. მართალია ოპერაციები დიდი დანაკარგით მთავრდებოდა, მაგრამ შედეგებიც შთამბეჭდავი იყო. ამაზე ციფრები მეტყველებს: ინგლის-ამერიკის ავიაციამ ბერლინში მთელი 1941 წლის განმავლობაში 35,5 ტონა ბომბი ჩამოაგდო. პრეობრაჟენსკის ჯგუფმა კი მხოლოდ 10 გაფრენის შედეგად 22 ტონა სიკვდილის მთესველი ტვირთი ჩაყარა ფაშისტთა დედაქალაქში. თუმცა ამ საიდუმლო ოპერაციების მთავარი შედეგი მორალურ-ფსიქოლოგიური იყო.

**1941 წლის ზაფხულში გერმანული ქალაქების დაბომბვას (თვითმფრინავების სიმცირის გამო) დიდი ნგრევა არ გამოუწვევია, მაგრამ საბჭოთა არმიის საბრძოლო სულისკვეთების ასამაღლებლად ეს უდიდესი მნიშვნელობის ოპერაცია გახლდათ. მართალია ოპერაციაში მონაწილე ყველა პილოტი, ფაქტობრივად თვითმკვლელი იყო, მაგრამ იმის შეგნება, რომ ეფექტიანი კონტრდარტყმის მიყენება რეალურად შეიძლებოდა, სამხედროებს თავდაჯერებას მატებდა... (ფოტოზე კიოლნის ნანგრევები)**



ეროვნული ბიბლიოთეკა



მოგეხსენებათ, ჯავშნიანი სუპერავტომობილების ბაზარი შემთხვევით მოთამაშეს ახლოს არ გაიკარებს. ქვემოთ მოცემულ სტატიაში გვინდა რამდენიმე ევროპული წარმოების ქმნილება წარმოგიდგინოთ. უთუოდ არავის გაუკვირდება, რომ ოთხივე მარკა ერთი ქვეყნის, გერმანიის დროშით „ასპარეზობს". ეს ქვეყანა განთქმულია ხარისხიანი ავტოებით. სპეცმანქანების მთავარი ღირსებაც ხომ სწორედ ხარისხი და საიმედოობაა...

# ჯავშნოსნები

## AUDI-ს დებიუტანტები

ფრანკფურტის ავტოსალონზე გერმანულმა კომპანია „აუდიმ" ერთბაშად ორი ახალი დაჯავშნული ავტომობილი A6 Security და A8 Security წარმოადგინა.

ბიზნესკლასის სედანი Audi A6 Security-ის ჯავშანი 4 დონეს შეესაბამება, რომელიც ადვილად დაიცავს მგზავრებს თავდამსხმელთაგან. მანქანის ძარის პანელები და მინები კარგად უძლებს პისტოლეტიდან ნასროლ ტყვიებს. ამ ტიპის სედანს მხოლოდ გვერდები და სახურავი აქვს დაჯავშნული, თუმცა შემკვეთს შეუძლია მოითხოვოს ფსკერის გამაგრება, რომელიც ხელყუმბარის აფეთქებას გაუძლებს.

კონსტრუქტორები დამკვეთებს ასევე სთავაზობენ გაზისგან თავდაცვის მოწყობილობებს. იმ შემთხვევაში, თუ მანქანა მომწამვლელ გაზში გაეხვევა, სალონის ავტომატური ჰერმეტიზაცია ხდება. მანქანაში ჩამონტაჟებულია ცეცხლგამძლე შეჯავშნული სეიფი. მის საგანგებო საბურავებს დაშვებულ მდგომარეობაშიც კი 100 კილომეტრის გავლა შეუძლია. A6 Security-ს V8 ტიპის 4,2 ლ მოცულობის 335 ცხ.ძ.-იანი ძრავა აქვს, რომელიც მანქანას 250 კმ/სთ-მდე აჩქარებს. მუდმივი სრული ამძრავობის წყალობით მანქანა ნებისმიერი ბუნებრივი პირობების დროს ადვილად და რბილად იმართება.

ბიზნესკლასის მოდელთან შედარებით A8 აღჭურვილია უფრო მაღალი თანრიგის ჯავშნით, რომელსაც შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს 7,62-მილიმეტრიან მყარგულიან ტყვიებს. ასაფეთქებელი ნივთიერებებითა და ხელყუმბარებით გამოცდამ დაადასტურა, რომ მანქანის ჯავშანს ძალა შესწევს წინააღმდეგობა გაუწიოს ნამსხვრევებსაც.

A8 Security-ს აქვს საავარიო სისტემა, რომელიც ყველაზე ექსტრემალურ სიტუაციაშიც კი მანქანიდან უსაფრთხოდ გამოსვლის საშუალებას იძლევა. როცა კარის გაღება ჩვეულებრივი მეთოდით ვერ ხერხდება, შეგიძლიათ საქმეში ჩართოთ სპეციალური პიროტექნიკური მოწყობილობა, რომელიც მის დებლოკირებას მოახდენს. A8 Security-ს აქვს ავტონომიური ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში შეუძლია სპეციალური მოწყობილობების საშუალებით ძრავის მონაკვეთზე ფსკერს, გარედან და ბორბლებშუა თაღებში შეაფრქვიოს ცეცხლმქრობი ნივთიერება.

ტყვიაგამძლე საბურავების წყალობით მანქანას 100 კილომეტრ მანძილზე მეტის გავლა მაშინაც შეუძლია, როცა ბორბლები მრავალ ადგილასაა გახვრეტილი.

მიუხედავად იმისა, რომ A8-ის მასა ჯავშნის გამო საგრძნობლად გაიზარდა, იგი მანქანის დინამიკაზე ნაკლებად აისახა, რადგან მის კაპოტქვეშ 450 ცხ.ძ.-იანი, 6 ლ მოცულობის V12 ტიპის ძრავა მუშაობს, რომელსაც საოცარი წევის ძალა აქვს და 200 კმ/სთ-ის განვითარება შეუძლია. გარდა ამისა, მოდელი აღჭურვილია წლობით ნაცადი სრულამძრავიანი Quattro სისტემის ტრანსმისიითა და პნევმატური საკიდრებით, რომლებიც დანგრეულ გზებზეც კომფორტულად მოძრაობის საშუალებას იძლევა.

A8 Security საქმიანი ადამიანებისთვისაა გათვალისწინებული და მის სალონში ჩამონტაჟებულია: ფაქსი, ტელეფონი, DVD და ა.შ.,



ეროვნული ბიბლიოთეკა





რის გამოც ფლაგმანური ,,აუდი“ ნამდვილ ბორბლებიან ოფისად აღიქმება. A6 Security-სა და A8 Security-ს საბაზრო ფასი განსაზღვრული არ არის, რის გამოც მათზე შეკვეთები ჯერჯერობით არ მიიღება.




## ფუფუნების მწვერვალი

Maybach 62 მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ და ძვირფას ავტომობილად ითვლება. ასეთ მანქანებს მხოლოდ ძლიერნი ამა ქვეყნისანი ყიდულობენ. ასეთებზე კი თავდასხმები გაცილებით ხშირად ხდება. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მწარმოებლები ამ ელიტური ავტომობილის ჯავშნიან ვარიანტსაც გვთავაზობენ.

დიდი, მასიური ავტომობილის შეჯავშნა მხოლოდ B4 პროგრამით ხდება, რომლის დაცვის სისტემა მაღალი რანგის მგზავრების მექანიკური ზემოქმედებისა და პისტოლეტიდან ნასროლი ტყვიებისგან დაცვას უზრუნველყოფს. უსაფრთხოების დამატებით სისტემებს აგრეთვე წარმოად-



ეროვნული ბიბლიოთეკა



AUDI A6

გენს: შეჯავშნული საწვავის ავზები და სპეციალური ბორბლები, რომლებიც დაფლეთილ მდგომარეობაშიც ასრულებენ დაკისრებულ ფუნქციას. მანქანას ასევე აქვს საგანგაშო მოწყობილობა, რომლის ჩართვაც ნებისმიერ მგზავრს შეუძლია. როცა სისტემა ირთვება, კარის ავტომატური ბლოკირება ხდება, მანქანა საგანგაშო ხმებს გამოსცემს და ვიზუალურ სიგნალებს იძლევა. გარე სამყაროსთან კავშირის დამყარება ინტერკომის საშუალებით ხდება.

Maybach-62 საკმაოდ დინამიკური მანქანაა. მას 550 ცხ.ძ.-იანი, V12, ორტურბინიანი ძრავა უდგას, რომლის წყალობითაც მძიმეწონიან სედანს ფენომენური მკვეთრი აჩქარებების მიღწევა შეუძლია. ამ დროს კი სალონში აბსოლუტური კომფორტია შენარჩუნებული, რაც ეფექტიანად მომუშავე პნევმატური საკიდრების წყალობით მიიღწევა.

მწარმოებლები aybach-62-ის მფლობელებს მართლაც რომ მეფურ გარემოს სთავაზობენ. სალონი უმაღლესი ხარისხის ხითა და ტყავით არის მოპირკეთებული. მანქანაში არის DVD-ფლეიერი, ტელევიზორი, მაცივარი, Bluetooth-სისტემის ტელეფონი... სალონის მთავარი ღირსება მოხერხებული სავარძლებია, რომლებიც ღილაკზე თითის ერთი დაჭერით კომფორტულ საწოლებად გადაიქცევა. ვიბროხმაურ-იზოლაციისა და სალონის სიდიდის მიხედვით, ამ გერმანულ მანქანას ვერც ერთი სხვა მისი კლასის მანქანა ვერ შეედრება. ანალოგის მოძებნა ფასითაც გაჭირდება — ამ სათამაშოს 779.000 ევროდ ან ოდნავ(!) მეტად თუ შეიძენთ.

## ბავარიული ჯავშანი

კომპანია BMW ჯავშნიანი მანქანების ორ ტიპს გვთავაზობს:

პირველი — უმაღლესი კლასის სედანი 760 Li High Security — უმაღლესი თანრიგის დაცვით.

მეორე — საშუალო ზომის „პარკეტის“ ყველგანმავალი „X5 4.4 Security“, რომელსაც ე.წ. ხულიგნური თავდასხმების საწინააღმდეგო ჯავშანი აქვს.

BMW-ს ჯავშნიანი ჯიპების გაყიდვა ერთი წლის წინ დაიწყო. 4 სტანდარტის მიხედვით დაცული მანქანა ქუჩური თავდასხმებისთვის არის გათვალისწინებული და რადგან მსგავსი დანაშაული ლათინური ამერიკის ქვეყნებისთვის უფროა დამახასიათებელი, ბავარიელებმა მათი გაყიდვა მექსიკიდან დაიწყეს. B4 კლასის ჯავშანმა ჯიპის წონა 300 კგ-ით გაზარდა, მაგრამ წონის მომატება მანქანის მანევრირებაზე არ აისახა, როგორც X5, ისე მისი შეჯავშნული ვარიანტი მოსახვევებში კარგ მდგრადობას ამჟღავნებს, ოღონდ ერთი განსხვავებით — შეჯავშნულ ძარას სიმძიმის ცენტრი ოდნავ მაღლა აქვს და ამის გამო ოდნავ უფრო იხრება მოხვევის დროს. სამაგიეროდ მისი საკიდრები, მუხრუჭები, სრულამძრავიანი ტრანსმისია ისევე საიმედოდ მუშაობს, როგორც სტანდარტული ვარიანტისა. ზედმეტი წონა მის დინამიკაზეც ნაკლებად აისახა, 320 ცხ.ძ-იანი V8-ცილინდრიანი ძრავა ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე ავითარებს სიჩქარეს. X5-ის სალონი მოპირკეთებულია ძვირფასი ტყავითა და ხით, აღჭურვილია მულტიზონური კლიმატკონტროლით, მშვენიერი სტერეოსისტემითა და სრული ელექტროპაკეტით (მასში შედის საჭის გამათბობელი სისტემაც).

BMW-ს შეჯავშნული ჯიპისგან განსხვავებით 760 Li High Security-ს სედანის იდეოლოგია განსხვავებულია. ამ მანქანაში საჭეს დაქირავებული მძღოლი უზის, ხოლო მფლობელის უკანა სავარძელზე ჯდომაა გათვალისწინებული. იგი უმაღლესი, B6/B7 დონითაა დაცული. ეს ნიშნავს, რომ მანქანაში მსხდომთ ავტომატის ჯერიც ვერაფერს დააკლებს. მისი ჯავშანი ორფა ფოლადისგან შედგება, ხოლო მინები ისეთი სქელია, რომ მათზე ფინჯნის დადგმა შეიძლება. მანქანაში დამონტაჟებულია ჟანგბადის მიმწოდებელი მოწყობილობა, რომელიც ქიმიური შეტევის დროს გამოიყენება. აქვს ავტომატური ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა და ზემტკიცეგვერდებიანი ტყვიაგამძლე საბურავები. ყველა ეს მოწყობილობა (საბურავების გარდა) საბარგულშია მოთავსებული. ბოსის პირადი ნივთები კი დაცვის მანქანაში აწყვია. სედანის მძღოლს ესკორტის მანქანებთან დაკავშირება სპეცკავშირით შეუძლია, ხოლო თუ მანქანის ახლოს მდგომ პირთან გასაუბრებაა საჭირო, ამისთვის ინტერკომი გამოიყენება. მანქანის ძრავის საიმედოობა აბსოლუტურამდეა აყვანილი. ბავარიელმა კონსტრუქტორებმა იგი ორი აკუმულატორითა და ორი გენერატორით აღჭურვეს. ძრავის ამუშავება მძღოლს წინასწარ, 150 მეტრის მანძილიდან შეუძლია. ეს კომპონენტიც თუმც ირიბად, მაგრამ მაინც ზრდის უსაფრთხოების დონეს, რადგან დაქოქილი მანქანა უფრო სწრაფად გაეცლება შესაძლო თავდასხმის ადგილს. ვფიქრობთ, სალონის გაწყობასა და აუდიოსისტემებზე ლაპარაკი ზედმეტია...

BMW X5 4.4 Security 177.000 ევრო



Mercedes E-class

ღირს. BMW 760 Li High Security კი – 540.000 ევრო.

## სამსხივიანი ვარსკვლავის აბჯარი

ალბათ, დაგვეთანხმებით, თუ ვიტყვით, რომ კომპანია მერსედეს-ბენცი ჯავშნიანი მსუბუქი ავტომობილების მწარმოებელთა შორის ყველაზე ავტორიტეტულია. მის „ბორბლებიან ციხესიმაგრეებს“ ტრადიციულად Guard-ს უწოდებენ. დღეისთვის შტუტგარტული კომპანია ორი სახის ჯავშნიან მანქანას გვთავაზობს: პირველი E კლასის, მეორეს კი ყველგანმავალ „გელენდვაგენის“ ბაზაზე.

„მერსედესის“ ჯავშნიანი მანქანები მთელ მსოფლიოშია განთქმული, მათ აღიარებას უსაფრთხოების უმაღლესი სტანდარტების წყალობით მიაღწიეს.

Mercedes-Benz Cuard-ით უმაღლესი რანგის პოლიტიკოსები და გავლენიანი ბიზნესმენები სარგებლობენ. ამ მანქანების ჯავშნის უმაღლეს სიმტკიცეს თანამედროვე მეტალურგიის მიღწევები უზრუნველყოფს. მისი სალონის ძალისმიერი ჩარჩო მინაპლასტიკური კომპონენტებით, უმტკიცეს საგანგებო ფოლადთან (B4 კატეგორია) კომბინირების მეთოდით ან იმავე სპეციალური ფოლადის, პოლიმერული კომპონენტების ელემენტების შეთავსების გზით არის დამზადებული (B6/B7 კატეგორია). მეტალი მგზავრებს ტყვიებისგან


Maybach 62

იცავს, ბოჭკოვანი კომპოზიტების ელემენტები კი ყუმბარის ნამსხვრევებისგან. „მერსედეს-ბენცის“ სპეციალისტები ახალი მასალების მოძიებით ცდილობენ აამაღლონ მანქანის საიმედოობა და ამასთან, მისი წონა შეამცირონ.

Guard-ში გათვალისწინებულია ყველა წვრილმანი და უმნიშვნელო დეტალი. ასეთი მეთოდითაა დაცული მანქანის თითქმის ყველა პოტენციურად სუსტი ადგილი. მაგალითად: კარის ჭრილები და ლითონის კორპუსის შეერთებისა და ლითონის მინასთან შეერთების ადგილები; აგრეთვე, ელექტროსადენების ნასვრეტები. საწვავის ავზი და საბურავები, რა თქმა უნდა, ტყვიაგამძლეა. მასის ზრდასთან ერთად კარის ანჯამები, საკიდრები და სამუხრუჭო სისტემები ხელახლა მუშავდება.


BMW 760


BMW X5

Mercedes-Benz Cuard-ი უსაფრთხოების დამატებით საშუალებად საგანგაშო სიგნალიზაციასაც იყენებს. გარე სამყაროსთან დასაკავშირებლად ინტერკომიც გამოიყენება.

E-კლასის ბიზნესმოდელის ავტომობილი დაცულია „ანტიხულიგნური“ B4 სტანდარტით. ასეთ ავტომობილს აქვს 5 ლ მოცულობის V8 ძრავა, რომელიც 306 ცხ.ძ.-ს გამოიმუშავებს. სახელგანთქმული „ხუთასიანი“ ძრავა სრულიად ვერ ამჩნევს ჯავშნიანი E კლასის გაზრდილ მასას. ყველა E 500 Cuard თავიდანვე მდიდრულად იყო მოწყობილი: ტყავითა და ძვირფასი ხით მოპირკეთებული სალონი, კლიმატკონტროლი, სტერეოსისტემა. სრული ელექტროპაკეტი, უახლესი განათების სისტემები. ყურადსაღებია სუპერკომფორტული მულტიკონტურული სავარძლები. მათ მანქანის მოძრაობის მიხედვით შეუძლიათ გვერდითა საყრდენების სიმაღლის დონის შეცვლა.

ლაპარაკი ზედმეტია ყველგანმავალ „გელენდვაგენის“ პოპულარობაზე. შეძლებული ადამიანები მათ როგორც პირადი მოხმარებისთვის, ასევე დაცვის თანმხლებ საშუალებად იყენებენ. მრავალი მათგანი დაჯავშნულიც არის. არც ერთ ჯავშნოსან ყველგანმავალს არ აქვს უნარი, ისე საიმედოდ დაიცვას თავისი მგზავრები (გარდა სპეციალური სამხედრო ჯიპებისა), როგორც „გელენდვაგენს“. იგი დაცულია B6/B7 დონით. აქვს ავტომატური ხანძარსაწინააღმდეგო და სალონის ჟანგბადით მომარაგების სარეზერვო სისტემები.

ყველგანმავალს 5 ლ მოცულობის V8 ძრავა უდგას, რომელიც მას 300 ცხ.ძ.-ის სიმძლავრით უზრუნველყოფს.

B4 სტანდარტით დაცული E 500 160.000 ევრო ღირს, რაც შეეხება შეჯავშნულ „გელენდვაგენს“ ის 400.000 ევრო დაგიჯდებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# Hi-Power ბულგარელი ბელგიური „ფესვებით"



ამჯერად „არსენალმა" სახელგანთქმული Hi-Power-ი გამოსცადა. პისტოლეტს, რომლის პირველი მოდიფიკაცია ჯერ კიდევ 70 წლის წინ შეიქმნა, დღემდე არ დაუკარგავს მომხიბვლელობა.

„არსენალმა" „ჰაი-პაუერის" ბევრად უფრო თანამედროვე მოდელი Arcus-98 გამოსცადა. Arcus-98 ბულგარეთშია წარმოებული.

„ჰაი-პაუერის" ისტორია ლეგენდარულ კონსტრუქტორ ბრაუნინგს უკავშირდება, რომელმაც ჯერ კიდევ 1926 წელს შექმნა პისტოლეტის ახალი სქემა ლულის მცირე სვლის გამოყენებით. პირველი „ჰაი-პაუერი" დიდი ზომითა (პისტოლეტის სიგრძე 20სმ-ს აღწევდა) და ზუსტი სროლის მნიშვნელოვანი მანძილით გამოირჩეოდა.

ძირითადი მოდიფიკაცია 9X19 Parabellum-ის ტიპის ვაზნების მოხმარებაზე იყო გათვლილი, თუმცა არსებობდა „ჰაი-პაუერის" კომერციული ვარიანტებიც (7,65მმ Par). პისტოლეტი სხვადასხვა დროს რამდენიმე ათეული ქვეყნის არმიისა და პოლიციის შეიარაღებაში იყო – კერძოდ, ბელგიაში, დიდ ბრიტანეთში, კანადაში, ეგვიპტეში და სხვა. სხვათა შორის, „ჰაი-პაუერებით" საქართველოს სამთავრობო დაცვის ის წევრებიც იყვნენ შეიარაღებული, ვინც უშუალოდ პრეზიდენტ შევარდნაძეს იცავდა.

ბულგარულმა ფირმა Arcus-მა „ჰაი-პაუერის" მოდიფიცირებული პირველი მოდელი Arcus-94 1994 წელს გამოუშვა. იგი FN/Browning „High Power" (GP-35)-ის პრაქტიკულად სრულ ასლს წარმოადგენდა და მისგან მხოლოდ გაფორმებით გამოირჩეოდა. ამ მოდელის მასა ვაზნების გარეშე 970 გ-ს აღწევდა. პისტოლეტის სიგრძე 203 მმ იყო, საიდანაც ლულაზე 118,5 მმ მოდიოდა. პისტოლეტის მჭიდში 13 ცალი 9X19 მმ Par ტიპის ვაზნა თავსდებოდა.

ოთხი წლის შემდეგ ბულგარელებმა ახალი მოდელის Arcus-98-ის სერიული წარმოება დაიწყეს. ამ მოდელის მჭიდის ტევადობა ორი ვაზნით გაიზარდა, თუმცა თავად პისტოლეტის მასა, პირიქით, 20 გ-ით შემცირდა. თუმცა მთავარი განსხვავება სულ სხვა იყო – თუკი Arcus-94-ს



ეროვნული ბიბლიოთეკა



**Arcus-98-ის არასრული დაშლა**

ჩახმახის შეყენება ცალკე სჭირდებოდა (ისევე როგორც წინამორბედ „ჰაი-პაუერს“), ახალ Arcus-98-ში ჩახმახის შეყენება სასხლეტის მოწევით შეიძლება. ისეთივე განსხვავებაა,რაც საბჭოთა TT-სა და ПМ „მაკაროვის“ ჩახმახების შეყენებისას და ამას ორმაგი მოქმედების დარტყმით-დამშვები მექანიზმი ჰქვია.

Arcus-98-დან სროლისას დაახლოებით ისეთივე გრძნობა გიჩნდება, როგორც თითქმის ყველა თანამედროვე პისტოლეტიდან სროლისას. პისტოლეტის ტარი ხელში კარგად ზის, სროლა ორი ხელითაც მოსახერხებელია. პისტოლეტის ტარი დაფარულია რეზინის ხორკლიანი მასალით, რაც ხელისგულის სრიალს გამორიცხავს. სამიზნეებზე ფოსფორიანი წერტილებია დატანებული, რაც აადვილებს დამიზნებას. ასევე შესაძლებელია უცბად დამიზნება სწრაფი სროლისას. პისტოლეტი კარგად გაწონასწორებულია და 15-ვაზნიანი მარაგი მსროლელს „მომავლის იმედს“ უტოვებს.

პისტოლეტს შეიძლება ნაკლად ჩავუთვალოთ არცთუ პატარა მასა, ფართო ტარი, რაც პატარა მაჯის მქონე ქალბატონებისთვის მოსახერხებელი არ იქნება. გარდა ამისა, ბულგარული წარმოების პისტოლეტის დაფერილობის ხარისხიც არ იმსახურებს დიდ მოწონებას.

თბილისის იარაღის მაღაზიებში ბულგარული „ჰაი-პაუერის“ – Arcus-98-ის ფასი დაახლოებით 900-1000 ლარს უტოლდებოდა, რაც არცთუ ბევრია, თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ დასავლური წარმოების პისტოლეტები მინიმუმ ორჯერ მეტი ღირს.

*ირაკლი ალადაშვილი*




9mm HI-POWER
არსენალი
Arcus Hi Power